საქართველოს პარლამენტთან არსებული
ჰერალდიკის სახელმწიფო საბჭო

# მიხეილ ვადბოლსკი
# და ქართული ჰერალდიკა

თბილისი
2010

წინამდებარე წიგნი ეძღვნება საქართველოში მოღვაწე საქართველოს დამსახურებულ მხატვარს, ლიტერატორს და ჭადრაკის ისტორიის მკვლევარს მიხეილ ვადბოლსკის და წარმოადგენს მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევს.

წიგნში განსაკუთრებული ყურადღებაა გამახვილებული მ. ვადბოლსკის კვლევა-ძიებაზე ქართული წარმართული და ქრისტიანული ხანის სიმბოლიკისა და ემბლემატიკის, ჰერალდიკის სფეროში. პირველადაა სრულად წარმოდგენილი მისი ჰერალდიკური მემკვიდრეობა და გამოყენებულია მის მიერ სახელმწიფო არქივისათვის გადაცემული საარქივო მასალა.

წიგნი ერთნაირად საინტერესია, როგორც სპეციალისტებისათვის, ისე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

საარქივო მასალები მოიძია, დაამუშავა, და წიგნი დასაბეჭდად მოამზადა **იოსებ ბიჭიკაშვილმა**

სამეცნიერო რედაქტორი: **მალხაზ აფრიდონიძე**
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

საავტორო უფლებები დაცულია. ჰერალდიკური საბჭოს წერილობითი თანხმობის გარეშე დაუშვებელია წიგნში არსებული მასალების ფოტოკოპირება ან მათი გამოყენება სხვა ნებისმიერი ფორმით.

ISBN

# მიხეილ ვადბოლსკის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მოკლე ნარკვევი

“ბედმა შემყარა ამ ქვეყანას”
მ.ვადბოლსკი

ცნობილი მხატვარი და ჰერალდიკოსი მიხეილ ვადბოლსკი, დაიბადა ვარშავაში 1899 წლის 20 თებერვალს, რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის, თავად ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ვადბოლსკის ოჯახში. მისი წინაპრები მიეკუთვნებოდნენ რუსეთის დიდი მთავრების - რიურიკოვიჩების საგვარეულოს, კერძოდ, მის განშტოებას თავად ბელოსელსკი-ბელოზიორსკების ოჯახს. მე-XVI ს.-ში ვადბოლსკების შტო რიურიკოვიჩების ძირითად ხაზს გამოეყო. თავად ვადბოლსკებს, რუსეთის სამეფოსა და იმპერიის არსებობის დროს, მაღალი თანამდებობები ეკავათ.

მიხეილ ვადბოლსკიმ ბავშვობა სანქტ-პეტერბურგში გაატარა, სადაც შეისწავლა მხატვრობა, იქვე ბარონ შტიგლიცის სამხატვრო სასწავლებელში საფუძვლიანად დაეუფლა კალმის ოსტატობას. ამ დროიდან იწყება მისი ჭადრაკით გატაცებაც.

1915 წელს I მსოფლიო ომის დროს, მიხეილ ვადბოლსკი მოხალისედ მიდის ფრონტზე და კავალერიის პოლკის რიგებში იბრძვის ავსტრიელების წინააღმდეგ. ასევე, 1920 წელს, სამოქალაქო ომის დროს, მოხალისედ იბრძოდა დასავლეთ ფრონტის, I კავალერიულ პოლკის 56 დივიზიის რიგებში. რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომმა, მისი ოჯახის ყველა წევრი შეიწირა და სწორედ ამის შემდეგ მ.ვადბოლსკიმ გადაწყვიტა დასახლებულიყო თბილისში.

1924 წელს, იგი სრულიად ახალგაზრდა იყო როცა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: “ბედმა არგუნა ამ ქვეყანაში მოხვედრა”. საქართველო მისი მეორე სამშობლო გახდა, რომელსაც მ.ვადბოლსკი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულად და დიდი სიყვარულით ემსახურა. იგი იყო საქართველოს დამსახურებული მხატვარი, ლიტერატორი და ჭადრაკის ისტორიის მკვლევარი,

რომელსაც აგრეთვე დიდი წვლილი მიუძღვის ქართული საჭადრაკო სკოლის განვითარებაში.

ის ყოველთვის აღნიშნავდა, რომ "საქართველო ადრევე მიზიდავდა თავისი მდიდარი უძველესი კულტურით და გმირული წარსულით".

საქართველოში გადმოსახლებისთანავე ის იწყებს მუშაობას მხატვარ-გამფორმებლად, აფორმებს თბილისის სამხედრო აღლუმებსა და მშრომელთა დემონსტრაციებს. ამავე დროს, აქტიურად მოღვაწეობს პოლიტიკური სატირისა და აგიტაციის დარგში. შემდეგში, 20-30-იან წლებში მიხეილ ვადბოლსკი მიმართავს დაზგურ ფერწერასა და მცირე ფორმის სკულპტურული ნაწარმოებების შექმნას. მხატვრობაში მას განსაკუთრებით იტაცებს აღმოსავლეთის ქვეყნები, კერძოდ, ინდოეთი, ირანი, ჩინეთი, აგრეთვე უძველესი საქართველო. ამ პერიოდში მის მიერ შექმნილია საქართველოს, სომხეთისა და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიულ პირთა პორტრეტები, ქართული ისტორიული საგვარეულოების გერბები, დროშები, მოძიებული აქვს სხვადასხვა პირთა, მათ შორის ქართველ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა ხელრთვები, ფულის და ძველი ქართული ტანსაცმელის ნიმუშები. ეს მასალები,მან მოიპოვა თბილისის,მოსკოვისა და პეტერბურგის მუზეუმებში, გადმოიღო საფლავის ქვებიდან, ქართული ეკლესია-მონასტრების კედლებიდან და ხელნაწერი მინიატურებიდან.

მხატვრობასთან ერთად მიხეილ ვადბოლსკი გატაცებული იყო ჭადრაკით და ამ უძველესი სპორტის ისტორიით. 1925 წლის მოსკოვის პირველ საერთაშორისო ტურნირის შემდეგ, მან მიზნად დაისახა შეესწავლა საჭადრაკო თეორიები საქართველოში, აღმოსავლეთში და დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. ამავე დროს, იგი იკვლევს მეტად მნიშვნელოვან საკითხს - "ჭადრაკი საქართველოში", რომელსაც იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში სტატიების სახით აქვეყნებს. დიდი იყო მ.ვადბოლსკის ინტერესი საქართველოს ისტორიის, მისი კულტურის მიმართ. "ძველი ქართული სამაგიდო თამაშის საინტერესო ნიმუში", "ზამთრის სასახლის უკანასკნელი კომენდანტი" (ივანე დიმიტრის ძე რატიშვილის შესახებ), "პოლკოვნიკი ი.კვინიტაძე", "ქართველები რუსეთის არტილერიის ისტორიაში", "უცნობი ჯარისკაცის საფლავი

მთაწმინდაზე" (გენერალ-ადიუტანტ ლ.მელიქიშვილის შესახებ), "სუსხიან ღამით" (I მსოფლიო ომის გმირის ტ.გერსამიას შესახებ), "ქართველთა ცხენოსანი ლაშქარი", "შაითან კაპიტანი" (ტ.ვაშაკიძის შესახებ), "ქართული მებრძოლი რაზმები", "ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხისათვის" - ეს გახლავთ "პიონერის", "ახალგაზრდა კომუნისტის", "საბჭოთა ხელოვნების", "დროშის" ფურცლებზე სხვადასხვა დროს დაბეჭდილ სტატიათა მცირე ჩამონათვალი, რომელიც უშუალოდ საქართველოსა და მის ისტორიულ წარსულს ეხება. და, რაც მთავარია, ყველა ეს სტატია ახალგაზრდობის აღზრდას ემსახურებოდა.

II მსოფლიო ომის დროს, მიხეილ ვადბოლსკი კვლავ უბრუნდება პოლიტიკური პროპაგანდის თემას და ხელმძღვანელობს თბილისის წითელი არმიის სახლის სატირის ფანჯარას, სადაც მან 621 პლაკატი გამოფინა.

1941-1945 წლებში მიხეილ ვადბოლსკი უშვებს რამდენიმე პლაკატს სერიიდან "კალმითა და ხიშტით", რისთვისაც ის დააჯილდოვეს მედლით "დიდ სამამულო ომში შრომითი მამაცობისათვის".

მიხეილ ვადბოლსკის დიდი წვლილი მიუძღვნის, ქართულ ჰერალდიკური ნიშნების შესწავლის მხრივაც, რომლებსაც პირველად 1930 წელს მიაქცია ყურადღება და ეს დაინტერესება სიცოცხლის ბოლომდე გაყვა. ამ საკითხისადმი მიძღვნილი მის ნაშრომებს გულთბილად გამოეხმაურნენ აკადემიკოსები ე.თაყაიშვილი, ს.ჯანაშია, შ.ამირანაშვილი, ვ.დონდუა, პროფესორი შ.მესხია, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი დ.კაპანაძე და ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი უ.სიდამონიძე. ასევე ცნობილმა ქართველმა მეცნიერებმა გამოთქვეს მ.ვადბოლსკის წიგნის მიმართ კრიტიკული შენიშვნები. წინამდებარე წიგნში ყურადღება გამახვილებულია მ.ვადბოლსკის ნაშრომებზე - "ქართული ისტორიული ძეგლების დეკორი" (პიონერი 1965 წ.), "ვინ როგორ აწერს ხელს" (სტატია გამოქვეყნდა ჟურნალ "დროშაში" და მასში კათალიკოს დომენტის, მეფე ერეკლეს, თავად გარსევან ჭავჭავაძის და სხვათა ხელმოწერათა ნიმუშებია მოტანილი), "ქართული ჰერალდიკის წარსულიდან" ("საბჭოთა ხელოვნება", 1957 წ.) "გამოსახულებანი ქართულ მონეტებზე",

“საქართველოს ჰერალდიკური ხელოვნების ზოგიერთი ძეგლი” (ორივე სტატია გამოქვეყნდა “ახალგაზრდა კომუნისტში” 1960 წ.) და ბოლოს, ნაშრომი - “საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა”, რომელიც გამომცემლობა “ხელოვნებამ” 1980 წელს წიგნად გამოსცა. სტატიებში ნათლად ჩანს, თუ როგორი მონდომებითა და სიყვარულით ეცნობოდა და სწავლობდა საქართველოს კულტურულ მემკვიდრეობას, საქართველოს წარმართული და ქრისტიანული ეპოქის სიმბოლოებსა და ემბლემებს.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ მიხეილ ვადბოლსკი იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც სერიოზულად მიაპყრო ყურადღება ქართულ გერბებს და მათი შექმნის ისტორიას. ჰერალდიკა მიიღო არა როგორც “თავად-აზნაურობის პრივილეგიების დამცველი მეცნიერება”, არამედ ისტორიის, კერძოდ კი ქართული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთ დამხმარე, სპეციალური მეცნიერების დარგად, რისი წყალობითაც მიხეილ ვადბოლსკი ქართული ჰერალდიკური მეცნიერების ერთ-ერთ ფუძემდებლად გვევლინება.

წლების მანძილზე, მ.ვადბოლსკის წიგნს - ქართული ჰერალდიკის შესახებ, სხვადასხვა სახელწოდება ჰქონდა, კერძოდ, 1947 წ. - ქართული ჰერალდიკის ალბომი; 1959 წ. - ძველი ქართული ჰერალდიკა და ხეთო-ივერო ქართველური სიმბოლიკა; 1970 წ. - მასალები ძველ ქართული სიმბოლიკის და ჰერალდიკის საკითხისათვის. საბოლოოდ, 1980 წელს მრავალი გადაკეთებების შემდეგ, მ.ვადბოლსკის ნაშრომს მიეცა სახელწოდება - “ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა”.

1980 წელს მიხეილ ვადბოლსკის ნაშრომი გამოიცა. მაგრამ იმდროინდელი ცენზურის მიერ იყო შეკვეცილი და მალევე, ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. ამ წიგნში, საკმაოდ მდიდარი საილუსტრაციო მასალის საფუძველზე წარმოდგენილია უძველესი დროიდან მოყოლებული XX ს.-მდე, საქართველოში სიმბოლიკისა და ემბლემატიკის განვითარება. არქეოლოგიურ და ვექსილოლოგიურ ნიმუშებთან ერთად განსაკუთრებით დიდი ადგილი ეთმობა კონკრეტულად ჰერალდიკურ მასალას, მათ შორის სახელმწიფო, საგვარეულო, სამხარეო და საქალაქო გერბებს. იმდროინდელი ცენზურის მიერ ამოიჭრა წიგნიდან ქართული

თავადური საგვარეულოების მოკლე ისტორიები და განმარტებები. წიგნის ერთადერთი ნაკლი ის არის, რომ მასში თითქმის საერთოდ არ არის მოყვანილი ჰერალდიკური მასალის წყაროების და სამეცნიერო ლიტერატურის მითითება. მიხეილ ვადბოლსკის წიგნი ქართული ჰერალდიკის შესახებ, დიდხანს რჩებოდა ერთადერთ გამოცემად და იგი დღემდე არ კარგავს თავის მნიშვნელობას.

მ.ვადბოლსკი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ლიტერატურულ ცხოვრებაში. მას ახლო მეგობრობა აკავშირებდა ქართველ პოეტებთან და მწერლებთან. გამოჩენილმა ქართველთა პოეტმა გალაქტიონ ტაბიძემ მიხეილ ვადბოლსკის ლექსიც მიუძღვნა:

“სიტყვის უთქმელად ვარ მონატრული,
რომ ეს ლექსები ვიხილო წიგნად,
დაბეჭდილ წიგნად მათში ფეთქს გული,
გული ცოცხალი ახლა და წინად!..
ვადბოლსკი, გწამდეს, რომ ეს იქნება,
სურვილი საქმედ გარდაიქმნება”.

1981 წელს მიხეილ ვადბოლსკის, გაწეული შრომებისათვის, საქართველოს დამსახურებული მხატვრის წოდება მიენიჭა.

1990 წელს მიხეილ ვადბოლსკი გარდაიცვალა. სიცოცხლის ბოლომდე, მიხეილ ვადბოლსკი ჭაბუკური გატაცებით, მუშაობდა ხელოვნებაში, ჭადრაკში და ქართული ჰერალდიკის ისტორიის შესწავლის საკითხებს იკვლევდა.

ერთ-ერთ თავისი წიგნის წინასიტყვაობაში იგი აღნიშნავდა: “ბედმა, შემყარა საქართველოს, სადაც მისი მზის სითბო ვიგრძენი, ხალხის გულის სითბო ვიგრძენი და ვფიქრობ არასოდეს მივატოებ ამ მხარეს და მთელ ჩემს ძალას მას მივცემ”.

საქართველოს პარლამენტთან არსებულ ჰერალდიკის საბჭოს და სარედაქციო კოლეგიას მიაჩნია, რომ მ.ვადბოლსკის ნაშრომებში დაშვებულია გარკვეული შეცდომები და უზუსტობები (ხშირად საკმაოდ სერიოზულიც), მაგრამ საჭიროდ ჩათვალა ქართველ მკითხველს გააცნოს მ.ვადბოლსკის შემოქმედება-კვლევა ქართული ჰერალდიკის სფეროში. ამავე დროს ნაშრომში

გამოსახულებები მოყვანილია მ.ვადბოლსკის დაბეჭდილი წიგნის ნიმუშების გვერდით, მოთავსებულია არსებული და ოფიციალურად დამტკიცებული, ჰერალდიკურ რეესტრში გატარებული გერბები.

იმ დროისათვის მასალის სიმცირისა და სხვა ობიექტური მიზეზთა გამო, ასეთი ნაშრომების შექმნა დიდ სირთულეებთან იყო დაკავშირებული. ჰერალდიკის საბჭო და სარედაქციო კოლეგია თვლის, რომ მ.ვადბოლსკის ნაშრომები სიმბოლიკის, ემბლემატიკის, განსაკუთრებით კი ჰერალდიკის სფეროში დღესაც აქტუალურია და მისი მემკვიდრეობა ქართული ისტორიოგრაფიისათვის მნიშვნელოვან შენაძენს წარმოადგენს.

## თავად ვადბოლსკების საგვარეულო გერბი



# მიხეილ ვადბოლსკის გამოქვეყნებული ნაშრომების სია

1. ბარონი ფონ-შვეინი. [პლაკატი], [თბ., 1942], 8 გვ.
2. ბელგოროდი ჩვენია! [პლაკატი], თბ., 1943, 1 გვ.
3. ასე იქნება! [პლაკატი], თბ., 1 გვ.
4. ფინიში. [პლაკატი], თბ., 1943, 1 გვ.
5. ჩვენ სახელოვან მოკავშირეებს - დიდება. [პლაკატი], თბ., 1943, 1 გვ.
6. შავზღველებო წინ. [პლაკატი], თბ., 1943, 1 გვ.
7. მშობლიურ წითელ არმიას - დიდება. [პლაკატი], თბ., 1943, 1 გვ.
8. ქართველთა ცხენოსანთა ლაშქარი. ჟურნ. "პიონერი", №1, თბ., 1948, გვ.24-25.
9. შაითან კაპიტანი (თურქეთის მე-9 კორპუსის დატყვევება ტ.ვაშაკიძის მეთაურობით. ნარკვევი). ჟურნ. "პიონერი", №5, თბ., 1948, გვ.30.
10. ზამთრის სასახლის უკანასკნელი კომენდანტი (ი.დ.რატიშვილი). ჟურნ. "პიონერი", №2, თბ., 1949, გვ.31.
11. ქართული მებრძოლი რაზმები. ჟურნ. "პიონერი", №11, თბ., 1949, გვ.16.
12. ძველი ქართული სამაგიდო თამაშის საინტერესო ნიმუში. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1955, 8 ოქტომბერი.
13. ზამთრის სასახლის უკანასკნელი კომენდანტი [ივანე დიმიტრის-ძე რატიშვილი]. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1955, 20 ოქტომბერი.
14. პოლკოვნიკი ი.კვინიტაძე. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1956, 14 თებერვალი.
15. ძველი საჭადრაკო ფიგურების შესახებ. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1956, 26 ივლისი.
16. ჩვენი ტრადიციული ურთიერთობების ფესვები სისხლით განმტკიცებული. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1956, 25 სექტემბერი.
17. ქართველები რუსეთის არტილერიის ისტორიაში. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1957, 17 იანვარი.

18. ქართული ჰერალდიკის წარსულიდან. ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება", №1, თბ., 1957, გვ.63-64.
19. ქალი ჭადრაკის ისტორიაში. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1957, 7 მარტი.
20. ჭადრაკის უძველესი ფიგურები. გაზ. "ლელო", თბ., 1957, 17 დეკემბერი.
21. ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე. გამომცემლობა "ტექნიკა და შრომა", თბ., 1957, 184 გვ.
22. მ.ვადბოლსკის მეგობრული შარჟი. გაზ. "თბილისი", №30 (30 იანვარი), თბ., 1959.
23. მ.ვადბოლსკის მეგობრული შარჟი. გაზ. "თბილისი", №33 (2 თებერვალი), თბ., 1959.
24. ახალი ფაქტები ჭადრაკის ისტორიისათვის. გაზ. "თბილისი", თბ., 1959, 9 თებერვალი.
25. ქართული ჭადრაკის ისტორიის საკითხისათვის. ჟურნ. "საბჭოთა ხელოვნება", №5, თბ., 1959, გვ.62-64.
26. "ცოცხალი ჭადრაკი" და ზოგიერთი ცნობა მისი ისტორიიდან. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1959, 15 დეკემბერი.
27. XIII საუკუნის საჭადრაკო მოღვაწე [კასტილიის მეფე ალფონს X]. გაზ. "თბილისი", თბ., 1960, 23 მარტი.
28. ასტრონომია და ჭადრაკი. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1960, 17 მაისი.
29. ოსტატების კვალდაკვალ (ქალი ჭადრაკის ისტორიაში). გაზ. "თბილისი", თბ., 1960, 17 ივნისი.
30. საქართველოს ჰერალდიკური ხელოვნების ზოგიერთი ძეგლი. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1960, 27 აგვისტო.
31. გამოსახულებანი ქართულ მონეტებზე. გაზ. "თბილისი", თბ., 1960, 6 ოქტომბერი.
32. "უცნობი ჯარისკაცის საფლავი" მთაწმინდაზე (ბიოგრაფიული ცნობები გენერალ-ადიუტანტ ლ.მელიქიშვილის შესახებ). გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1961, 12 ოქტომბერი.
33. სუსხიან ღამით... (პირველი მსოფლიო ომის გმირის ტ.გერსამიას შესახებ). გაზ. "კომუნისტი", თბ., 1962, 3 იანვარი.
34. ქართული ისტორიის ძეგლები. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", №83 (14 ივლისი), თბ., 1962.
35. მოსკოვის თეატრი 1812 წელს. გაზ. "ახალგაზრდა კომუნისტი", თბ., 1962, 18 ოქტომბერი.

36. უცნაური საჰაერო ბუშტი. გაზ. “თბილისი”, თბ., 1956, 22 ოქტომბერი.

37. Ãðóçèíû â áîåâîì ïðîøëîì ðóññêîé àðìèè 1654-1921 ãã. èçä-âî “Íàêàäóëè”,Òá., [1962].

38. ჭადრაკი და მსოფლიო გამოჩენილი ადამიანები. ჟურნ. “პიონერი”, №1, თბ., 1963, გვ.18-19.

39. ქართული ისტორიული ძეგლების სიმბოლური დეკორი. ჟურნ. “პიონერი”, №2, თბ., 1965, გვ.15.

40. ქართველები რუსეთის არმიის წარსულ ბრძოლებში (1659-1878 წწ.). ეს ნაშრომი ნაწილობრივ გამოყენებულია ნაშრომში: პროფ.შ.ჩხეტია, ა.იოვიძე. რუს და ქართველ ხალხთა საბრძოლო თანამეგობრობა. ჟურნ. “საისტორიო მოამბე”, №17-18, თბ., 1965, გვ.266-475.

41. მსოფლიოს გამოჩენილი ადამიანები ჭადრაკის ისტორიაში. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1966, 76 გვ.

42. ჭადრაკის ფიგურების ფორმა და აზროვნების მნიშვნელობა. ჟურნ. “საბჭოთა ხელოვნება”, №5, თბ., 1967, გვ.22-27.

43. Èñòîðè÷åñêèå àâòîãðàôû. ãàç. “Âå÷åðíèé Òáèëèñè”, Òá., 1967, 22 àïðåëÿ.

44. Î ÷åì ðàññêàçû âàþò ãåðáû. ãàç. “Ìîëîäåæü Ãðóçèè”, ¹ 26 (2 îêòÿáðÿ), Òá., 1967.

45. ვინ როგორ აწერს ხელს (თამარ მეფის, კათალიკოს დომენტის, ერეკლე მეფის, თავად გარსევან ჭავჭავაძის ხელმოწერები). ჟურნ. “დროშა”, №1, თბ., 1968, გვ.20.

46. ხელმოწერა ადამიანის სახეა. გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, თბ., 1968, 20 ივნისი.

47. გამოჩენილ ადამიანთა ავტოფრაფები. ჟურნ. “პიონერი”, №12, თბ., 1968, გვ.29.

48. Íàÿçûêå ìîíîãðàìì. ãàç. “Ìîëîäåæü Ãðóçèè”, ¹ 130 (28 îêòÿáðÿ), Òá., 1972.

49. ჭადრაკი 1400 წლის მანძილზე. II შევსებული გამოცემა. გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო”, თბ., 1972, 228 გვ.

50. Ja lons pour l’etude de l’heraldiqie geoegienne. “Archivum Heraldicum”, №1-2, Paris, 1975, p.2-5.

51. Ñèìâîëèêà ãðóçèíñêèõ çíàìåí. “Vecsilologia”, ¹ 22, Praga, 1977, p.9-14.

52. Î çíà÷åíèè ãåðàëüäè÷åñêèõ ñèìâîëîâ íà ãðóçèíñêèõ çíàìåíàõ è øòàíäàðòàõ. æóðí. “Ôëàã”, ¹ 3, Ñàðàòîâ, 1978, ñòð.6-8.

53. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა [Ãåðàëüäè÷åñêàÿ ñèìâîëèêà Ãðóçèè]. გამომცემლობა “ხელოვნება”, თბ., 1980, 109 გვ. (ქართ. და რუს. ენებზე).
54. ქართველთა ცხენოსანთა ლაშქარი. [ადგილის და თარიღის გარეშე]. [საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა), ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 170 (მიხეილ ვადბოლცკის პირადი ფონდი), აღწერა 1, საქმე №47, ფ.7].

## მიხეილ ვადბოლსკის გამოუქვეყნებული ნაშრომების სია

1. ქართველები რუსეთის არმიის წარსულ ბრძოლებში (1659-1878 წწ.). 1941.
2. Ñïèñîê ðîäîñëîâèé ñòàòåé ãðóçèíñêèõ ôàìèëèé. Ñîñòàâëåí ñ È.Ä.Ðàòèåâûì (Ðàòèøâèëè) è Ã.Ï.Ìîçäîêåëè. 1948.
3. Ãðóçèÿ âî ïîðòðåòàõ èñòîðè÷åñêèõ ëèö (ïî ôðåñêàì è äðåâíèì ãóäæàðàì). Òåòðàäü I-ÿ. 1948.
4. Ãðóçèÿ âî ïîðòðåòàõ èñòîðè÷åñêèõ ëèö (îáðàçöû âîîðóæåíèé, îäåæäû, îáóâè, ãåðàëüäè÷åñêèå ïàìÿòíèêè, êíèæíàÿ ãðàôèêà). Òåòðàäü II-ÿ. 1948.
5. Ãðóçèÿ âî ïîðòðåòàõ èñòîðè÷åñêèõ ëèö (îáðàçöû âîîðóæåíèé, îäåæäû, ãîëîâíûå óáîðû, ãåðàëüäè÷åñêèå ïàìÿòíèêè). Òåòðàäü III-ÿ. 1948.
6. ქართული ჰერალდიკის ისტორიის საკითხისათვის. 1952.
7. მსოფლიოში გამოჩენილი ადამიანების ხელმოწერები. 1969.
8. Î ãåðáå Ëàòâèè. 1972.
9. ქართული ჰერალდიკის ისტორიდან.
10. ქართული გერბები.
11. ძველი ქართული ტანსაცმელი.
12. Ãðóçèíñêèå ãåðáû.
13. Õåòî-èâåðî-ãðóçèíñêèå çíàìåíà.
14. Î äðåâíèõ è ïîçäíåéøèõ ãðóçèíñêèõ ôàìèëèÿõ.
15. Ãðóçèíñêèé íåêðîïîëü â Ðîññèè.
16. Î ðîäîñëîâèè êíÿçåé Âàäáîëüñêèõ.
17. Èñòîðèÿ ìîåé øàøêè.

# საქართველოს სახელმწიფო არქივში დაცული მ.ვადბოლსკის მასალები ჰერალდიკის შესახებ

**1) საქართველოს უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი (სუიცა), ლიტერატურის და ხელოვნების განყოფილება, ფონდი 170 (მიხეილ ვადბოლცკის პირადი ფონდი), აღწერა 1, საქმე №1, ფ.1-26 -** ქართული გვარები და მათი წარმოშობის ისტორია (ხელნაწერი): ფ.1 - Ñïèñîê Ðîäîñëîâèé ñòàðûõ ãðóçèíñêèõ ôàìèëèé. Ñîáðàíî Ì.Í.Âàäáîëüñêèì â ïåðèîä 1940-1948 ãã, ñ ïîìîùüþ È.Ä.Ðàòèåâà (ïîñëåäíåãî êîìïàíäàíòà Çèìíåãî äâîðöà) è ÃÏ.Ìîçãîâîéëè (ñîòðóäíèêà Ëèòåðàòóðíîãî Ìóçåÿ Ãðóçèè).

**2) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №2, ფ.1-5ა -** მ.ნ.ვადბოლსკი. "ქართული ჰერალდიკის ისტორიიდან" (ხელნაწერი).

**3) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №3, ფ.1-59 -** მ.ნ.ვადბოლსკის შრომის "საქართველოს ჰერალდიკის საკითხისათვის" (27 ოქტომბერი 1952 წ.) (ხელნაწერი).

**4) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №4, ტ.I -** მ.ნ.ვადბოლსკი. "ქართველები რუსეთის არმიის წარსულ ბრძოლებში" (1659-1878 წწ.).

**5) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №4, ტ.II -** მ.ნ.ვადბოლსკი. ქართველი სამხედროების ფოტოები.

**6) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №4, ტ.III -** მ.ნ.ვადბოლსკი. ქართველი სამხედროების ფოტოები.

**7) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №4, ტ.IV -** მ.ნ.ვადბოლსკი. ქართველი სამხედროების ფოტოები.

**8) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №6 [რვეული I], ფ.1-20 -** Ì.Í.Âàäáîëüñêèé. Ãðóçèÿ â ïîðòðåòàõ èñòîðè÷åñêèõ ëèö (ïî ôðåñêàì è äðåâíèì ãóäæàðàì, âûïîëíåíî â ïåðèîä 1930-1948 ãã).

**9) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №7 [რვეული II], ფ.1-9 -** Ì.Í.Âàäáîëüñêèé. Ãðóçèÿ â ïîðòðåòàõ èñòîðè÷åñêèõ ëèö (îáðàçöû

âî î ðóæåí èé, î äåæäû , î áóâè, ãåðàëüäè÷åñêèå ï àì ÿòí èêè, êí èæí àÿ ãðàô èêà, âû ï î ëí åí î  â ï åðèî ä 1930-1948 ãã).

**10) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №8 [რვეული III], ფ.1-9ა** - Ì .Í .Âàäáî ëüñêèé. Ãðóçèÿ: Âî î ðóæåí èÿ, î äåæäà, ãî ëî âí û å óáî ðû , ãåðàëüäè÷åñêèå ï àì ÿòí èêè, âû ï î ëí åí î  â ï åðèî ä 1930-1948 ãã).

**11) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №9** - ჩეხური ჟურნალი “Vecsilologia”,ფ.1-85.

**12) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №9 (?)** - მ.ვადბოლსკი. ძველი ქართული ტანსაცმელი, ფ.1-5.

**13) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №10** - მ.ვადბოლსკი. ქართული ღერბები, ფ.1-12.

**14) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №11, ფ.1-24** - Ì .Í .Âàäáî ëüñêèé. Ãðóçèèñêèå ãåðáû :

1) ë.1 - Ãåðá êàòî ëèêî ñà Àí òî í à I (ÕVIII â.)
2) ë.2 - Ãåðá-ï å÷àòü öàðåâí û Òàì àðû (1620 ã.), ï åðâî é æåí û öàðÿ Èì åðåòè Àëåêñàí äðà II
3) ë.3 - Áî ëüø àÿ ï å÷àòü Ãðóçèí ñêî ãî öàðñòâà (ãåðá Èðàêëèÿ II, 1783 ã.)
4) ë.4 - Ãåðá öàðÿ Âàõòàí ãà VI
5) ë.5 - 1) Ãåðá I äèí àñòèè Äàäèàí è; 2) ãåðá Áàðàòàø âèëè
6) ë.6 - 1) Ãåðá Ýðèñòàâè-Êñàí ñêèõ; 2) ãåðá Ðàòèø âèëè
7) ë.7 - Ãåðá Àì èëàõâàðè (3 âàðèàí òà)
8) ë.8 - 1) Ãåðá Àâàëèø âèëè; 2) ãåðá Àí äðî í èêàø âèëè
9) ë.9 - Ãåðáû Âî ñòî ÷í î é Ãðóçèè (I ï î ë. ÕIÕ â.)
10) ë.10 - Ãåðá Ãðóçèè ñ ãðî áí èöû öàðÿ Ëåâàí à
11) ë.11 - 1) Ãåðá Âàõòàí ãà VI, 2) ýì áëåì à âðåì åí è Âàõòàí ãà VI, 3) äðåâí èå ãðóçèí ñêèå ï å÷àòè (7 ï å÷àòåé), 4) ãåðá Öèöèø âèëè, 5) ãåðá Äàäèàí è, 6) ãåðá Àì èëàõâàðè, 7) çí àì ÿ Ñâàí åòè (ÕVIII â.)
12) ë.12 - Ãåðá Âàõòàí ãà VI (1722 ã.)
13) ë.13 - Ðî äî âî é ãåðá è ï î äï èñü ãëàâí î êî ì àí äóþ ù åãî â Ãðóçèè Ï .Ä. Öèöèàí î âà
14) ë.14 - 1) Ãåðá I äèí àñòèè Äàäèàí è, 2) ãåðá Öèöèø âèëè, 3) ãåðá Áàãðàòèî í -Äàâèòèø âèëè (öâåòí û å ãåðáû )
15) ë.15 - Ãåðá Áàãðàòèî í î â (ï î Âàõóø òè, 1735 ã.) (öâåòí î é ãåðá)
16) ë.16 - Î äåæäà êî í âî ÿ (öâåòí î é)
17) ë.17 - Ãåðá Áåêòàáåêî âû õ (öâåòí î é ãåðá)
18) ë.18 - Ãåðá Òóì àí èø âèëè (öâåòí î é ãåðá)

19) ë.19 - Ãåðá ×î ëî êàø âèëè
20) ë.20 - Ãåðá Àðãóòèí ñêèõ-Äî ëãî ðóêèõ
21) ë.21 - Ãåðá Àí äðî í òêàø âèëè
22) ë.22 - Ãåðá Àì èëàõâàðè
23) ë.23 - Ãåðá êàòî ëèêî ñà Àí òî í à I (ÕVIII â.)
24) ë.24 - Ãåðá í óì èçì àòà Ì èõàèëà Áàðàòàåâà (“Documents Numismatiques”, 1844 ã.)

**15) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №12 -** მ.ვადბოლსკი. ქართული ფულის ნიმუშები (ნახატი), ფ.1-4.

**16) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №13 -** მ.ვადბოლსკი. ქართველ მეფეთა ხელრთვების ნიმუშები, ფ.1-14.

**17) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №14 -** მ.ვადბოლსკი. ქართული ბეჭდების ნიმუშები, ფ.1-6. - [იმერეთის ბაგრატიონთა 1620 წლის გერბი (ბატონიშვილი თამარის 1620 წლის გერბი)].

**18) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №15 -** მ.ვადბოლსკი. ქართული ემბლემები, ფ.1-13.

**19) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №16 -** მ.ვადბოლსკი. სხვადასხვა სიმბოლური გამოსახულებანი (ნახატი), ფ.1-11.

**20) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №17 -** მ.ვადბოლსკი. ქვისმჭრელთა სხვადასხვა ნიმუშები (ნაბეჭდი), ფ.1.

**21) სუიცა, ფონდი 170, აღ. 1, საქმე №47 -** მასალები მ.ვადბოლსკის შესახებ: სტატიები 1-7, ფ.1-7.

**22) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №5 -** მ.ვადბოლსკი. ქართული ისტორიის ძეგლები. გაზ. “ახალგაზრდა კომუნისტი”, №83, (14 ივლისი) 1962; 2) Ì .Âàäáî ëüñêèé. Î ÷åì ðàññêàçû âàþ ò ãåðáû. ãàç. «Ì î ëî äåæü Ãðóçèè», ¹ 26 (2 î êòÿáðÿ) 1967, ფ.1-2.

**23) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №7 -** მ.ვადბოლსკი. ჭადრაკის ფიგურების ფორმა და აზროვნევნების მნიშვნელობა. “საბჭოთა ხელოვნება”, №5, თბ., 1967, გვ.22-27, ფ.1-2.

**24) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №8 -** მ.ვადბოლსკის საგაზეთო სტატიები, ფ.1-5.

**25) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №10 -** მ.ვადბოლსკის სტატია, ფ.1-4.

**26) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №11 -** მ.ვადბოლსკის სტატია, ფ.1-34.

**27) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №13 -** მ.ვადბოლსკი. Õåòòî-Èâåðî-ãðóçèíñêå çíàìåíà, ფ.1-32.

**28) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №18 -** Ì.Âàäáîëüñêèé. Îäðåâíèõ èïîçäíåéøèõ ãðóçèíñêèõ ôàìèëèÿõ, ფ.1-18.

**29) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №19 -** Ì.Âàäáîëüñêèé. Ãðóçèíñêèé íåêðîïîëü â Ðîññèè, ფ.1-35.

**30) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №22 -** მ.ვადბოლსკი. ქართველი მეფეების ხელრთვები, ფ.1-9.
I) ფ.1 - 1) დავით IV აღმაშენებელი, 2) თამარ მეფე, 3) გიორგი VIII, 4) თეიმურაზ I
II) ფ.2 - 1) არჩილ II, 2) ალექსანდრე ფელდცეიხმეისტერი, 3) ერეკლე II, 4) გარსევან ჭავჭავაძე, 5) დავით XII ბატონიშვილი
III) ფ.3 - 1) არჩილ II, 2) დადიან-გურიელი გიორგი III (XVII ს.), 3) სოფიო გურიელი (1826 წ.), ბატონიშვილი თეიმურაზ გიორგის ძე
IV) ფ.4 - 1) ქართლის მეფე სიმონ I, 2) ბატონიშვილი ვახტანგ ერეკლეს ძე, 3) პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, 4) ვახტანგ I გურიელი (1583-1587), 5) ქაიხოსრო გურიელი (XVII ს.)
V) ფ.5 - 1) იმერეთის მეფე სოლომონ I, 2) ქეთევან წამებული, 3) კათალიკოსი დომენტი IV (1705-1742)
VI) ფ.6 - ქართული პირადი მონოგრამები: 1) რუსუდან დედოფალი, 2) ალექსანდრე I დიდი, 3) გიორგი IV ლაშა, 4) ვახტანგ III
VII) ფ.7 - 1) თამარ მეფე, 2) ალექსანდრე I დიდი (სამი ერთეული), 3) ვახტანგ VI, 4) თეიმურაზ II
VIII) ფ.8 - 1) გენერალი პავლე ციციანოვი (1754-1806), 2) პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონი, 3) გენერალი ივანე მალხაზის ძე ანდრონიკაშვილი
IX) ფ.9 - 1) ქართლის მეფე როსტომი, 2) ქართლის დედოფალი მარიამ დადიანი, 3) კახეთის მეფე ალექსანდრე I, 4) ბატონიშვილი ლევან ერეკლეს ძე, 5) კათალიკოსი ანტონ II, 6) გიორგი XII, 7) ბატონიშვილი ბაგრატ გიორგის ძე

**31) სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №31** - Î ãåðáå Ëàòâèè, ფ.1-23.

**32) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №35 (1947 წ.)** - შ.მესხიას რეცენზია: Ì .Âàäáî ëüñêèé. Àëüáî ì Ãðóçèí ñêî é ãåðàëüäèêè, ფ.1-8.

**33) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №39 (1959 წ.) -** დ.კაპანაძის რეცენზია: Ì .Âàäáî ëüñêèé. Äðåâí åãðóçèí ñêàÿ ãåðàëüäèêà è õåðî -èâåðî -ãðóçèí ñêàÿ ñèì âî ëèêà, ფ.1-3.

**34) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №40 (1960 წ.)** - ვ.დონდუას რეცენზია: მცირე შენიშვნები მ.ვადბოლსკის ნაშრონის შესახებ, ფ.1-2.

**35) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №41** - ვლ.ნორაკიძის რეცენზია: მ.ვადბოლსკი. მსოფლიოში გამოჩენილი ადამიანების ხელრთვები, ფ.1-2.

**36) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №42 (1970 წ.)** - უ.სიდამონიძეს რეცენზია: მ.ვადბოლსკი. ძველქართული სიმბოლიკის და ჰერალდიკის საკითხისათვის, ფ.1-6.

**37) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №44 -** სამი საგაზეთო სტატია, ფ.1-3.
**38) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №45** - ჟურნალი "ვექსილოლოგია", №22, ფ.1-23.

**39) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №55** - თემატური გეგმა: მ.ვადბოლსკი. ძველქართული სიმბოლიკა და ჰერალდიკა, ფ.1-11.

**40) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №57 (1955 წ.)** - მ.ვადბოლსკის წერილი კულტურის მინისტრს ა.გუნიას, ფ.1-2.

**41) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №58** - სამეფო მუზეუმის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-5.

**42) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №59** - სოკოლოვის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-3.

**43) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №67** - რევნივცევის წერილები მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-48.

**44) სუიცა, ფონდი 170, ალ. 2, საქმე №73** - სტრიშინის წერილები მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-41.

45) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №74** - საერთაშორისო ჰერალდიკის აკადემიის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-4.

46) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №75** - ჩეხების წერილები მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-14.

47) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №76** - წერილი მ.ვადბოლსკისადმი ჰერალდიკის შესახებ, ფ.1-2.

48) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №77** - შახოვსკის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-10.

49) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №78** - კურასოვის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-11.

50) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №79** - ო.ტარნოვსკის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1.

51) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №80** - ო.ტარნოვსკის წერილი მ.ვადბოლსკისადმი, ფ.1-3.

52) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №85** - მ.ვადბოლსკის ფოტო, ფ.1-6.

53) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №86** - მ.ვადბოლსკის ფოტო, ფ.1-6.

54) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №89** - მ.ვადბოლსკის ფოტო, ფ.1.

55) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №90** - Î ðîäîñëîâèè êíÿçåé Âàäáîëüñêèõ, ფ.1.

56) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №91** - Äåä Ì.Âàäáîëüñêîãî, ფ.1.

57) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №92** - Ôîòî äåäà è ãåðá Âàäáîëüñêèõ, ფ.1-2.

58) **სუიცა, ფონდი 170, აღ. 2, საქმე №93** - Ðîäîñëîâíàÿ Âàäáîëüñêèõ îòêíÿçÿ Ðþðèêà, ფ.1

# დანართი 1

# მიხეილ ვადბოლსკი. საქართველოს ჰერალდიკური სიმბოლიკა

## ავტორისაგან

ქართული ჰერალდიკა ნაკლებად შესწავლილი დარგია ჩვენი ისტორიული მეცნიერებისა, იგი სიმბოლური ნიშნების წარმოშობას განმარტავს, აქედან კი - ადგენს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ყოფის ამა თუ იმ სტადიისათვის დამახასიათებელი სარწმუნოებრივი წარმოდგენებისა, თუ ძალაუფლების ინსტიტუტის რაობას.

ვეხებით რა არსებითად დაუმუშავებელ საკითხს, ე.ი. ვარკვევთ რა ძველი ქართული ჰერალდიკის რაობას, ჩვენს წინაშე, პირველ ყოვლისა, შემდეგი პრობლემა დგება: არსებობდა თუ არა ჰერალდიკა ძველი სამყაროს ქვეყნებში, კერძოდ კი - საქართველოში.

წინააღმდეგ დასავლურ ისტორიოგრაფიაში გავრცელებული საფუძველშივე მცდარი მოსაზრებისა, რომელიც უგულებელყოფს ასეთის არსებობას ძველი სამყაროს ქვეყნებში (აქედან გამომდინარე - საქართველოშიც), საბჭოთა მეცნიერება იცავს თვალსაზრისს აღნიშნულ კულტურულ არეალში ჰერალდიკის არსებობისა, თუმცა კი არა იმ სფეციფიკური ფორმით, რომელიც დასავლეთ ევროპაშია მიღებული. უძველესი ცივილიზაციის ქვეყნების, მათ შორის, ქართული სამყაროს ჰერალდიკური სიმბოლიკა და საკუთრივ ჰერალდიკა იმდენად ხანდაზმულია და შორეული ძირისა, რომ მისი მოვლენების დასავლურ ჰერალდიკასთან მექანიკურად შეპირისპირება გამართლებული არ არის. ძველი ცივილიზაციის კერების: შუმერის, აქადის, ბაბილონის, ეგვიპტეს, ასირიის, ხეთების, ურარტუსა და, ცხადია, ძველი ქართული სამყაროს ყოფაში ვხვდებით თავისებურ ჰერალდიკურ ძეგლებს (სიმბოლური ნიშნები და გამოსახულებანი), რომლებიც უნდა მივიჩნიოთ გერბებად და ემბლემებად.

ასეთი სპეციფიკური ნიშნები გვხვდება ხმლებზე, აბჯრებზე, ფარებზე, მუზარადებზე, სახელმწიფო ბეჭდებზე, საყოფაცხოვრებო საგნებზე და სხვა, ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ ძველი ცივილიზაციის ქვეყნებში ჰერალდიკის არსებობა რეალობაა.

ერთადერთი, რაზედაც ამჟამად ძნელია პასუხის გაცემა, ის გახლავთ, თუ რა ხასიათისა იყო იგი წოდებრიობისა და არმიის მიმართ.

ქართული ჰერალდიკის კვლევისას, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებასთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მატერიალური კულტურის ძეგლებზე აღბეჭდილ ე.წ. “მცირე სკულპტურის” ნიმუშებსაც, რომლებიც წარმოდგენას გვიქმნიან უძველესი ხანისა და შუა საუკუნეების სიმბოლიკაზე.

ამ უკანასკნელთა სემანტიკური ანალიზი შუქს მოჰფენს აღნიშნულ ძეგლებზე მოცემული სიმბოლოებისა და ემბლემების წარმოშობის მიზეზებს, გაარკვევს ქართული ჰერალდიკის მრავალ თავისებურებას.

წინამდებარე ნაშრომის მიზანი არ არის აღძრული საკითხის ყოველმხრივი კვლევა. ჩვენი ამოცანა ჯერჯერობით გაცილებით მოკრძალებული გახლავთ, კერძოდ: ჰერალდიკური მასალის შერჩევა და კლასიფიცირება, რაც, ცხადია, თავის მხრივ, გულისხმობს გარკვეული დასკვნების გამოტანასაც.

## შესავალი

უძველესი ქართული ჰერალდიკური სიმბოლოების ფესვები ტოტემური აზროვნების წიაღში იკარგება. ქართული მატერიალური კულტურის ძეგლები, რომლებიც საზოგადოებრივი განვითარების აღნიშნულ სტადიას ასახავენ, თარიღდებიან III-II ათასწლეულთა მიჯნით და შეიცავენ ხალხური სიმბოლიკის ნიადაგზე წარმოშობილ ჰერალდიკურ ემბლემებს.

ჩვენი კვლევის საგნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ერთ გარემოებას. ტოტემური სიმბოლოები იმდენად ცხოველუნარიანი აღმოჩნდა, რომ წარმართულიდან ქრისტიანულ სიმბოლიკაში გადავიდა და დეკორატიული ელემენტის სახით თითქმის ჩვენს დრომდე მოაღწია.

რაც შეეხება ასტრალური კულტის სიმბოლოებს, ისინიც საკმაოდ ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ წერილობით წყაროებსა და მატერიალური კულტურის ძეგლებში. ამ მხრივ უაღრესად მნიშვნელოვანია “ქართლის ცხოვრებაში” დაცული ცნობები, მაგალითად, არმაზის კერპის შესახებ. ამ ღვთაების კერპმა ქრისტიანობის შემოღებამდე იარსება (IV ს.).[1]

არმაზის ანუ მთვარის ღვთაების გამოსახულება შემონახულია ე.წ. აღბულაღის სტელაზე, რომელსაც აკად. შ.ამირანაშვილი ძვ. წ-ის XII-X საუკუნეებით ათარიღებს.[2]

ასეთ შემთხვევაში მთვარის ღვთაების გამოსახულება საინტერესოა არამარტო როგორც არმაზის სიმბოლო, არამედ როგორც ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკის ნიმუშიც.

ხალხურ სიმბოლიკაში ასახული ასტრალური კულტის სიმბოლოებიც მეტად სიცოცხლისუნარიანნი აღმოჩნდნენ. ისინი საკმაოდ ფართოდ წარმოგვიდგებიან ძველი ქართული მატერიალური კულტურის ძეგლებსა და ქართულ წერილობით წყაროებში.[3]

როგორც ჩვენს მიერ მოკვლეული გრაფიკული მასალა გვიჩვენებს, საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების შემდეგ (337 წ.), ახალმა რელიგიამ უძველეს კულტთა სიმბოლოები თავის საკუთარ მოთხოვნებს დაუმორჩილა, ახალ სიმბოლიკასთან შეათავსა. ცხადია, ეს პროცესი უმტკივნეულად არ წარმართულა. "ძველისა" და "ახლის" ჭიდილში ხშირად სწორედ წარმართული ტრადიციის ძალას გაუმარჯვია, ეროვნულ პირველსაფუძველს უმძლავრია. ქვევით, ჰერალდიკური სიმბოლიკისა თუ საკუთრივ ჰერალდიკის ნიმუშთა შესახებ მსჯელობისას, შესაძლებლობა გვექნება დავრწმუნდეთ, რაოდენ ძირძველია მხატვრული აზროვნების ეროვნულ ფორმათა თავისთავადობის განმაპირობებელი ეს ტრადიცია. მაგრამ ჯერ რამდენიმე სიტყვა ჰერალდიკის როლზე ძველი საქართველოსი სახელმწიფოებრივ ყოფაში.

ამასთან დაკავშირებით ვფიქრობთ, უადგილო არ იქნება მცირე ექსკურსი დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და რუსული ჰერალდიკის სფეროში, ვინაიდან მოვლენათა ასეთ ურთიერთკავშირში შესაძლებელი გახდება ქართულ სინამდვილესთან პარალელის გავლებაც და ჰერალდიკის ზოგადი ფორმების (ამასთან კანონზომიერებების) წარმოჩენაც. ეს განსაკუთრებით საჭიროა ფეოდალური ხანის მოვლენათა შესწავლისას, ვინაიდან ასეთი პარალელებისას აშკარა ხდება, რომ ქართული ჰერალდიკის ხალხური ფესვები გაცილებით ძველია, ვიდრე დასავლეთ ევროპის ხალხებისა. ერთი სიტყვით, ქართული ჰერალდიკა ეროვნული ჰერალდიკური სიმბოლიკის მდიდარი ნიადაგით საზრდოობს.

სხვათა შორის, აქ უნდა აღინიშნოს, რომ ძველი რუსული გერბები თავიანთი არსით გაცილებით უფრო თავისთავადია, ვიდრე დასავლეთ ევროპის მთელი რიგი ქვეყნებისა. ამ მხრივ ყურადსაღებია რუსი მთავრების - რიურიკებისა და მონომახების სიმბოლოები, აღბეჭდილი ბეჭდებსა და დროშებზე (მაშინ რუსეთში საგვარეულო გერბები ჯერ კიდევ არ არსებობდა).

დასავლეთ ევროპის ჰერალდიკა შუა საუკუნეების პირმშოა. იგი რაინდობის ხანაში იშვა. გერბს დასავლეთში

სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა. იგი წარმოადგენდა სახელმწიფოებრივ ემბლემასაც (ძალაუფლების მიმანიშნებელ სიმბოლოს) და წოდებრივი პრივილეგიის, გვარის სიმბოლურ ნიშანსაც.

გერბის უფლების მოპოვება წარჩინებულთა პრივილეგიას წარმოადგენდა. იგი მათ დამსახურებაზე მეტყველებდა.

აღსანიშნავია, რომ ემბლემას თავდაპირველად ზემოაღნიშნული მნიშვნელობა არა ჰქონია, იგი მხოლოდ პირადი ნიშანი გახლდათ. იხმარებოდა ტურნირის დროს ამა თუ იმ რაინდის მოწინააღმდეგისაგან განსასხვავებლად. ერთ რაინდს ასეთ ნიშნად ხმალი ჰქონდა, მეორეს - ყვავილი, მესამეს - ურჩხული ან ჯვარი და ა.შ. დროთა ვითარებაში ეს უბრალო ნიშნები საფუძვლად დაედო საგვარეულო გერბებს. თანდათანობით გერბში შეჰქონდათ დამატებითი ემბლემებიც, რომლებსაც რაიმე წარჩინებისათვის ანიჭებდნენ ამა თუ იმ პირს; მაგრამ ყურადსაღებია, რომ თავდაპირველ ემბლემას ამ უკანასკნელში მუდამ მთავარი ადგილი ეჭირა.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ქვეყნებში საკუთრივ გერბების წარმოშობის ხანას, იგი XI-XII საუკუნეებით განისაზღვრება. თუმცა აქ ისიც უნდა ითქვას, რომ არსებობს უფრო ადრინდელი ემბლემებიც, რომლებმაც გერბების დანიშნულება შემდეგ შეიძინეს. ასეთებს მიეკუთვნება: პიასტების დინასტიის (პოლონეთი) არწივი (885 წ.), გერბი “ზელინა” (ილირიიდან), რომელსაც ძვ. წ.-ის 278 წლით ათარიღებენ და სხვ. ეს ემბლემები იდესღაც დროშებზე იყო გამოსახული. დროშები კი, როგორც ცნობილია, უხსოვარი დროიდან ჰქონდათ ხალხებს (ცნობილია სპარსელების, რომაელებისა და ბერძნების სამხედრო დროშები. უფრო ადრე - ასირიელთა, ეგვიპტელთა და ხეთების ალმები). სხვათა შორის, ქართული დროშები ერთ-ერთი უძველესია ზემოაღნიშნულთაგან. მხედველობაში გვაქვს თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილი ალამი, რომელიც ძვ. წ.-ის მეორე ათასწლეულის შუა ხანით თარიღდება.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებიდან ემბლემათა სიძველის მხრივ დღესდღეობით იტალიის იმ საგვარეულოთა ემბლემები ითვლება, რომლებიც რომაელი პატრიციების საგვარეულო ემბლემებიდან მომდინარეობენ. რაინდული ხანის ინგლისში გამოირჩევა აზნაურული გვარები, რომელთა ძირიც ვილჰელმ, დამპყრობლის დროიდან წარმომავლობს, ხოლო საფრანგეთში ისეთები, რომლებიც ჯერ კიდევ ჯვაროსანთა ლაშქრობების დროიდანაა შემორჩენილი.

ინტერეს მოკლებული არ იქნება იმაზე მითითებაც, რომ დასავლეთევროპულ ჰერალდიკაში გვხვდება აღმოსავლური ტოტემური ნიშნებისა და ემბლემების საკმაო რაოდენობა. ამის ნათელსაყოფად მოვიყვანთ თუნდაც შემდეგ მაგალითებს: ლომს ვხვდებით ინგლისისა და ფინეთის გერბებში, რუსეთის იმპერიის გერბსა და სხვაგან. აღმოსავლური წარმოშობისაა რუსული ჰერალდიკის ნიმუშებზე აღბეჭდილი გამოსახულებანიც - მთვარე, ხარი, გველი და სხვა.

ყურადსაღებია ზოგიერთი გერბის დამკვიდრების ისტორიაც. საფრანგეთის გერბის - "სამი შროშანის" წარმოშობის შესახებ შემდეგი გადმოცემაა შემონახული: შროშანი საფრანგეთის გერბად აქცია მეფე ლუი VII (1180 წ.), ყვავილის სახელწოდების საკუთარ სახელთან თანახმიანობის გამო. სიცილიის სამეფო გერბი "ტრინკარია" სიცილიაში წარმოებული გათხრების დროს აღმოჩენილ ბერძნულ ლარნაკზე აღბეჭდილი "ტრინკარიიდან" (ვარსკვლავისებური ფორმის უჩვეულო ფიგურა) მომდინარეობს.

ევროპის ქვეყნებისა და რუსეთის ზოგიერთ გერბს დაბლა, ფარზე აქვს წარწერებიანი ბაფთაც, რომელზეც ესა თუ ის დევიზია ამოკვეთილი. მაგალითად: "ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის", "რწმენისა და ერთგულებისათვის" და ა.შ.

ვფიქრობთ, აქ ზედმეტი არ იქნება იმის ხაზგასმაც, რომ ყველა გერბს როდი აქვს წარჩინებისა და გმირობის გამომხატველი ემბლემა. არის რიგი გერბებისა, რომელთაც გვარის შესატყვისი პროფესიული საქმიანობის ნიშანი აქვთ ამოტვიფრული.

ფეოდალიზმის ხანაში გერბს დიდი წონა ჰქონდა. იგი არისტოკრატიის უფლებრიობის სიმბოლოს წარმოადგენდა.

გერბების "დევალვაციას" საფრანგეთის მეფე ლუდოვიკო მეთოთხმეტემ მისცა ბიძგი. როგორც ცნობილია, არისტოკრატიასთან ბრძოლაში იგი მზარდ ბურჟუაზიას ეყრდნობოდა, რაც ამ უკანასკნელისათვის გარკვეული პრივილეგიების ბოძებასაც გულისხმობს. ქვეყნის არასახარბიელო ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად მან შემოიღო ე.წ. "გერბების მოპოვების კანონი". ამ კანონის ძალით ყველა, ვისაც კი გერბის მოპოვება სურდა, განსაზღვრული ფულადი საფასურის გადახდის შემდეგ სახელმწიფო ჰერალდიიდან იღებდა დამტკიცებულ გერბს. ასეთი გერბი, თუმცა კი მუზარადის სამკაულს მოკლებული, ოფიციალურ სახელმწიფო საგერბოში შეჰქონდათ. მითითებულმა კანონმა არისტოკრატიის, ამ "შეუვალი" კასტის - "წმიდათაწმიდის" პირველი ზღუდე შელეწა. ფეოდალიზმის მთელი სისტემის რღვევასთან ერთად, გერბიც ჰკარგავდა ძალას, უფასურდებოდა. ფულის ძალამ გაიმარჯვა გვარის სიძველეზეც

და ე.წ. “კეთილშობილებაზეც”. XIX ს.-ის ბოლოს საგვარეულო გერბებს არც საზღვარგარეთ და არც რუსეთში აღარ ანიჭებდნენ რაიმე განსაკუთრებულ მნიშვნელობას. გასაგებიც არის... ბურჟუაზია ხომ მასზე უფლებას უკვე ფულით იძენდა. კაპიტალიზმის ხანაში დასავლურ ჰერალდიკაში ჩნდება ახალი გერბები, რომლებზეც ერთობ უცნაური ემბლემებია ამოტვიფრული (აეროსტატი, ძეხვი, ყველი და თვით ასანთის კოლოფიც კი). ბურჟუაზიამ ისინი ძველი ჰერალდიკური ნიშნების წრეში შეიტანა.

რუსეთში გერბები გაჩნდა XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე. გერბების შემოღებამდე მათ როლს ასრულებდა ბეჭდები, რომლებსაც ემბლემა ან წარწერა ჰქონდათ, აქედან გამომდინარე, სარწმუნოდ მიგვაჩნია ის აზრი, რომ მთავართა და ბოიართა საგვარეულოებში პირადი სიმბოლოები ბევრად უფრო ადრე არსებობდა, ვიდრე გერბებს შემოიღებდნენ. სიმბოლოები ამოჰყავდათ დროშებსა და ბეჭდებზე. ასეთი ნიშნების მნიშვნელობაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ 1555 წელს შეადგინეს სპეციალური წიგნიც კი - “გვარტომეულის თანაბრად” (შემდგენელი ა.ადაშევი), რომლის 43 თავში ჩამოთვლილი იყო ბოიართა საგვარეულოები, წიგნი დაიწვა ხანძრის დროს, 1682 წელს. ხუთი წლის შემდეგ შეიქმნა ამავე დანიშნულების ახალი წიგნი - “ხავერდის წიგნად” წოდებული (ასე ეწოდებოდა ხავერდის გარეკანის გამო), რომელმაც 1812 წლამდე იარსება. მისი ნახევარი დაიწვა მოსკოვის ხანძრის დროს, გადარჩენილი ნაწილი კი იუსტიციის სამინისტროს არქივს გადაეცა. ხსენებული წიგნის დედანი რუსეთის თავად-აზნაურობის უფლებათა დოკუმენტად ითვლებოდა. მისი მონაცემების საფუძველზე შედგა “გერბთაღმწერლობა” (გამოდიოდა 1798-1836 წლებში). ამ უკანასკნელში (შეიცავდა 10 ტომს) საგვარეულო გერბები გენეალოგიური სიების მიხედვით არის შეტანილი. ამასთან, მოცემულია როგორც ძირეული რუსული გვარების, ისე რუსეთში დასახლებულ უცხოელთა საგვარეულო გერბები.

რუსული ოფიციალური (ანუ სახელმწიფო) ჰერალდიკის ჩასახვის პირველ ხანებში, ე.ი. XVII-XVIII საუკუნეთა მიჯნაზე, გერბთმცოდნეობის ძირითად საცნობაროს წარმოადგენდა ოკოლსკის წიგნი - “Orbis polonus” გამოცემული 1641 წელს.

1722 წელს რუსეთში შემოიღეს “ტაბულა რანგების შესახებ”, რომელიც მტკიცედ განსაზღვრავდა გერბთწარმოების მთელ სისტემას. მან XIX საუკუნემდე იარსება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რუსული ჰერალდიკის ორგანიზებისა და განვითარების საქმეს დიდი ღვაწლი დასდეს ბოიარინმა არტამონ მატვეევმა, რომელსაც ეკუთვნის პირველი მეცნიერული შრომა რუსული ჰერალდიკის

დარგში (დაწერა 1673 წელს) და ფრედერიკ გიზენმა, პეტრე პირველის თანამედროვემ.

რუსულ ჰერალდიკაში შევიდა ბევრი უცხოური წარმოშობის გერბიც. იგულისხმება, როგორც რუსეთში დასახლებული ფრანგების, გერმანელების, იტალიელების, დანიელების, ბერძნების, დასავლურ სლავური წარმოშობის ხალხებისა და სხვათა გერბები, ისე რუსეთთან შეერთებული მთელი რიგი აღმოსავლური სახელმწიფოების ხალხთა გერბებიც, მათ შორის ქართულიც.

ქართული გერბები მითითებული ჰერალდიკის ნაკადს (მხედველობაში გვაქვს რუსული ოფიციალური ჰერალდიკა) შეუერთდა გარკვეული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე. მხედველობაში გვაქვს საქართველოს რუსეთთან შეერთების ფაქტი (1801 წ.), რომელიც უაღრესად რთული პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული.

სხვა სახელმწიფოებრივ ინსტიტუტებთან ერთად, ცხადია, ჰერალდიის დეპარტამენტისადმი სათანადო ქართული უწყების დაქვემდებარებაც მოხდებოდა.

ჩვენთვის მთავარია იმის აღნიშვნა, რომ XIX საუკუნეში სანქცირებული გერბები, ქართველ თავად-აზნაურთა წოდებრივ უფლებებზე რომ მეტყველებენ და რუსეთის თავად-აზნაურობასთან ამ უკანასკნელის უფლებრივად გათანაბრებაზე მიუთითებენ, საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდგომ კანონდებული გერბებია, მათ ფაქტიურად აღარ აქვთ თავიანთი “გამოყენებითი” ფუნქცია და მხოლოდ დეკორატიული დანიშნულება შერჩათ.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა


1. ქართლის ცხოვრება (ანა დედოფლისეული ნუსხა). თბ., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942, გვ.54.
2. შ.ამირანაშვილი. ქართული ხელოვნების ისტორია. თბ., 1944, გვ.56.
3. ქართლის ცხოვრება (ანა დედოფლისეული ნუსხა). თბ., საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1942, გვ.54.

# ჰერალდიკური სიმბოლიკა

ქართული ჰერალდიკის საფუძველი ტოტემური აზროვნებაა. საზოგადოებრივი განვითარების სწორედ ამ სტადიაზე ისახება წარმართული სიმბოლიკის უძველესი ფორმები, ესოდენ მჭიდროდ რომ არის დაკავშირებული წარმართულ რელიგიურ წარმოდგენებთან.

ქართული წარმართობა უაღრესად რთული მოვლენაა, წარმართულ ღვთაებათა პანთეონი კი - უაღრესად მრავალფეროვანი. ქართული ჰერალდიკური სიმბოლიკა ნათელ სურათს გვაძლევს რელიგიურ წარმოდგენათა მთელ ამ სისტემაზე, საუკუნეთა მანძილზე ცვალებადობას რომ განიცდიდა და ქართველი კაცის სამყაროს წარმართული მსოფლგაგების თავისებურებას წარმოაჩენდა.

ჩვენი კვლევის საგნისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წარმართულ სიმბოლოთა "ხანდაზმულობაზე" მითითებას, მათი ცხოველუნარიანობის წარმოჩენას. მოვლენათა ასეთ ურთიერთკავშირში განსაკუთრებულ აზრს იძენს ის ფაქტი, რომ ჰერალდიკური სიმბოლოების შემცველ ძველთაგან უძველესნი ძვ. წელთაღრიცხვის III-II ათასწლეულთა მიჯნითაა დათარიღებული.

არანაკლებ ყურადსაღებია ის გარემოებაც, რომ წარმართულმა სიმბოლოებმა ქრისტიანულ სიმბოლიკაში შეაღწიეს და, მიუხედავად პირვანდელი აზრობრივი მნიშვნელობის სახეცვლისა, ნათელ წარმოდგენას ქმნიან უძველესი სარწმუნოებრივი წარმოდგენების რაობაზე.

განსაკუთრებით ცხოველუნარიანი აღმოჩნდა ტოტემური სიმბოლოები. წარმართულიდან ქრისტიანულ სიმბოლიკაში გადასულთ, მათ თვით ჩვენს დრომდე მოაღწიეს. გამოხატულებას ჰპოვებენ რა თანამედროვე ქართულ სახვით ხელოვნებაში, ტოტემური სიმბოლოები, ცხადია, დეკორატიული ელემენტის სახით წარმოდგებიან.

უძველესი ტოტემები თავიანთ გამოხატულებას ჰპოვებდნენ არა მარტო კულტში, არამედ ყოფა-ცხოვრებასა და სამხედრო სიმბოლიკაშიც (საბრძოლო ალმები, საბრძოლო ცულები, მუზარადები და ა.შ.). ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა მგლის (გველი) გამოსახულება კობანური ტიპის ცულებზე. თვით ზედწოდება "გორგასალში"[1] არის ტოტემური სიმბოლო ადამიანური აზროვნების უფრო ადრეული კონცეფციისა.

ქართულ ტოტემურ სიმბოლოთაგან განსაკუთრებული სიძველით გამოირჩეოდა გველის გამოსახულება. ასეთივე "ხანდაზმულია" ფასკუნჯების, ცხენის (როგორც მზის განსახიერება) და სხვა გამოსახულებანი.

კერძოდ, ძალზე ძველია ფასკუნჯის, ე.ი. არწივის ნისკარტიანი ფანტასტიკური ფრინველის გამოსახულება (იგი განისაზღვრება ძვ. წ. III ათასწლეულით). ძველი წარმოშობისა უნდა იყოს ცხენის გამოსახულებაც (ანტიკური ხანის საბერძნეთში ცხენის სახე გაიგივებულია მზესთან).

უძველესი ისტორია აქვს ლომის როგორც ღვთაებრივი ძლიერებისა და ძალისადმი თაყვანისცემასაც. ხშირად ეს სიმბოლო დაკავშირებულია იმავე მნიშვნელობის სხვა სიმბოლოსთან - არწივთან (ლომისთავა არწივი შუმერებში იყო გავრცელებული). საქართველოში ძვ. წ. აღ. VI საუკუნემდე ლომების გამოსახულება, გარდა თრიალეთის სამარხისა, არსად არ გვხვდება. იგი არც კოლხურ-კობანურ ნიმუშთა შორის გვხვდება. ძვ. წ. აღ. VI საუკუნიდან ლომების აღბეჭდვა უკვე ხშირი მოვლენაა. მაგალითად,კოლხეთში ლომის გამოსახულებას ფულზე ტვიფრავდნენ, უფრო გვიან, განსაკუთრებით შუა საუკუნეების ქართულ ძეგლებში, ლომი ერთ-ერთი გავრცელებული ემბლემათაგანია. ლომი და ტაიჭი (მზესთან გაიგივებული) შოთა რუსთაველის საყვარები სახეებია.

ქართული ჰერალდიკის ხანდაზმულობის თვალსაზრისით ერთობ საყურადღებოა ბალთა ფასკუნჯების გამოსახულებით და გველის ჰერალდიკური კომპოზიცია. ჩვენ არა გვაქვს სავსებით უტყუარი საბუთი, რომ ეს გამოსახულება მივაკუთვნოთ, ვთქვათ, საბრძოლო ტანსაცმელზე ან სამხედრო ქამრებზე გამოხატულ სიმბოლიკას, ე.ი. პირდაპირ დავაკავშიროთ ჰერალდიკასთან, მაგრამ ამ კომპოზიციის სიუჟეტს მაინც ღრმა ფესვები აქვს გადგმული შორეულ წარსულში. ზოგიერთი მეცნიერის განმარტებით, ფასკუნჯი გველის მტერი იყო. გველი კი აქ შეიძლება განვიხილოთ როგორც დემონური ძალის გამოხატულება.

საღმრთო სამსხვერპლო ალბათ ერთ-ერთი ხშირი ემბლემათაგანია წარმართული ხასნისა. იგი გვხვდება ვერცხლის ლანგრებზე გამოსახული ცხენების კომპოზიციებში. ეს ლანგრები გათხრების დროს აღმოაჩინეს ბორსა და არმაზისხევში. ორივე შემთხვევაში ცხენი წარმოდგენილია როგორც სამსხვერპლოს წინაშე მდგარი ღვთაება - მზე, ხოლო მესამე შემთხვევაში (არმაზისხევის ერთ-ერთ ლანგარზე), როგორც შეწირული ცხოველი. ეს საკულტო ძეგლები თამამად შეიძლება მივაკუთვნოთ ჰერალდიკურ სიმბოლიკას. ამ თვალსაზრისით, უაღრესად

საყურადღებოა V საუკუნის ძველი ქართული სამნავიანი კათედრალური ბაზილიკის - ბოლნისის სიონის დეკორიც, რომელშიც ბევრი წარმართული ელემენტია. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რელიეფი, სახელდაბრ, ხარის თავი, რომელსაც რქებს შუა ჯვარი აქვს მოთავსებული, წარმართული საკულტო ნიშნის მოდიფიცირების მაგალითია.

ზუსტად ასეთივე ჯვარი შეინიშნება ბოლნისის სიონის ჰერალდიკურად შედგენილ მეორე კომპოზიციაში. მასზე გამოსახულია პირისპირ მდგომი ორი ფარშევანგი (აღდგომისა და უკვდავების სიმბოლოებს შორის).[2] განიხილავს რა ამ რელიეფის სტილისტურ თავისებურებებს, აგრეთვე საკურთხევლისპირა სვეტის თავზე გამოსახული ფრთოსანი ლომების ფიგურებს, აკად. გ.ჩუბინაშვილი[3] მიუთითებს წარმართულ გავლენაზე აღნიშნულ დეკორზე (სამმაგი კონტურული ხაზები ხარის თვალებზე).

ჰერალდიკურია აგრეთვე ბოლნისის სიონის ორნამენტის ზოგიერთი სხვა დეტალიც. ასეთია, მაგალითად, მედალიონში მოთავსებული ჯვარი.[4] შესაძლებელია რომ ეს უკანასკნელი გორგასალის ეპოქის ქართული ალმის ფორმას იმეორებს, ეს ვარაუდი მით უფრო დასაშვებია,რომ მისი საერთო სტრუქტურა და ფორმა აღმოსავლეთის ხალხების უძველეს საბრძოლო ალმებს ემთხვევა (ხეთები და სხვ.).

მხედველობაში უნდა მივიღოთ ის გარემოებაც, რომ ბევრმა ძველმა სიმბოლომ დროთა განმავლობაში დაკარგა თავისი პირვანდელი აზრი და ახალი ეპოქის შესაბამისად გარდაიქმნა.[5] ამიტომ, ვაკუთვნებთ რა ჰერალდიკას ამგვარ სიმბოლოებს, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს იმის დადგენას, თუ როგორი იყო მისი პირვანდელი მნიშვნელობა.

ამასთან, ძველი ქართული ხალხური და საკულტო სიმბოლიკის მრავალი გამოსახულების ჰერალდიკურ ნიმუშებად მიჩნევისას, აუცილებელია დადგინდეს მათი ფორმის ჰერალდიკურობაც. სიმბოლოების ტიპური ხელოვნური სირთულე, რაც ასე დამახასიათებელია დასავლეთის ნიმუშებისათვის, სავალდებულო არ არის აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის. თვით დასავლურ გერბებშიც კი ყოველთვის არ იცავდნენ ამ წესს, განსაკუთრებით პოლონურ და ლიტვურ გერბებში, რომლებშიც სიმბოლური გამოსახულებანი მარტივი, რეალისტურია. ასეთი გერბებია: “იასენჩიკი”, “ჭაბუკი”, “პაპარონა”, “ზუძიჩი” და სხვა. სხვათა შორის, ამ გერბების სტილი გაცილებით ნაკლებ “ჰერალდიკურია”, ვიდრე გვერის გამოსახულება კოლხურ-კობანურ ცულებზე, ან ფრთოსანი ლომების გამოსახულებანი ნიკორწმინდისა და ბაგრატის ტაძრების

დეკორიდან. ამრიგად, ზემოთ აღძრული საკითხი შედარებით ადვილად წყდება ძველი ქართული სიმბოლოების სასარგებლოდ. გაცილებით ძნელია თვით ემბლემების სწორი განსაზღვრა, იმის დადგენა, არის თუ არა ესა თუ ის ემბლემა თავისი არსით სიმბოლური, თუ იგი უბრალოდ დეტალია დეკორისა. ამ საკითხის გადაჭრისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. ცნობილია, რომ გერბზე, დროშაზე, ფულზე ან იარაღზე აღბეჭდილი ემბლემები პირდაპირ ჰერალდიკას მიეკუთვნება. რაც შეეხება კულტის, ან ხალხურ თქმულებათაგან მომდინარე ემბლემებს, ისინი ჰერალდიკურ სიმბოლოებად იქცევიან და ხშირად ჰერალდიკის (გერბების) სხვადასხვა სახეში შედიან. განა ჰერალდიკას არ უნდა მივაკუთვნოდ ეშერის მთის გათხრების დროს აღმოჩენილი ან ახალგორის განძის ბეჭდებზე გამოსახული ფასკუნჯები, აშკარად ჰერალდიკურია ლომების გამოსახულება ალამზე თრიალეთის სამარხიდან, ოთხი ფასკუნჯი გველებით (ბალთა, დასავლეთ საქართველო), გვერების გამოსახულება ცულებსა და იარაღზე კოლხურ-კობანური კულტურის ფენისა, სამსხვერპლო სამთავროს თასზე, მონეტებზე გამოსახული სამსხვერპლო და სხვ.

ეჭვგარეშეა, ყოველივე ეს წმინდა ჰერალდიკური მასალაა, რითაც დასტურდება ძველი ქართული ჰერალდიკის ხანდაზმულობა.

XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართულმა ჰერალდიკამ ამ დროისათვის დასავლეთში დაკანონებული ფორმა მიიღო. ამიტომ, ბევრი ფიქრობს, რომ ქართული ჰერალდიკის არსებობა მხოლოდ ამ დროიდან იწყება. ასეთ მცდარ თვალსაზრისს აბათილებს ათასწლეულთა ჰერალდიკური მემკვიდრეობა, რომლის ნიმუშებზეც ზემოთ ითქვა.

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. სპარსულად გორგასარ - მგლისთავას ნიშნავს (გორგ - მგელი). მეფე ვახტანგის მუზარადზე მგელი იყო გამოსახული (შესაძლოა, დრაკონ-მგელი, რომელიც ჯერ კიდევ შორეულ ხანაში, კერძოდ, კობანურ კულტურაში ბრინჯაოს საბრძოლო ცულებზე გვხვდება).
2. გ.ჩუბინაშვილი. ბოლნისის სიონი. თბ., 1940, გვ.158-160.
3. იქვე, ტაბულა I და აღწერილობა, გვ.157-158.
4. იქვე, ნახ. 110-113 და სხვ. (კედლებზე, ნახ. 75-76).
5. ნ.ბერძენიშვილი, ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია. საქართველოს ისტორია. თბ., 1948, გვ.96.

# წარმართული საკულტო სიმბოლოები

## მზე და მთვარე

ქართული წარმართული კულტურის უძველესი ღვთაებანი - მზე და მთვარე, გარდა სიმბოლური ნიშნებისა (ილუსტრ. 1,2), წარმოდგენილი არიან მთვარის ღვთაებისა (ილუსტრ. 32, შესაძლოა, რომ იგი მამრობითი სქესის ღვთაების - არმაზის პროტოტიპია) და ქალღმერთი-დედის - მზექალის (ილუსტრ. 33) გამოსახულებებით. ეს უკანასკნელი, წარმოსახულია ძროხისთავა მუხლმოდრეკილი ქალის სახით.

## ცხვარი

უძველესი საკულტო სიმბოლო. კეთილი საწყისის (შესაწირი მსხვერპლისა და რიჟრაჟის განსახიერება (ილუსტრ. 53). გვხვდება ფიბულებზე, გემმებზე, ბეჭდებზე და ა.შ., როგორც მაგიური ნიშანი.

## ლომი

ძველი აღმოსავლეთის ხალხებში ფრიად პატივდებული სიმბოლო (შემდეგში ევროპის ხალხთა მიერ შეთვისებული). ლომი ძლიერების განსახიერებაა. მის გამოსახულებას, როგორც რიტუალური და მაგიური (ილუსტრ. 44,45,58) მნიშვნელობის მქონისას, ხშირად ვხვდებით სამარჯურებზე, საყურეებზე და სხვ. აღნუსხულია ფრთოსანი ლომების მაგალითებიც.

## დრაკონი

გვხვდება რიტუალური მნიშვნელობით, უმთავრესად სამკაულებზე (ილუსტრ. 24). ზოგჯერ ფასკუნჯთან (გრიფონი) არის გაიგივებული. სიმბოლური მნიშვნელობით უდრის წყლის ქაოსს (სტიქიას).

## გედი

ფრიად იშვიათად გვხვდება ქართულ სიმბოლიკაში (ილუსტრ. 54).

## თხა

როგორც სიმბოლო ძალზე ხშირად გვხვდება ჩვეულებრი, შტანდარტების თავებსა და ქალის სამკაულებზე (სამაჯურები, ქინძისთავები და სხვა). უაღრესად საყურადღებოა თხის გამოსახულება აფხაზეთის დროშაზე (ილუსტრ. 227) აღნიშნული სიმბოლო აშკარად ტოტემური წარმოშობისაა. ხშირად ამულეტის ხასიათი აქვს.

## სენმურვი

ფრთოსანი ძაღლი. გამოუცნობი სიმბოლო. გვხვდება ატენისა და ნიკორწმინდის ტაძრების დეკორში (ილუსტრ. 66,76).

## შვიდტოტიანი მუხა

მიწათმოქმედების ღვთაების სიმბოლო. ანალოგიისათვს გავიხსენოთ ხეთების ღვთაებრივი ხე (ცხოვრების ხე).

## ხარი

ხარის კულტი ძალზე ძველია. თაყვანს სცემდნენ მთელს საქართველოში. (ილუსტრ. 39,40,68,77).

## ტახი

საფიქრებელია, რომ იგი ძველი მეგრელების ტოტემური სიმბოლო იყო, ნაყოფიერებისა და ტომობრივი ერთეულის განმასახიერებელი.

XVII-XVIII სს. სამეგრელოს (ოდიშის) დროშაზე გვხვდება ემბლემის სახით (ილუსტრ. 223).

მივუთითებთ ტახისა და შინაური ღორის (როგორც ნაყოფიერებისა და მიწათმოქმედების, მიწის დამუშავების) სახეთა იგივეობაზე.

## გველი

სიბრძნის სიმბოლო. ხეთების, ბაბილონელთა, ეგვიპტელთა და სხვა ძველი ხალხების საკულტო სიმბოლო. როგორც ჩანს, ხეთების გავლენით, ეს სიმბოლო (ცხადია, სხვადასხვა გააზრებით) სხვა ხალხთა სიმბოლიკაში, კერძოდ, ქართულ სიმბოლიკაშიც (იგულისხმება, როგორც წარმართული, ისე ქრისტიანული სიმბოლიკა) გადმოვიდა (ილუსტრ. 42).

## ცხენი

ცხენი, როგორც მზის კულტის ელემენტი, ითვლება ცის მაცნედ, განთიადისა და მზის სიმბოლოდ (ილუსტრ. 34,35,36). ზოგჯერ იგი ადამიანთან ერთად ერთ კომპოზიციაშია გაერთიანებული.

ბრინჯაოს ბალთებზე (ძვ. წ. VI ს.) ცხენი ფიგურირებს, როგორც ბოროტ სულთა მსხვერპლი. უაღრესად ტიპიურია ახალგორსა და არმაზში წარმოებული გათხრებისას წარმოჩენილი მზის რაშები. ფრთოსანი ცხენი (პეგასი) შედარებით იშვიათი მოვლენაა ქართულ სიმბოლიკაში, გვხვდება კახეთის დროშაზე (XVII-XVIII სს., ილუსტრ. 220).

## ჩიტი

სულის სიმბოლო, ცის მაცნე (ილუსტრ. 46,47). მასში აისახა თავისი არსით უაღრესად რთული, ბევრი ფრინველის (გერუდა, სიმურღი, რუხი და ანკა) სიმბოლო შინაარსობრივი სირთულის მხრივ. ჩიტის სახეში შედის ქალი-ფრინველის სირინოზის სიმბოლიკაც (ილუსტრ. 81,104).

## თევზი

ძალზე ძველი სიმბოლო, დაკავშირებული წყლის სტიქიასთან. სიბრძნის სიმბოლო. შუა საუკუნეების საქართველოში ჭრიდნენ თევზის ფორმის ფულს (ილუსტრ. 261).

# ირემი

კეთილი საწყისის სიმბოლო. წარმართულიდან გადავიდა ქრისტიანულ კულტში. გამოისახებოდა დროშებზე, ბეჭდებსა და გერბებზე (ილუსტრ. 63,221).

***

ზემოაღნიშნული სიმბოლოების (მათი სია არც თუ ისე სრულია) გამომსახველობითი ფორმა შეესატყვისება საყოველთაოდ ცნობილ ჰერალდიკურ სტილს. სიმბოლოთა სახეებზე მითითებისას მხედველობაში უნდა მივიღოთ სიმბოლური მნიშვნელობის მაგიური ნიშნებიც, ქართველი ხალხის ყოფაში ესოდენ ღრმად რომ იყო დამკვიდრებული. მხედველობაში გვაქვს ამულეტები, თილისმები და დამღები, რომელთაც ხშირად მისტიკური მნიშვნელობა ენიჭებოდათ, როგორც ავსულთაგან, ბოროტისაგან "დამცველს" და "მფარველს". აზრი, რომელიც ჩაქსოვილია ასეთი ნიშნების ჰერალდიკურ ფორმაში არც თუ იოლი ამოსაკითხავია.

# ჰერალდიკა

ძველი საქართველოს სახელმწიფო გერბებიდან ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ ბაგრატიონთა დინასტიის გერბმა, ისიც არა უადრეს XVIII საუკუნის ნიმუშმა (გვხვდება ვარიანტების სახით). შეესაბამებოდა თუ არა აღნიშნული გერბი უფრო ადრეულ გამოსახულებებს? ეს საკითხი ღიად რჩება. მივუთითებთ შემდეგზეც: საქართველოში ნამეფებ სხვა დინასტიათა გერბებს ჩვენამდე არ მოუღწევია.

რაც შეეხება საგვარეულო გერბებს, მეცნიერთა ვარაუდით საქართველოში იგი XVIII საუკუნემდე არასოდეს ყოფილა. მიაჩნიათ, რომ მანამდე არსებობდა მხოლოდ პირადი ბეჭდები. საგვარეულო გერბები, მხოლოდ რუსეთთან ურთიერთობის დროიდან ჩნდება. როცა ქართველ თავად-აზნაურებს XIX საუკუნის გერბებს უმტკიცებდნენ რუსეთში, ითვალისწინებდნენ თითოეული გვარის ზოგიერთ ტრადიციულ სიმბოლოს. რა სიმბოლოები იყო ისინი? პირადი, ან საგვარეულო ნიშნები, რომლებიც ოდესღაც ფეოდალთა ალმებზე ან უძველეს ბეჭდებზე იყო გამოსახული. ასეთი ტრადიციული სიმბოლოები არსებობდა ძველ ქართველ დიდებულთა წრეში.* (* იხ. ილუსტრაციები: №144 (ამილახვრების გერბი), №261 (თევზი ყვარყვარე ათაბაგის ფულზე, XV ს.).

რუსეთში გაფორმებული საგვარეულო გერბებიდან უძველესად უნდა მივიჩნიოთ ისინი, რომლებიც ქართველი მეფეების - არჩილ და ვახტანგ VI თანხლებმა პირებმა მიიღეს (XVIII ს.) მათ ეს გერბები ეძლეოდათ იმ საერთო წესის მიხედვით, რომელიც რუს თავად-აზნაურთათვის იყო დაკანონებული. გაცემული გერბი, საგვარეულო სიასთან ერთად, რუსეთის საგერბო წიგნში შეჰქონდათ. სავარაუდო იყო, რომ ამ წიგნში იოლად შეიძლებოდა ქართული გვარების ყველა გერბის ნახვა. მაგრამ ეს არ მოხერხდა. ერთი შეხედვით ამ უცნაური ფაქტის მიზეზი ასე აიხსნება: არსებული წესის მიხედვით, გერბის მაძიებელ ყოველ პირს ჰეროლდიის დეპარტამენტის სისტემაში უნდა წარედგინა გერბის ნახატი, პროექტი და თავისი უფლების ყოველმხრივ დაზუსტებული დასაბუთება. თუ დასაბუთება დამარწმუნებელი აღმოჩნდებოდა, პროექტის განხილვის შემდეგ გაცემული გერბი შეჰქონდათ გერბთა აღწერილობაში. პროექტის დაწუნების შემთხვევაში გერბის ნახატს მის მფლობელს უბრუნებდნენ და გერბთა აღწერილობაში აღარ შეჰქონდათ. ასეთი არასანქცირებული გერბი მფლობელის სიკვდილის შემდეგ, ჩვეულებრივ, საფლავის ქვაზე ან საგვარეულო

აკლდამის შესასვლელში ამოიკვეთებოდა ხოლმე. უნდა ითქვას, რომ ამით ხსენებული გერბები არ კარგავენ თავიანთ ადგილს და მნიშვნელობას ქართულ ჰერალდიკაში.

## შენიშვნები

**№18. ჰერალდიკური ნიშნები არმაზის ქვაზე**. ნიშანი ამოკვეთილია ქვის ცენტრალურ ადგილას, ამ ნიშნის მნიშვნელობა ჯერ გაურკვეველია, მაგრამ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი მეფის ხელისუფლების ჰერალდიკური სიმბოლოა. აღნიშნული ნიშნის გარდა, დიდ ინტერესს იწვევს ერთი გვერდითი ნიშანი (მთვარის გამოსახულების მარჯვნივ), რომელიც ლათინურ ასო S ჰგავს. ამ ნიშნის (სპირალის) განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიგვითითებს ქართულ სიმბოლიკაში მისი შემდგომაც არაერთგზის განმეორების ფაქტი. შესაძლებელია, რომ ამ ნიშანს საკულტო მნიშვნელობა ჰქონდა. საგულისხმოა, რომ ამ ნიშანს ვხვდებით ხეთურ ორნამენტშიც, ძირითადი მოტივეს სახით.

**№25-31. გვერი - როგორც ტოტემი (საბრძოლო იარაღი)**. დრაკონი, მგელი, როგორც ტოტემი და თილისმა აღბეჭდილია ქართულ ცულებზე (კოლხურ-კობანური კულტურა), ხმლებსა და სხვა საგნებზე, ამ შემთხვევაში - იარაღზე. გვერის ეს გამოსახულებანი ქართული ჰერალდიკის უძველესი ხანიდან მომდინარეობის საბუთია. ჩვენს ნაშრომში შეტანილი გამოსახულებანი აღმოჩენილია გუდაუთის რაიონის სოფელ პრიმორსკოეში.

**№33. მზექალი (ხარისთავა ადამიანი, ძვ. წ. V ს.).** პროტოტიპები,როგორც ჩანს,აღმოსავლეთის უძველესი ხალხების (მაგალითად, ეგვიპტელთა) კულტში უნდა ვეძებოთ, თუმცა ხარი ძველი კოლხებისა და იბერების სარწმუნოებრივი ემბლემაც გახლავთ. იგი მზის წრის ნიშანთ მიეკუთვნება.

**№37. საკულტო ცხენი ბომონის წინაშე (ბორის თასი. I-II სს.).** სიმბოლური კომპოზიცია, აღბეჭდილი ბორის თასზე (აღმოჩენილია 1902 წელს, ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ბორის

ახლო. ინახება სახელმწიფო ერმიტაჟში. მიეკუთვნება I-II საუკუნეების მიჯნას).

**№38. საკულტო ცხენი ბომონის წინაშე (არმაზის თასი. I-I სს.).** არმაზის თასზე, გამოსახული ბომონის წინ მდგარი ცხენი შესაწირავ ცხოველს წარმოადგენს, მთლიანად გამოსახულება კი - ღვთაებისათვის უსისხლო მსხვერპლ-შეწირვის სცენას. ჩვენ ამ გამოსახულებას მზის კულტს ვუკავშირებთ და ვთვლით, რომ საკურთხეველის წინ (საღვთო ცეცხლი) დგას სამსხვერპლოდ განწირული ცხოველი (ლოცვის ნიშნად აწეული წინა ფეხით, თანახმად მითრას კულტისა, რომლის გამოძახილი გვაქვს წარმართულ საქართველოში).

**№44. ლომის თავი.** ძველი კოლხების მხატვრული ოსტატობის შესანიშნავი ნიმუშია. ყურადღებას იპყრობს გამოსახულების ექსპრესიულობა, თავის ანატომიური სიზუსტე. გამოსახულება აღიქმება როგორც ღვთაებრივი ძლიერების სიმბოლო.

**№45. ლომი.** ლომი,როგორც ძალისა და საღვთო ძლიერების სიმბოლო, ხშირად გვხვდება საქართველოში.

**№49. გრიფონი (ფასკუნჯი) და ხარი.** გამოსახულება ეშერის მთის გათხრებისას აღმოჩენილ თვლიან ბეჭედზეა აღბეჭდილი. პროფესორ ბ.კუფტინის აზრით, ძეგლის დათარიღება შეიძლება ძვ. წ. VI საუკუნით. ხარის თავი შეიძლება განვიხილოთ როგორც გრიფონის (ფასკუნჯის) მსხვერპლი.

**№51. გველის მშთანთქმელი გრიფონები.** ზუგდიდის მუზეუმში დაცულ ოქროს ბალთაზე გამოსახული ეს ჰერალდიკური კომპოზიცია (ნაპოვნია მდ. ენგურის ნაპირზე, სოფ. თაგილონის მახლობლად) თარიღდება I საუკუნის მეორე ნახევრითა და II საუკუნის დასაწყისით. სიუჟეტის მხრივ იგი იშიფრება როგორც გრიგონი (ოთხჯერ გამეორებული თავითა და კისრით), რომელიც ნთქავს გველს. გველის ტანი ქვემოთ ფართოვდება და სანამ იყოფა (იქცევა რა ორნამენტალ მოტივად).

**№55.** აქ მოყვანილი გრაფემები თარიღდება VI-VII საუკუნეებით.

**№56-58. ბოლნისის სიონის დეკორი (V ს.).** ბოლნისის სიონი ერთ-ერთი უძველესი ქრისტიანული საკულტო ძეგლია საქართველოში. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს თავისი დეკორით, რომელშიც წარმართული რწმენის კვალია აღბეჭდილი. როგორც ითქვა, ქრისტიანობამ, რომელმაც წარმართობა შეცვალა, თავის სიმბოლიკაში მიიღო წინამორბედი კულტების ბევრი სიმბოლო. ბოლნისის სიონის დეკორში ასეთ გამოსახულებებს მიეკუთვნება ხარის თავი, რქებს შორის მოთავსებული ჯვრით (ამოკვეთილია ბაპმისტერიუმის სვეტის თავზე). ახალი კულტისათვის დამახასიათებელი სიმბოლური შეფარდების მიუხედავად, იგი მაინც უახლოვდება ძველ პროტოტიპებს. შენარჩუნებული აქვს ისეთი დეტალებიც კი - როგორიცაა, თვალის გარშემო შემოვლებული სამგვარი რკალი. სიუჟეტურად და სტილისტურად დამახასიათებელია ლომებიც. ყურადღებას იქცევს აგრეთვე სიმბოლური მცენარეები, რომელთაც "სამეფო მოსახვევები" აქვთ. განსაკუთრებით აღსანიშნავია მედალიონში ჩასმული ჯვარი, იგი გავრცელებული სიმბოლოა ბოლნისის ჯგუფის ძეგლებზე. ასეთი ჯვარი გამოსახულია დროშის ტარზეც.

**№59. ჯვარი ოვალში** (ბოლნისის სიონის რელიეფი, V ს.), შესაძლოა, V საუკუნის საქართველოს ალამი. ახლო აღმოსავლეთის უძველესი ქვეყნების ალმებთან მისი ფორმის ანალოგიურობა უფლებას გვაძლევს იგი სწორედ ალმად ჩავთვალოთ (შეიძლება უფრო ადრინდელი ხანიდან წარმომავლადაც). ვარაუდობენ, რომ ბოლნისის სიონის ჯვრის სახით ქართული ქრისტიანული ბაირაღის წარმოქმნასთან გვაქვს საქმე. კომპოზიცია აგებულია ჰერალდიკურად, შუა ვერტიკალური ღერძით. ჯვრის გვერდებზე სიმეტრიულადაა განლაგებული სამეფო ფრინველები - ფარშევანგები, რომელთა სიმბოლურ მნიშვნელობას სხვადასხვა განმარტება ეძლევა (მათ შორის მკვდრეთით აღდგომა და მარადიული სიცოცხლე).

**№61. ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა.** VI ს. ფულზე ამოჭრილი ჰერალდიკური ემბლემა. იგი საქართველოში ცეცხლთაყვანისმცემლობის კულტის გავრცელების ცდათა პერიოდს მიეკუთვნება. გამოსახულების შუაშია სამსხვერპლო, გვერდებზე კი - კვერთხებითა და ხმლებით შეიარაღებული აღმა მიმავალი მცველები. პირეი შემკულია სამეფო მოსასხამით. კვარცხბეკი სამსაფეხურიანია. პირეიზე საღვთო ცეცხლი გიზგიზებს. კომპოზიცია აგებულია ჰერალდიკურ სტილში და

რელიგიურ-სახელმწიფოებრივ, ოფიციალურ სიმბოლიკას მიეკუთვნება.

**№62. ქართულ-სასანური მონეტა.** კომპოზიცია აღბეჭდილია VI ს. ქართულ ფულზე. სქემის მხრივ ეს ემბლემა იგივეა, რაც პირველ ფულზე (იხ. №61), მაგრამ მისგან განსხვავებით, ნაცვლად მაზდეიზმის საღვთო ცეცხლისა, აქ მთავარ ადგილზე აღმართულია ჯვარი. აღნიშნული მონეტების შედარება გვიჩვენებს, თუ რა გავლენას ახდენდა რელიგიური ორიენტაციის შეცვლა ჰერალდიკურ სიმბოლიკაზე.

**№63-66. ატენის სიონის დეკორი** (VI ს.). ამ ტაძრის ფასადზე გვხვდება აღმშენებელთა რელიეფები, აგრეთვე სიმბოლური, საკულტო სიუჟეტების ვრცელი სერია. აქედან ჩვენს წიგნში ჩართულია ჩრდილოეთის მთავარი კარის ლუნეტის რელიეფი, იგი წარმოადგენს "ჰერალდიკურად" შედგენილ გამოსახულებას - ორი მწყურვალე ირემი (სულთა სიმბოლო) ციურ წყაროსთან. განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ფასადებზე მოთავსებული ფანტასტიკური და რეალური ცხოველებისა და ფრინველების გამოსახულებანი. მაგალითისათვის მოგვყავს გრიფონი (დასავლეთის ფასადი) და მტაცებელი ფრინველი, ალბათ კურდღლის გამტაცებელი ძერა.

**№68. ხარის თავი (სვეტიცხოველი, X ს.).** შესაძლებელია, რომ ეს დეტალი, ე.ი. ხარის თავი, ამ ადგილზე არსებული ტაძრის დეკორიდანაა, შემდგომში კი, აღადგინეს როგორც საკულტო სიმბოლო. აღნიშნული ხარის თავი თავისი სტილით (თვალების დამახასიათებელი რკალებით) მსგავსია ბოლნისის ტაძრის ხარის თავისა.

**№69. ხელის სიმბოლიკა (სვეტიცხოველი).** ძველ საქართველოში მიღებული იყო ადამიანის ხელის გამოსახვა. ჩვეულებრივ, მცირე სკულპტურის ნიმუშებზე აღბეჭდილია კურთხევის ჟესტი ან საჭრეთლიანი ხელი (ეს უკანასკნელი გამოსახულია სვეტიცხოვლის ფასადზე). როგორც ჩანს, ძველად ხელს რაღაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. მოგზაურ დიუბუა დე მონპერეს ცნობით, იგი ხელის გამოსახულებებს შეხვდა ფეოდალური საქართველოს სიმაგრეების ბევრ კედელზე (რაჭაში, თავად წულუკიძის სასახლეში და სხვ.). ხელის ნიშანი (მისი სხვადასხვა მდგომარეობისას: ლოცვა-კურთხევა, ბეჭედი,

ძალაუფლება და სხვ.), წარმოდგენილი ჰქონდათ, როგორც ხილული სახე, რაღაც უზენაესი, საიდუმლო, ჯადოსნური ძალისა.

**№75-79. ნიკორწმინდის დეკორი.** თანახმად სამშენებლო წარწერისა, ტაძარი აგებულია 1014 წელს. შენობა კარგადაა შენახული, თუმცა XV და XVII საუკუნეებში ჩატარებულმა შეკეთებამ მცირეოდენი ცვლილება შეიტანა დეკორში. თავისი არქიტექტურული ფორმითა და ორნამენტული დეკორით ეს ტაძარი ერთ-ერთი შესანიშნავი ძეგლთაგანია ძველი ქართული მონუმენტური ხუროთმოძღვრებისა. ზოგიერთი მკვლევარი (ნ.მარი, ბ.კუფტინი და სხვ,) ამ ტაძრის სახელწოდებას უკავშირებს ხარის კულტს, რადგან სახელწოდების პირველი ნახევარი "ნიკორ" აღნიშნავს ნიშა ხარს. როგორც ჩანს, ადრე აქ წმ. ხარის მსხვერპლშეწირვის ადგილი, წარმართული ბომონი უნდა ყოფილიყო. ინტერესმოკლებული არ იქნება აღინიშნოს, რომ სამეგრელოში, ილორში სპეციალური დღესასწაულებიც კი იმართებოდა ხარის მსხვერპლშეწირვით. (ასეთ დღესასწაულებს ადგილი ჰქონდა XX საუკუნის დასაწყისშიც კი). აღსანიშნავია, რომ ნიკორწმინდის ტაძრის ახლოს, საკულტო მთაზე, აღმოაჩინეს ბრინჯაოს ბალთაზე გამოსახული ხარი, რომელსაც გველ-ძაღლა კბენს.

ტაძრის დეკორიდან გამოვყოფთ რეალური და ფანტასტიკური ცხოველებისა და ფრინველების რამდენიმე ნიმუშს (ფრთოსანი ლომები, ცხენები, ფასკუნჯები, სენმურვები, ცხენოსანი წმინდა მხედრები და სხვ.). ყველა გამოსახულება, სტილის მხრივ, ჰერალდიკურია. ეს ის "სტილია", რომელიც თითქმის დოგმად იქცა დასავლეთის ჰერალდიკაში.

**№80-85. ბაგრატის ტაძრის დეკორი.** ბაგრატის ტაძარი (აგებულია 1003 წელს) გამოირჩევა ქვის დეკორის სიმდიდრით. ტაძარმა ჩვენამდე ნანგრევების სახით მოაღწია. საბჭოთა ხელისუფლების წლებში წარმოებული აღდგენითი სამუშაოების დროს აღმოაჩინეს დეკორის ფრაგმენტები (როგორც თვით ტაძრის, ისე მისი მინაშენებისა). ამ ფრაგმენტებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს რელიეფით შემკული ორი უზარმაზარი სვეტისთავი. ტაძრის სიმბოლიკის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან (ისინი მეტწილად ხსენებულ სვეტისთავებზეა თავმოყრილი) განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ფრთოსან არსებათა გამოსახულებანი. შესაძლოა, ისინი არწივის - "ფრინველთა მეფის" ძალისა და ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენენ (არწივებს

ბრჭყალებში უჭირავთ გველი, ფრინველი და კრავი). XIX საუკუნის პირველი ნახევრის მოგზაურის დიუბუა დე მონპერეს ჩანაწერების მიხედვით, არწივებს ადამიანის თავები ჰქონდათ. მაშასადამე, უნდა ვიფიქროთ, რომ აქ ფანტასტიკური არსებები იყო აღბეჭდილი (კომპოზიციის აზრია - სათნოება ბოროტების კლანჭებში). ზოგიერთი მკვლევარის შეხედულებით, გველი კეთილი საწყისის განსახიერებაა. რაც შეეხება ცხვარს - იგი შიმშილის სიმბოლოა. ამ ტაძრის სიმბოლიკაში გვხვდება ფრთოსანი ლომებიც. ისინი ხარებთან ერთად არიან წარმოდგენილი ერთსა და იმავე კომპოზიციაში. ადამიანისთავა არწივი, ბრჭყალებით ცხვარი რომ უჭირავს, ჯერ კიდევ საფარის მონასტრის წმ. საბას ტაძრის დასავლეთის კარიბჭეზე გვხვდება.

**№86. ოშკის ტაძრის დეკორი.** საკრებულო ტაძარი, აგებულია X საუკუნეში. თლილი ქვით მოპირკეთებულ ტაძარს აქვს მდიდარი დეკორი. შემორჩენილია ფრესკული მოხატულობის ფრაგმენტებიც. ოშკის სიმბოლურ კომპოზიციათა ნიმუშებიდან ყურადღებას იპყრობს: ხარზე თავდამსხმელი ლომი და ირემზე თავდამსხმელი ლომი (ბოროტება თავს ესხმის სიკეთესა და სათნოებას). აღნიშნული სიმბოლური კომპოზიციის თემები ძალზე ძველია. იგი გვხვდება ჯერ კიდევ შუმერთა სიმბოლიკაში, აგრეთვე - აქემენიდურ ირანში, ლიდიასა და სხვაგან.

**№87. გრიფონი** (მარტვილის ტაძარი, VII ს. გადაკეთებულია X საუკუნეში). მისი დეკორიდან მოტანილია დასავლეთის ფასადზე გამოქანდაკებული გრიფონი (სენმურვი).

**№89. გრიფონი** (სამთავისი, XI საუკუნე). სამთავისის საკათედრო ტაძარმა ჩვეამდე ვერ მოაღწია პირვანდელი სახით. მისი გუმბათი და დასავლეთ ფასადის დიდი ნაწილი აღდგენილია XVI საუკუნეში. მინაშენები აღებულია ტაძრის განახლებისას, XIX საუკუნეში. მიუხედავად ყოველივე ზემოაღნიშნულისა, ნაგებობამ მაინც შეინარჩუნა უბადლო ოსტატობით შესრულებული XI საუკუნის ორნამენტული დეკორის მნიშვნელოვანი ნაწილი. სამწუხაროდ, სახვითი რელიეფებიდან გადარჩა მხოლოდ ერთი - აღმოსავლეთის ფასადის ჩრდილოეთ ნაწილში ამოკვეთილი ფასკუნჯი. ზოგიერთი ცნობით, XIX საუკუნის II ნახევარში ტაძრის განახლებისას აქ მოიპოვებოდა ჰერალდიკურად შედგენილ გამოსახულებათა მთელი ჯგუფი. დინამიკურობითა და შესრულების ოსტატობით სამთავროს ფასკუნჯი ქართული

მონუმენტური დეკორატიული პლასტიკის ბრწყინვალე ნიმუშებს მიეკუთვნება.

**№95. კურდღელი** (ზეგანის ტაძარი, X-XI სს.). ამჟამად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. ჯვარ-გუმბათიანი ნაგებობა, თლილი ქვით მოპირკეთებული, ჩუქურთმიანი. სახვითი რელიეფებიდან უნდა აღინიშნოს: ვეშაპის დამმარცხებელი წმ. მხედარი, ფრინველები (მტრედი და არწივი) და სხვ. სამხრეთ შესასვლელის თავზე, ვეებერთელა ტიმპანზე, გამოქანდაკებულია მრავალფიგურიანი კომპოზიცია, რომლის შემადგენლობაში შედის ქტიტორული გამოსახულება. უდავოდ სიმბოლური აზრის შემცველია რელიეფის შუა ნაწილში მოთავსებული კურდღლის გამოსახულება (ეკლესიის მოდელის ქვეშ). ორნამენტულ მოტივებს შორის გამოიყოფა სტილიზებულად დამუშავებული “სოლომონის ბეჭედი”. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს დიდი თამარის ასულის - რუსუდან დედოფლის (1223-1245) ფულზე გამოხატულ ფიგურიან ემბლემასთან მსგავსებით. ეს ორნამენტულ-სიმბოლური მოტივე პირობითადაა წოდებული “სოლომონის ბეჭდად”. ჩვეულებრივ ამ სახელწოდებაში იგულისხმება ექვსქიმიანი ვარსკვლავი, როგორც უბრალო, ისე რთული მოხაზულობისა; ზაკში კი “ვარსკვლავი” რვაქიმიანია. სხვათა შორის, კურდღლის გამოსახულება (მტაცებელი ფრინველის ბრჭყალებში) გვხვდება ატენის ტაძრის დეკორშიც, საკურთხევლის აფსიდის ჩრდილოეთის წახნაგის რელიეფზე.

**№99. საქართველოს განმანათლებლის წმ. ნინოს ჯვარი.** ვაზის ჯვარი, ძველი გადმოცემით წმ. ნინოს თმებითვე შეკრული, განსაკუთრებულ სამოსშია ჩასმული. აქვს ორი წარწერა, რომლებშიაც მოხსენიებული არიან მეფეები: ვახტანგ და არჩილ. როგორც ჰერალდიკური დეტალი, წმ. ნინოს ჯვარი მოთავსებულია ბაგრატიონთა გერბში.

**№100. ჭაბუკთ-მთის ჯვარი.** როგორც ცნობილია, ჯვარი ქრისტიანობის ემბლემაა, ქრისტეს ჯვარცმის, მისი მოწამებრივი სიკვდილის სიმბოლო. საქართველოში ჯვრის ბევრი სახე გვხვდება. ჭაბუკთ-მთის ჯვარი ასეთია ერთ-ერთი უძველესი სახეა. მასზე აღბეჭდილი ორი მტრედი სიმბოლურად განასახიერებს ბერძნული და ქართული ეკლესიების თანაარსებობას, რომლებიც ღვთიური ზეშთაგონების ძალით ერთი წყაროდან საზრდოობენ.

**№104. ქალი-სფინქსი.** ეს ორიგინალური ჰერალდიკური გამოსახულება განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მასზე აღბეჭდილი მისტიკური ნიშნებით (რომბი, ოვალი, ჯვარი).

**№111. მამალი (საკულტო სიმბოლო).** იგი უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში. ფრინველებს მიაწერდნენ ადამიანის ბედ-იღბალზე გავლენის ჯადოსნურ ძალას. ქრისტიანობა მამალს თვლის ქრისტეს წამებისა და სიკვდილის წინასწარმაუწყებლად. სპარსელებს (ზოროასტროს რელიგია) მამალი მიაჩნდათ მზის ამოსვლის მაუწყებელ ღვთაებად.

**№116-117. არწივები.** ნაშრომში ჩართული ეს ნიმუშები დამახასიათებელია თავების განსაკუთრებული განლაგებითა და საყელოებით. ისინი გვაგონებენ ხეთების ორთავიანი არწივების ემბლემაში აღბეჭდილ საყელოებს. არწივის გამოსახულება (უმთავრესად ერთთავიანისა) ხშირად გვხვდება საქართველოში (ბაგრატის ტაძარი, სვეტიცხოველი, ხახულის, საფარისა და სხვა ტაძრები). არწივის (როგორც ერთთავიანის, ისე ორთავიანისა) აღბეჭდვა ხშირია დასავლეთის ქვეყნების ჰერალდიკაშიც.

**№120. ლომთავა არწივი (ხეთური შტანდარტი).** ლომისთავა არწივი შესაძლოა შუმერის სახელმწიფო გერბი იყო. აღნიშნული გამოსახულება ფრთოსანი გრიფონის უძველესი ნიმუშია. იგი ჩვენთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც გრიფონის გამოსახულება ძალზე გავრცელებული იყო საქართველოშიც (გვხვდება უძველესი ხანიდან მოყოლებული, გვიანი ფეოდალიზმის ეპოქის ჩათვლით).

**№124. ფრთოსანი ხარი** (მითრიდატე პონტოელის ემბლემა). იგი ჩვენთვის საინტერესოა, როგორც ჰერალდიკური ემბლემა იმ სახელმწიფოსი, რომლის მოსახლეობაში ქართული ტომები სჭარბობდა.

**№125. ხეთური არწივები.** ხეთების მატერიალური კულტურის ძეგლებზე საკმაო რაოდენობით გვხვდება ნიშნები, რომელთაგან ზოგიერთი აშკარად ჰერალდიკურია. ასეთია, მაგალითად, გადაბმულთავებიანი ორთავიანი არწივების გამოსახულება (უძველესია იმ ჰერალდიკურ ემბლემათაგან, აღმოსავლეთის ქვეყნებში რომ გვხვდება, შემდეგ კი - დასავლეთში

შეისისხლხორცეს). ქართული ჰერალდიკის მკვლევართათვის ხეთური სიმბოლური ემბლემების გათვალისწინებას გარკვეული აზრი აქვს, მითუმეტეს რომ ხეთური ორთავიანი არწივების მსგავსი შეწყვილებულობა შემჩნეულია ქართულ ორთავიან არწივებშიც.

**№136. საქართველოს სახელმწიფო გერბი (ერეკლე II დროისა).** გერბის კომპოზიცია მეტად რთულია. ცენტრალური ადგილი "ქრისტეს კვართის" გამოსახულებას უკავია. ქართულ ჰერალდიკაში "ქრისტეს კვართი" იმდენად მნიშვნელოვან სიმბოლოდ ითვლება, რომ გერბზე მისი აღბეჭდვის უფლება, გარდა თვით მეფისა, მხოლოდ სამეფო გვარის ერთ განშტოებას ჰქონდა, კერძოდ, მუხრანბატონებს.

გერბის კომპოზიციაში ქრისტეს პერანგის გარშემო ამოტვიფრულია წარწერა, რომელიც მიუთითებს ქრისტეს სამოსის გამოყოფის მნიშვნელოვნებაზე. ცენტრალური ფარი ლომებს (სიძლიერის სიმბოლო) უპყრიათ. ფარი თავდება გვირგვინით, რომლის ქვემოთ გადაჯვარედინებულია ხმალი და სკიპტრა (სამოქალაქო და სამხედრო ძალაუფლების სიმბოლო). აღსანიშნავია, რომ ბაგრატიონები თავის თავს ბიბლიური მეფე დავითის შთამომავლებათ სთვლიან. ამაზე მიუთითებს გერბის სიმბოლოც - მეფსალმუნე მეფის - დავითის ჩანგი და შურდული, რომლისგან ნატყორცნი ქვითაც, ბიბლიური თქმულების თანახმად, დავითმა განგმირა გოლიათი.

**№137.** XVIII ს. დასაწყისს მიეკუთვნება მეფე ვახტანგ VI გერბი,რომლის სტილიც უფრო ტიპიურია ძველი საქართველოსათვის, ვიდრე გერბის ზემოთაღნიშნული ვარიანტი.

**№140. გერბის მესამე ვარიანტს, რომელიც საქართველოს დამოუკიდებელი არსებობის მიწურულს (1800-1801 წწ.)** მიეკუთვნება, სტილის მხრივ თითქმის არაფერი აქვს საერთო ქართულ ნიმუშებთან. იგი უკვე რუსული და დასავლეთევროპული გერბების მსგავსია. გერბის ფარი დასავლეთის გერბების პრინციპზეა აგებული, ე.ი. ჰორიზონტალსა და ვერტიკალზე ისეა დაყოფილი, როგორც დასავლურ გერბთა ფარები. აღსანიშნავია ერთი დეტალიც: ბაგრატიონებიც გერბის ძოწეულზე (რუსული ჰერალდიკის პირობითი დეტალი) მოთავსებული წარწერები შესრულებულია ლათინურად. მივუთითებთ იმაზეც, რომ ძველ სიმბოლოებს დამატებული აქვს წმ. გიორგის გამოსახულება, რომელიც გერბის პირველ ორ ვარიანტს არ გააჩნია.

**№207. ოქროს შტანდარტი.** აღმოჩნდა თრიალეთის გათხრებისას. შტანდარტზე აღბეჭდილია ლომებისა და მეანდრის გამოსახულებანი (თავდაპირველად იგი ალბათ ერთ მთლიან კომპლექტს წარმოადგენდა). დათარიღებულია ძვ. წ. აღ. II ათასწლეულის შუა ხანით.

**№211. რუსუდან დედოფლის დროშა (XII ს.).** იგი ჩვენამდე მოღწეულ ქართულ დროშებს შორის უძველესია. შემორჩენილია მხოლოდ თავი, ისიც სანახევროდ დაზიანებული. ძეგლის ორიგინალი დაკარგულია. ცნობილია მხოლოდ ფოტოგრაფ ერმაკოვის მიერ XIX ს. გადაღებული ფოტოსურათით. დროშა აღმოაჩინეს XIX საუკუნეში. იგი ჩაფლული იყო ჭანიეთის ეკლესიის ძველი საეკლესიო ნივთების გროვაში. დროშას აქვს წარწერა, რომელშიც მოხსენიებულია რუსუდან დედოფალი, - დიდი თამარის მამიდა, გიორგი III და. აღნიშნული დროშა ვარსკვლავისებური ფორმისაა. თავდაპირველად მას 12 კუწუბი ჰქონია, რომელთაგან მხოლოდ 4 გადარჩენილა. დროშის ტარი შემკულია ჩუქურთმით, რომელიც მთელს ოვალს ერტყმის და კუწუბებზე გადმოდის.

**№213. სვანური დროშა (XII ს.).** გადმოცემით, იგი თამარ მეფემ უბოძა სვანებს. გაკეთებულია ქსოვილისაგან,ფორმით ლომს იმეორებს (გაშლილი,ჰაერით სავსე ლომს ემსგავსება). დროშის ტარი თავდება ვერცხლის პატარა ნამორით, რომელზედაც სამი წმინდანის ფიგურაა გამოხატული. დროშას აქვს წარწერა, რომელშიც სვანური თემებია მოხსენებული (მათ შორის უშგულელები). როგორც ჩანს, დროშა სწორედ ამ თემთა ერთობრივ ალამს წარმოადგენდა.

**№216. ბაგრატიონთა დროშა** (ღია მწვანე ფერისა). გამოსახულია ბაგრატიონთა გერბი.

**№217. დროშა წმ. გიორგის გამოსახულებით** (მკრთალი ვარდისფერი, სარჩული - რამდენადმე მუქი). წმ. გიორგი ცხენზეა ამხედრებული. ჰკლავს გველეშაპს.

**№218. დროშა არქისტრატიგი მიქაელის გამოსახულებით** (ვარდისფერი, სარჩული - წითელი), მასზე გამოსახულ მთავარანგელოზს ამოწვდილი მახვილი უპყრია ხელთ.

**№219. ქართლის დროშა** (წითელი ფერისაა, სარჩული - ყავისფერი აქვს). გამოსახულია ლომი და ხარი. ისინი სახელმწიფო ხელისუფლების სიმბოლოებით - ხმლითა და სკიპტრით არიან გამოყოფილი. გამოსახულებას ვარსკვლავთა შარავანდედი ადგას.

**№220. კახეთის დროშა** (ვარდისფერია, სარჩული - წითელი). გამოსახულია ფრთოსანი ცხენი, რომელსაც წინა ფეხებით უპყრია დროშა. აგრეთვე ჯვრისა და გვირგვინის შემცველი როზეტი.

**№221. იმერეთის დროშა** (მწვანე ფერისა, სარჩული - ღია ყვითელი). გამოსახულია ირემი, რომლის რქებს შორისაც ჯვარია აღბეჭდილი, ზევით კი - გვირგვინი. რამდენადმე ქვევით ნახევარმთვარეა გამოსახული.

**№222. სამცხე-საათაბაგოს დროშა** (მწვანე ფერისა, სარჩული - ცისფერი). მასზე გამოსახულია მწოლიარე ხარი, რომელსაც დროშა უპყრია. აქვეა მოხრილი ხმლისა და ორი შავი ვარსკვლავის გამოსახულებანი.

**№223. ოდიშის დროშა** (ღია მიხაკისფერი, სარჩული - მუქი მიხაკისფერი). გამოსახულია გარეული ტახი, დროშით. აღბეჭდილია ოთხი ვარსკვლავით გარემოცული ფრინველიც.

**№224. გურიის დროშა** (მუქი ვარდისფერი, სარჩული - ყვითელი). გამოსახულია ირემი, რომელსაც თავს ვარსკვლავის შარავანდედი ადგას.

**№226. სომხითის დროშა** (ღია მწვანე ფერისა, სარჩული - ვარდისფერი). გამოსახულია შუბოსანი ავაზა თავს მდგარი გვირგვინითა და მზით.

**№227. აფხაზეთის დროშა** (ღია მწვანე ფერისა, სარჩული - წითელი). გამოსახულია ვაცი, რომელსაც ზევით ჯერჯერობით გაურკვეველი მნიშვნელობის ყვითელი ნიშნები ადგას.

**№228. შირვანის დროშა** (ყვითელი ფერისა, სარჩული - ცისფერი). გამოსახულია შველი (სამწვეტიანი დროშა რომ უფყრია) და როზეტი.

**№229. ოსეთის დროშა** (ვარდისფერი, სარჩული - ცისფერი). გამოსახულია ჯიქი (თუ ფოცხვერი) მთების ფონზე.

**№230. რანის დროშა.** საქართველოს სამეფოში შემავალი ამ ერთ-ერთი მხარის დროშა ღია მწვანე ფერისაა. სარჩული - მიხაკისფერი აქვს. მასზე გამოსახულია ობობა, ჩასმული წითელ არშიაშემოვლებულ ლურჯ კვადრატში.

**№231. კონსტანტინე მუხრანბატონის დროშა.** თვით დროშას ჩვენამდე არ მოუღწევია. შემორჩა მხოლოდ ვერცხლის ზედა მხარე, დიამეტრიც 12,5 სმ. ასეთი ზედა მხარე 1744 წელს დაუმზადებიათ. მათგან ერთი ამკობდა მეფე თეიმურაზ მეორის დროშას, მეორე - კონსტანტინე ბაგრატიონ-მუხრანელის, მესამე - ქაიხოსრო ორბელიანის დროშას და მეოთხე - დიმიტრი ამილახვარის.

**№234. იმერეთის მეფის სოლომონ პირველის დროშა.** ამ დროშას მხოლოდ სურათით ვიცნობთ. 1883 წლამდე დროშა ხონის მონასტერში ინახებოდა, შემდგომ კი უკვალოდ გაქრა. დროშის შუაში გამოხატულია წმ. გიორგი, დროშის თავი ჯვრისებური ფორმისაა. მასზე ჯვარცმის გამოსახულებაა ამოკვეთილი. სამწუხაროდ, დროშის ფერი უცნობია (მურიეს მითითებული არა აქვს). რაც შეეხება ფორმას, იგი ძნელად გასარჩევია, რადგან დროშას კიდეები შემოხეული აქვს.

**№235. საქართველოს ცხეოსანთა ლაშქრის დროშა.** (ამჟამად დაკარგულია) 1854 წელს ეს დროშა წინ უძღოდა ქართულ ცხენოსან ლაშქარს მდინარე ჭოროხთან ბრძოლაში. მას შემდეგ იგი გენერალმა ივანე გივის ძე ამილახვარმა 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომში გამოიყენა, როგორც პირადი ალამი. დროშა შავი ფერისაა. ერთ მხარეზე წმ. გიორგის გამოსახულება აქვს, მეორეზე კი - მაცხოვრის ხელთუქმნელი ხატია აღბეჭდილი. დროშის ერთ მხარეს ქართული წარწერაა, მეორეზე - რუსული.

**№236. დაბალთა ამქრის დროშა.** აქ მოთავსებულ XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ამქართა დროშების ნიმუშს ისეთივე ფორმა აქვთ, როგორც საერთოდ ძველ ქართულ დროშებს. ერთ მხარეზე გამოსახულია ემბლემა, ან ნახატი, რომელიც პროფესიის სიმბოლოს გამოხატავს, მეორე მხარეს კი - წმინდანები,

ან სცენები საღვთო წერილიდან. ზედა მხარე მთავრდება ჯვრით, რომლის ორივე მხარეს წარწერაა, ხოლო ცენტრალურ მედალიონზე ცხენოსანი წმ. გიორგის გამოსახულება.

**№237. მეფე ერეკლე II დიდი სახელმწიფო ბეჭედი.** იგი საკიდი ბეჭდების რიგს განეკუთვნება. მისი კომპოზიცია გამოირჩევა სიმბოლოთა სიმრავლით, რაც მას ფრიად საინტერესოს ხდის ჰერალდიკის თვალსაზრისით. აღნიშნული ბეჭედი მრგვალი ფორმისაა. მის ცენტრში ბაგრატიონების გერბია ამოტვიფრული, რომელსაც ზევიდან რუსული ორთავიანი არწივი აქვს დამატებული. გერბის ფარი ევროპული ფარმისაა და მოჩარჩოებულია ანდრია პირველწოდებულის ორდენის (ეს ორდენი ეკატერინე II უბოძა ერეკლე მეფეს) ბაფთით. ფარის ზემოთ ქართული გვირგვინია. მარჯვნივ და მარცხნივ კი განლაგებულია მეტად მნიშვნელოვანი დეტალები - დროშები, რომლებიც, ალბათ, საქართველოს ცალკეული სამთავროების ემბლემებია. ასეთი ემბლემა ათია.

ქრისტეს კვართის ქვემოთ, ფარზე, აღბეჭდილია მთები, ძალაუფლების სიმბოლოდ რომ აღიქმება და სასწორი (მართლმსაჯულების სიმბოლო). გერბის ირგვლივ დავითის ფსალმუნიდან ამოღებული წარწერაა.

# დანართი*

## ცნობები იმ ქართულ გვარების შესახებ, რომლებსაც გერბის ტარების უფლება ჰქონდათ

ქვემოთმოყვანილი ცნობები, ეხება იმ თავადურ-აზნაურთა გვარებს, რომლებიც, 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის თანახმად, გარკვეული დროის შემდეგ რუსულ თავად-აზნაურულ წოდებებში იყვნენ აყვანილი, ანუ თავის უფლებებით რუსულ თავად-აზნაურებთან გათანაბრებულნი იყვნენ. ცნობები იმ გვარების შესახებ, რომლებიც “ხავერდის წიგნში” (“Áàðõàòí àÿ êí èãà”) შეყვანილნი იყვნენ, საინტერესოა იმ მხრივ, რომ გარკვეულ ფარმით ახასიათებენ რუსულ-ქართული ურთიერთობების ზოგიერთ საკითხებს. კერძოდ, ეს საკითხები ეხება მათი სტატუსის შენარჩუნებისათვის. მიუხედავად იმისა, რომ ამ ცნობებს დიდი მნიშვნელობა აქვს, ეს მასალა, რომელიც რუსეთის ჰეროლდიის დეპარტამენტიდან არის ამოღებული, მოითხოვს დაზუსტებას. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ აუცილებლად ჩავთვალეთ, რომ ეს ცნობები შეგვედარებინა იმ მასალებთან, რომელიც XVIII საუკუნის განთქმულ ქართველ მეცნიერს - ვახუშტი ბაგრატიონს მოჰყავს.

## ვახუშტი ბაგრატიონის ცნობები

“მთავართა გუართათ ს: ხოლო გუარნი მთავართა მათ ძუელთანი ესენი არიან: ქობულისძე, დონაური, არელმანელი, ბაღუში, რომელი იყო ლიპარიტისძე, კახაბერისძე, ბაკურისძე, აბულელი, მხარგრძელი, ორბელიანი, ქაჩიბაძე, ვარდანისძე, გამრეკელი, მარუშისძე, ძაგანისძე, ასათისძე, კარიჭისძე, გაგელი, სამძივარი, ფარჯანიანი, ნერსიანი, ადარნასიანი, ჯუანშერიანი, კავკასიძე, ჯაყელი, ირუფაქისძე, ჩოლაყაშვილი, აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, ნასიძე, შარვაშიძე, ქუენაფლაველი, ჯავახისშვილი, ბურსელი და სხუანი

* ეს დანართი, იმდროინდელი ცენზურის მიერ წიგნიდან ამოღებულია იმის გამო, რომ მასში მოყვანილი იყო ქართული ფეოდალური გვარების წარმომავლობა.

მრავალნი, რომელნი ერისთობით იწერვიან და გუარნი არა წარიწერებიან ცხადად საცნობელად, ვითარცა იტყ ს ყუთლუღ-არსაღისას და ყუბასარისას და ქართლის ერისთავი გრიგოლ, და სურამელი რატი და გრიგოლი. კახეთის ხორნაბუჯის ერისთავი, მაჭის ერისთავი, პანკისის ერისთავი, და სამცხეს გუზანის და არტანუჯის ერისთავი, კალმახის ერისთავი, წუნდის ერისთავი, ხოლო სომხითს მანკაბერ-სადუნი და არა გუარი მისი. ხოლო იმერეთს ბედიელი, დადიანი და სხუანი, და არა გუარნი მათნი წარწერილნი. არამედ დადიანობა არა არს გუარი, გარნა წესი ელობისა, არა იყო ესე ოდიშს, არამედ კარის მ არესა ზედა დადიანობდა, ხოლო შემდგომად მეფის თამარისა იქმნა ოდიშს დადიანად, და იყვნენ ერისთავად, ვითარცა ცოტნე დადიანი, და არა გუარი მისი საჩინო არს. გარნა შემდგომნი დადიანნი ან ცოტნესაგან ჩამომავლობენ, ვითარცა აღვწერეთ”.[1]

## აწინდელთა მთავართა გუართათ ს

“ხოლო აწინდელთა მთავართა და წარჩინებულთა გუარნი ესენი არიან: ბარათაშვილი, რომელთა უპყრავთ გაჩიანისა და გარდაბანისა საერისთონი ტფილისის სამ რით, ვიდრე ლორე-ფარავნამდე, თ ნიერ მეფისა სახასოთა და შეწირულობათა ეკლესიათათა. ხოლო იტყ ან ესენი ჩამომავლობასა ქაჩიბაძისასა, რომელსა აცხადებს გუჯარნი და სიგელნი მათნი მეფეთაგან წყალობისანი. კუალად ყაფლანისშვილი და აბაშისშვილი სამთა ძმათა შვილობასა. არამედ ყაფლანისშვილი იტყ ს უარობასა მათსა გინა ორბელიანობასა, გარნა იყო ორბელიანი სხუა და ქაჩიბაძე სხუა გუარი, არამედ ოდეს განიყვნენ ძმანი, ბარათასაგან არიან ბარათიანნი, რომლისა მიერ ეწოდა ადგილთა მათ საბარათიანოდ, ხოლო აბაშისგან აბაშისშვილნი და ეგრეთვე სხუანი, რომელნი არიან ბარათიანთაგანნივე. გარნა საგონებელ არს ყაფლანიანთაცა მესამესა ძმასა ეწოდა ორბელი, და მის მიერ ორბელიანნი იწოდნენ, თვარე წინათქმულნი არა განმართლდებიან. ხოლო ბარათანთ გუჯარსა შინა, რომელ არს ბეთანიას, წერილ არს: მეფემან ალექსანდრემ, ძემან გიორგი მეფისამან, გაჰყარა სამნი ძმანი - აბაში, გუგუნა და დავით. აბაშისაგან აბაშიშვილნი, გუგუნასაგან ბარათიანნი და დავითისაგან ყაფლანიშვილნი არიან. ხოლო სომხითის მელიქი არა არს გუარი, არამედ სომეხსა ვინმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისათ ს. არღუთაშვილი აწ აზნაური, გარნა მ არგრძელნი არიან. ხოლო ზურაბისშვილს, იარალისშვილს და სოლაღაშვილს იტყ ან არა ბარათიანობასა, არამედ მამულნი და სასაფლაონი მათნი აჩენენ მასვე ყოფასა. კუალად დოლენჯისშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდან.

ყარაბუდაღისშვილი მოვიდა მარიამ-ჯუარის კახეთიდან. ხოლო მცხეთის დასავლით და მტკურის სამ რით ციციშვილი, რომელი ძუელადვე მოვიდა ფანასკეთიდან, ჯავახისშვილი; ხოლო მოურავისშვილი არს სააკაძე და მეფისაგან გამთავრებული; როჭიკაშვილი არს შალიკაშვილი, მოვიდა სამცხიდან. ხოლო შიდა ქართლს ამილახორი, არამედ არა არს გუარი, გარნა წესი მეჯინიბეთხუცობისა, ვითარცა უწოდებენ სპარსნი, ხოლო გუარი ზედგინიძე არს და პატივცემული მეფეთაგან მთავრობით, ვითარცა აჩენს გუჯარნი მათნი. აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი. ავალისშვილი, რა დაშთა ხეობა მეფესა ქართლისასა, ეგრეთვე ერთი ძმა დაშთა აქ და მეორე სამცხეს. მაჩაბელი იტყ ს ანჩაფიძეობას, აფხაზეთიდან მოსლვას, გარნა ახალი არს. ხერხეულისძე იყო სამცხეს და იტყ ს ოსობას, არამედ არს მოსლვა მისი შემდგომად გაყრილებისა. ფავლენისშვილი იტყ ს მ არგრძელობასა. ხოლო კუალად მესხი ამილახორისშვილი, დიასამიძე, შალიკაშვილი და თაქთაქისშვილი შემდგომად თათრობისა ჩამოვიდნენ სამცხიდან; ჩხეიძე მოვიდა იმერეთიდან. ხოლო რამაზისშვილი და დავითისშვილი არიან ავგიორგის ძმის დიმიტრისაგან, რომელი არჩინა მეფემან [დავით X-მ], და არიან მიერითგან აქა. ხოლო იალბუზის კალთათა ქსნის ერისთავი და არა ქვენაფლაველისაგან, არამედ იტყ ს ბიბილურობასა. ხოლო არაგ ს ერისთავი - და აღვსწერეთცა, ვითარცა არიან, არამედ გუარს სიდამონობას იტყ ს. ხოლო მუხრანის ბატონი და გოჩაშვილი, აწ მთავარნი, არამედ გუარი მეფეთა ბაგრატიონთა არიან, ვითარცა აღწერილნი არიან.

**წარჩინებულთათ ს:** გარნა ამათ მთავართა შორის აწინდელთა ჟამთა უწარჩინებულესნი და შემძლებელნი ესენი იყვნენ და გაუყრელნი სახლნი აქუნდათ: პირველი მუხრანის ბატონი, არაგ ს ერისთავი, ქსნის ერისთავი, ამილახორი და ყაფლანიშვილი, ზემო ციცისშვილი, ოდეს გაუყრელი იყო, და სომხითის მელიქი. ხოლო აზნაურნი მრავალნი არიან, სიგრძისათ ს დავიდუმეთ, ვიეთნი ძუელის გუარისანი, ვითარცა აბაზაძე, კორინთელი, მახატელი, არღუთაშვილი, გოგიბაშვილი, ნასიძე, ღაზნელი. გააზნაურშვილებულნი: ვითარცა რატისშვილი, ქსნის ერისთავის განაყოფი, ვით იხილვების მამულითა, ხოლო აწ დამცირებულნი. ხოლო ზედგინიძე, სააკაძე, ელიოზიშვილი, ამათგან გამთავრებულნი ესრეთ, რომელნიმე ამაღლებულან და რომელნიმე დამდაბლებულან ჟამთა ცვლილებითა ანუ გაყრითა ძმათათა.

**კახთათ ს:** ხოლო კახეთს ჩოლაყაშვილი და მაყასშვილი იტყ ან ირუფაქიძობას; ენდრონიკასშვილი იტყ ს ანდრონიკესაგან, რომელი მოვიდა პირველვე კეისართა გუარისა. ჯორჯაძე, ჭავჭავაძე, ვაჩნაძე, ვახვახისშვილი, რუსისშვილი, ჯანდიერისშვილი, ავალისშვილი და ჩერქეზი. ეს ორნი მოსულნი არიან გაყრილების შემდგომად. გურამისშვილი და ტუსისშვილი - ზედგინიძენი,

რომელთა გამოაჩენს სასაფლაო მათი დღესეც მღ მეს, და აზნაურნი უფროს მცირედ.

**სამცხისათ ს:** ხოლო სამცხეს: ჯაყელი, ესე არს აწ ათაბაგი და ფაშა ახალციხისა; შალიკაშვილი, თავდგირიძე, დიასამიძე, ქობულისძე, გოგიბაშვილი, ამილახორი, ავალისშვილი, სუმბატისშვილი, გოგორისშვილი, თუხარელი, ღაღანიძე და სხუანი, არღარა იწოდებიან გუარითა, არამედ ფაშად, ბეგად და სანჯახად, და აზნაურნიცა ეგრეთვე მრავალ, გარნა დავიდუმეთ.

**იმერეთისათ ს:** ხოლო იმერეთს: არგუეთსა შინა აბაშიძე, ფხეიძე, წერეთელი და ჩხეიძე [ამავე ჩხეიძის გუარი არს აწინდელი რაჭის ერისთავი და სპასპეტი რაჭისა], ლორთქიფანიძე, ნიჟარაძე და ღოღობერიძე, აზნაურნი და მთავრობით პატივცემულნი მეფეთაგან. ხოლო რაჭას წულუკიძე, იაშვილი, ჯაფარიძე, ინასარიძე, ლაშხისშვილი. ხოლო სუანეთს გელოვანი, და არღარა ეგოდენისა ძალისა და უფლებისა მქონე სუანთა ზედა. კუალად ვაკესა შინა ჭილაძე და მიქელაძე და ჩიჯავაძე, ხოლო აზნაურნი მრავალნი და კეთილნი ყოვლითა ზნითა აზნაურთათა [ვითარცა ძუელად სიტყუა იყო ივერიასა შინა: დარბაისლად მესხნი, თავადი ქართლისა, აზნაური იმერეთისა და ვაჭარი კახეთისა], არამედ სიგრძისათ ს არღარა აღვსწერეთ. გარნა უწარჩინებულესი და შემძლებელი იყო აწისა ჟამსა შინა რაჭის ერისთავი და აბაშიძე.

**ოდიშისათ ს:** ხოლო ოდიშს დადიანი და თავადი თ თ-თ სად მფლობელი ოდიშისა შემდგომად გაყრილებისა. არამედ აწ არს ჩიქოვანი, რომელმან მოწყ დნა დადიანნი და მთავარნი ოდიშისანი, და მცირე აზნაურობისაგან იქმნა დადიანად აღწერილებისაებრ. არამედ კუალადცა არიან მთავარნი ესენი: გოშაძე, ფაღავა, ჯაიანი, ჩიჩუა და სხუანიცა, და აზნაურნიცა მრავალნი.

**აფხაზეთისათ ს:** ხოლო აფხაზეთს იგივე შარვაშიძე, მფლობელი აფხაზთა თ თ, და უმდაბლესი ანჩაფაძე.

**გურიისათ ს:** ხოლო გურიას გურიელი, იგიცა თ თჰფლობს და იტყ ს ვარდანის ძეობასა, და სხუანი მის ქუეშენი არიან ესენი: თავდგირიძე და ამილახორი ჩავიდნენ სამცხიდან, შარვაშისძე მოვიდა აფხაზეთიდან, ბერიძე, კვერღელისძე, ბერეჟიანი, ნაკაშიძე და სხუანი, ეგრეთვე აზნაურნიცა.[2]

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. წიგნში: ქართლის ცხოვრება. ტ.IV. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს.ყაუხჩიშვილის მიერ. თბ., 1973, გვ.27-28.
2. ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. დას. ნაშრ. გვ.33-37.

# თავად-აზნაურთა ოფიციალური სია, დამტკიცებული 1850 წელს

## თავადები

ბაგრატიონ-მუხრანსკი, აბაშიძე, ფალავანდიშვილი, ჩხეიძე, ხერხეულიძე, ჯამბაკურ-ორბელიანი, მელიქიშვილი, ავალიშვილი, ბეგთაბეგიშვილი, ერისთავი, ბარათაშვილი, მაჩაბელი, დიასამიძე, სოლოღაშვილი, სუმბატაშვილი, ამილახვარი, ბაგრატიონ-დავითიშვილი, ჯავახიშვილი, ფავლენიშვილი, თუმანიშვილი, ხიდირბეგიშვილი, ციციშვილი, თარხან-მოურავი, ამირეჯიბი, ჩოლოყაშვილი, ჯორჯაძე, მაყაშვილი, ტუსიშვილი, გურგენიძე, საგინაშვილი, ხიმშიაშვილი, ჭავჭავაძე, ვახვახიშვილი, ჯანდიერიშვილი,ყარალაშვილი, ლიონიძე,ანდრონიკაშვილი,ვაჩნაძე, ჩერქეზიშვილი, გურამიშვილი, წერეთელი, ჯაფარიძე, აბამელიქი.

## აზნაურები

შაბურისძე, თურქისტანიშვილი, სააკაძე, საგინაშვილი, გაბაშვილი, მურვანიძე, აბაზაძე, ფიცხელაური, გლურჯიძე, კობიაშვილი, გარაყანიძე, კორინთელი, არეშიძე, ჩერქეზიშვილი, მუსხელიშვილი, მეღვინეთუხუცესი, ფურცელაძე, ჩრდილელი, უთნელიძე, გარსევანიშვილი, კალატოზიშვილი, ნახათელი, ზარდიაშვილი, ზანდუკელი, ჯომარჯიძე, ჟურული, უზნაძე, ოქრომჭედლიშვილი, ბერძენიშვილი, ალექსი-მესხიშვილი, ნახუცრიშვილი, მახვილაძე, რჩეულიშვილი, ქუმსიაშვილი, დავითაშვილი, იშხნელი, მიქელაძე, პანიაშვილი, ორჯონიკიძე, საყვარელიძე, ცალკალამანიძე, კალანტარიშვილი, ეგაძე, ბათიაშვილი, კოტეტიშვილი, გრიგოლიძე, ფარესიშვილი, ელიოზაშვილი, მაღალაშვილი, ტუხარელი, ქარსიძე, ქადაგიძე,კვალიაშვილი,ბოჭორიძე,აღსაბაძე, ლოლაძე,ტულაშვილი, ხმალაძე, სრესელი, მაჭავარიანი, ბასილაშვილი, ჩუბინაშვილი, ტატიშვილი, ძამაშვილი, კობახიძე, ჯაფარიძე, ნამორაძე, ყიფიანი, გაბირეხაშვილი, კლიმიაშვილი, ალიბეგაშვილი, დაფქვიაშვილი, ობლიძე, მაღრაძე, ალექსიძე, დუჩიძე, დეკანოზიშვილი, გვარამაძე, წინამძღვრიშვილი, ქურდოვანიძე, იონატამაშვილი, მუკერიძე, ჩივაძე, ჯაჯანაშვილი, კარგარეთელი, ბაქრაძე, ბადრიაშვილი, ზედგენიძე,

ქარუმიძე,ყანჩელი,ჩიკოიძე, ლიპარტიანი,ზაალიშვილი,ციმაკურიძე, ანანიაშვილი, მამაცაშვილი, შატბერაშვილი, ბეჟანიშვილი, ნატიშვილი, რატიშვილი, ქავთარაძე, მესხიშვილი, სავანელი, რუსიშვილი, გოდაბრელიძე, ნაცვლიშვილი, ალხაზიშვილი, ნემსაძე, კორძაია, ლაშხი, ნიკოლაძე, ბაგრატიშვილი, თორთლაძე, ხანდამაშვილი, ბუჭყიაშვილი, სანთლიკუდაშვილი, ლომიძე, კეცხოველი, პეტრიაშვილი, გიჟიმკრელი, გველესიანი, ბახუტაშვილი, სულხანიშვილი, მგალობლიშვილი, აბელიშვილი, პანიაშვილი, იორამაშვილი, ზალდასტანიშვილი, ხირსელი, პოპიაშვილი, ფისაძე, ვეზირიშვილი, ჯაბადარი, ოსიტაშვილი, ყარაშვილი, არჯევანიძე, ჩარეკიშვილი, ბურდიაშვილი, გვერწითელი, ანთაძე, ნასიძე, რცხილაძე, ბანცურაშვილი, ყიასაშვილი, კეზელი, მამუჩაშვილი, კვანჭახაძე.[1]

## გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. მეფე ერეკლე II-ის მიერ რუსეთის მთავრობისათვის 1783 წელს წარდგენილ სიაში, მოყვანილია 62 თავადური და 300 აზნაურული გვარი. იხ. გეორგიევსკის ტრაქტატი. 1783 წლის ხელშეკრულება რუსეთის მფარველობაში აღმოსავლეთ საქართველოს შესვლის შესახებ. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გიორგი პაიჭაძემ. თბ., 1983.

# გვარები, რომლებიც შესულია საგერბო წიგნში

**აგიაშვილი** (იმერეთი) - 1850 წელს, არიან რუსულ თავადურ წოდებაში აყვანილები. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: თეიმურაზ სიმონის ძე, შვილებთან გიორგისთან და კეკესთან ერთად.

**ამირეჯიბი** (ქართლი). 1613 წელს, ქართლის მეფემ ლუარსაბ II-მ ასლან ამირეჯიბი თავადურ წოდებაში აიყვანა. ამირეჯიბების გვარი, მოყვანილია იმ ქართველ თავად-აზნაურთა სიაში, რომელიც 1783 წელს ეკატერინე II-ეს გადაეცა. 1824 წლის 5 თებერვლის ბრძანების თანახმად, რუსული თავადების რანგში დამტკიცებული და საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები - ასპან დავითის ძე ამირეჯიბი და მისი შვილები ნიკოლოზი და ზაალი.

**ბაგრატიონი** (იმერეთი). იმერეთის მეფეთა განშტოება. 1853 წელს, სენატეს გადაწყვეტილებით რუსულ თავადურ წოდებაში, ტიტულით "უგანათლებულესი" აყვანილია ივანე და თეიმურაზ ბაგრატიონები. 1865 წელს ეს ტიტული მიიღეს ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონმა და მეფე სოლომონ I-ის შვილიშვილმა გიორგი ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკიმ.

**ბაგრატიონ-გრუზინსკი**. რუსეთში ასეთ გვარს მეფეების ვახტანგ VI-ის, ერეკლე II-ის და გიორგი XII-ის შთამომავლები ატარებდნენ. 1859 წელს, სენატეს გადაწყვეტილებით რუსულ თავადურ წოდებაში დამტკიცებულია და შეყვანილია ამ გვარის შემდეგი პირები: იაკოვ ლეონის ძე ბაგრატიონ-გრუზინსკი და მისი შვილები იაკოვი, სერგეი და ალექსანდრე. 1865 წელს "უგანათლებულესი თავადის" ტიტული მიენიჭა მეფე ერეკლე II-ის და მეფე გიორგი XII-ის ყველა შთამომავალს.

**გუგუნავა** (გურია). 1850 წელს, ეს გვარი რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: დავით სიმონის ძე გუგუნავა, მისი მეუღლე ელისაბედი და ვაჟი სიმონი.

**გურამიშვილი** (კახეთი). ეს გვარი თავის სათავეს იღებს ზედგენიძეთა საგვარეულოდან. ცნობილია, რომ 1673 წელს გურამიშვილების გვარის წარმომადგენელი ზაალი და მისი შვილები, მეფე არჩილმა თავადურ წოდებაში აიყვანა. ამ გვარის წარმომადგენელი იყო განთქმული ქართველი პოეტი დავით გურამიშვილი. გურამიშვილები ითვლებოდნენ კახეთის თავადებად იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1806 წელს, ეს გვარი რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ზაქარია ივანეს ძე და თადე ზაალის ძე გურამიშვილი. 1850 წელს, რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი შემდეგი პირები: ივანე ლეონის ძე გურამიშვილი, მისი მეუღლე მოვე და შვილები - მიხეილი, დარეჯანი, მარია, ეფთვიმე და ელისაბედი.

**ვახვახიშვილი** (კახეთი). ვახვახიშვილები გადმოსახლდნენ კახეთში სამცხიდან. 1663 წელს მეფე ვახტანგ V-მ (შაჰნავაზმა) სათხინო ვახვახიშვილი და მისი შვილები - დავითი, სათხინო, ზაალი, პაპუნა, ლიპარიტი, რევაზი და ბერო თავადურ წოდებაში

აიყვანა. ვახვახიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1825 წელს, რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი შემდეგი პირები: ნიკოლოზ და ათანასე ლიპარიტის ძე ვახვახიშვილები და ასევე მიხეილ იოსების ძე ვახვახიშვილი შვილებთან - მიხეილთან და თამართან ერთად.

**თავდგირიძე** (გურია). 1850 წელს, ეს გვარი რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ალექსანდრე მამუკას ძე თავდგირიძე, მისი მეუღლე სოფიო და შვილები - ვაჟი მათიგი და მარგარიტა.

**თაქთაქიშვილი** (ქართლი). მე-XVIII საუკუნეში თაქთაქიშვილები გადმოსახლდნენ ქართლში სამცხიდან. 1637 წელს მეფე როსტომმა ივანე და მისი ძმა თაქთაქ თაქთაქიშვილები თავადურ წოდებაში აიყვანა. თაქთაქიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1825 წელს, თაქთაქიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. იმავე წელს საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ელიზბარ იესეს ძე თაქთაქიშვილი და მისი შვილები - დიმიტრი და იესე; ასევე ლუარსაბ ივანეს ძე თაქთაქიშვილი და მისი შვილები.

**იაშვილი** (იმერეთი). ეს გვარი რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: გულქან იაშვილი (იესეს ქვრივი) და მისი შვილები - ნიკოლოზი, ქაიხოსრო, დავითი თავის მეუღლესთან მარიასთან, იულონი თავის მეუღლესთან ეკატერინესთან, და ივანე იაშვილი. ასევე თავადურ წოდებაში იყო აყვანილი ვახტანგ და ნატალია იაშვილები. ამ გვარიდან ცნობილნი 1812 წლის სამამულო ომის გმირები, რუსეთის არმიის გენერლები, ძმები ივანე და ვლადიმერ იაშვილები.

**ლორთქიფანიძე** (იმერეთი). 1850 წლის 6 დეკემბერს რუსულ თავადურ წოდებაში დამტკიცებულია ამ გვარის შემდეგი პირები: ვახტანგ სეხნიას ძე ლორთქიფანიძე,მისი მეუღლე,და მისი შვილები - ლევანი თავის მეუღლესთან ეკატერინესთან,ბერი,ბეჟანი,ივანე, ქეთევანი, ელენე, ბაბე, ატატო და სხვ.

**მაღალაშვილი** (კახეთი). 1701 წელს მეფე ერეკლე I-მა მოურავი ამირბარ მაღალაშვილი თავადურ წოდებაში აიყვანა.

**მაყაშვილი** (კახეთი). მაყაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს, მაყაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ათანასე ორნანის ძე მაყაშვილი, მისი მეუღლე ელენე და შვილები - ივანე, ლორენი, ივლიტა, მართა, ეკატერინე, ანა და სხვ.

**მაჩაბელი** (ქართლი). მაჩაბლების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წლის 25 მარტს მაჩაბლების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ქაიხოსრო, ზაქარია, რევაზი, თეიმურაზ ზაზას ძე და მისი ვაჟები - მიხეილი და დავითი.

**მაჭუტაძე** (გურია). 1850 წლის 6 დეკემბერს, ეს გვარი რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: დავით ივანეს ძე მაჭუტაძე, მისი მეუღლე დარეჯანი და მისი შვილები.

**მელიქიშვილი** (ქართლი). მელიქიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1824 წელს მელიქიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: სტეფანე მელიქიშვილი, იოსებ პავლეს ძე მელიქიშვილი და სხვ.

**მიქელაძე** (იმერეთი). 1793 წელს იმერეთის მეფემ სოლომონ II-მ დავით მიქელაძეს თავადური წოდება უბოძა. 1850 წელს მიქელაძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ივანე საველის ძე მექელაძე, მისი მეუღლე აღათი და სხვ.

**მხეიძე** (იმერეთი). ცნობები ამ გვარის შესახებ ძალიამ მწირია. ცნობილია, რომ 1850 წლის 6 დეკემბერს რუსულ თავადურ წოდებაში გიორგი ფირანის ძე მხეიძე და მისი მეუღლე მაია იყვნენ დამტკიცებულნი.

**ნაკაშიძე** (გურია). 1850 წელს ნაკაშიძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ლევან კაციას ძე ნაკაშიძე, ანტონ კაციას ძე ნაკაშიძე, მისი მეუღლე ელისაბედი და შვილები - გრიგოლი, ეკატერინე, ნიკოლოზი, ევფიმია და ოლღა.

**ნიჟარაძე** (იმერეთი). 1850 წელს ნიჟარაძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: პაატა კაციას ძე ნიჟარაძე და მისი მეუღლე ევფემია, ასევე რევაზ კაციას ძე ნიჟარძე, მისი მეუღლე ივლიტა და შვილები - მიხეილი, სიმონი, ანა, პარასკევა, ეკატერინე და სხვ.

**რაჭის ერისთავი** (იმერეთი). 1850 წელს რაჭის ერისთავების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: სიმონ ივანეს რაჭის ერისთავი, მისი მეუღლე მართა და შვილები - კონსტანტინე, დავითი, თავის მეუღლესთან სალომესთან და შვილებთან იოსებთან და ელისაბედთან ერთად.

**რუსიშვილი** (კახეთი). გადმოცემის თანახმად, რუსიშვილები საქართველოში რუსეთიდან გადმოსახლდნენ. რუსიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს რუსიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ლუარსაბ ბარამის ძე რუსიშვილი, მისი მეუღლე ევფემია, მისი შვილები და სხვ.

**სააკაძე** (ქართლი). ამ საგვარეულოდან ცნობილია მოურავი გიორგი სააკაძე. 1800 წელს მეფე გიორგი XII-მ მოურავი დავით დიმიტრის ძე სააკაძეს თავადური წოდება უბოძა. 1881 წელს, მეფე ვახტანგ VI-ის ამალის წევრის ნიკოლოზ სააკაძის შთამომავალი - ალექსი პეტრეს ძე სააკაძე თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული.

**საგინაშვილი** (კახეთი). საგინაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850-1856 წლებში საგინაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული.

საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: მამუკა გივის ძე საგინაშვილი, მისი მეუღლე დარია და შვილები - ნინო, ევფემია, ანასტასია და სხვ.

**სოლაღაშვილი** (ქართლი). სოლაღაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს სოლაღაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ქაიხოსრო იესეს ძე სოლაღაშვილი, მისი მეუღლე ნატალია და შვილები - იესე, ალექსანდრე, სოფიო, ნინო, თამარ, ელისაბედ და სხვ.

**სუმბატაშვილი** (ქართლი). 1749 წელს ქართლის მეფემ თეიმურაზ II-მ ქაიხოსრო მეითრიშვილს და მის შვილებს აბდულა-ბეგს და პაატას თავადური წოდება უბოძა. სუმბატაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1816 წელს სუმბატაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: სოლომონ ივანეს ძე სუმბატაშვილი და მისი შვილები - ზაქარია, მიხეილი, ეკატერინე და სხვ.

**ტუსიშვილი** (კახეთი). ეს გვარი თავის სათავეს იღებს ზედგენიძეთა საგვარეულოდან. ტუსიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წლის 6 დეკემბერს ტუსიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: გრიგოლ ზურაბის ძე ტუსიშვილი, მისი მეუღლე ეკატერინე და შვილი ევგენი, ასევე მისი ძმა კონსტანტინე ზურაბის ძე ტუსიშვილი, მისი მეუღლე ნინო და სხვ.

**ფავლენიშვილი** (ქართლი). ფავლენიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს ფავლენიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: გიორგი ივანეს ძე ფავლენიშვილი, დავით ივანის ძე ფავლენიშვილი, მისი მეუღლე ნინო და შვილები - ივანე, მაგდანა, იზმარაგდა, ბაბე, მარია და სხვ.

**ქობულაშვილი** (კახეთი). 1688 წელს ქართლის მეფემ ერეკლე I-მა მდივანი ონანა ქობულაშვილს თავადური წოდება უბოძა. ქობულაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1826 წელს ქობულაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ევგენი (სერგო) დავითის ძე ქობულაშვილი და მისი შვილები - სოლომონი, დავით, ადამი და სხვ.

**ქსნის ერისთავები** (ქართლი). ქსნის ერისთავების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს ქსნის ერისთავების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: გიორგი ევსევის ძე ქსნის ერისთავი, მისი შვილები - მარია, ზაქარია და მისი მეუღლე ელენე და თორნიკე. ასევე ელიზბარ შანშეს ძე ქსნის ერისთავი, მისი მეუღლე ქეთევანი და სხვ. 1858-1869 წლებში, საგვარეულო წიგნში შეყვანილია ასევე შემდეგი პირები: გიორგი ალექსანდრეს ძე, დავით გიორგის ძე, კონსტანტინე ალექსანდრეს ძე და ივანე ელიზბარის ძე ქსნის ერისთავები.

**ყარალაშვილი** (კახეთი). ყარალაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წელს ყარალაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: გრიგოლ რევაზის ძე ყარალაშვილი და მისი შვილები - ივანე, მიხეილი, რევაზი, მარია, კეკელა და სხვ.

**ყიფიანი** (იმერეთი). 1850 წელს ყიფიანების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ოტია ქაიხოსროს ძე ყიფიანი, მისი მეუღლე ანა და მისი შვილები - კონსტანტინე, ქაიხოსრო, ლუარსაბი, ალექსანდრე და სხვ.

**შალიკაშვილი** (კახეთი). შალიკაშვილები გადმოსახლდნენ კახეთში სამცხიდან. შალიკაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას

წარუდგინა. რუსულ თავადურ წოდებაში იყო აყვანილი შემდეგი პირები: იოსებ ივანეს ძე შალიკაშვილი და მისი შვილები - სიმონი, ივანე და ნიკოლოზი. ასევე რაჟდენ ივანეს ძე შალიკაშვილი, როსტომ ნიკოლოზის ძე შალიკაშვილი და სხვ.

**ჩიჯავაძე** (იმერეთი). 1850 წელს ჩიჯავაძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ნიკოლოზ ვახუშტის ძე ჩიჯავაძე, მაკა (გიორგის ქვრივი), მანუჩარ ჩიჯავაძის მეუღლე მარია და მისი შვილები - მზეხა, ნიკოლოზი, სიმონი, დიმიტრი, იოსები, გიორგი და მისი შვილიშვილები - დანო, ნატალია, სალომე და ოლღა. ასევე როსტომ ჩიჯავაძის მეუღლე ანასტასია და მისი შვილები - დიმიტრი, კონსტანტინე და ელენე; ალექსანდრე როსტომის ძე ჩიჯავაძის ქვრივი ელისაბედი და მისი შვილები - გიორგი და სალომე.

**ჩოლოყაშვილი** (კახეთი). ჩოლოყაშვილების და მაყაშვილების გვარები თავის სათავეს იღებენ ირუბაქიძეების საგვარეულოდან. მცხეთის ხელნაწერთა აქტებში, ჩოლოყაშვილთა საგვარეულო 1492 წლიდან იხსენიება. ასევე 1630-1642 წლებში, მეფე თეიმურაზ I-ის სიგელებში დასახელებულნი არიან ამ გვარის წარმომადგენლები. ამ საგვარეულოდან ცნობილი იყო, მეფე თეიმურაზ I-ის ელჩი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში - ნიკოლოზ ჩოლოყაშვილი, უფრო ცნობილი, როგორც ნიკოლოზ ირბაქი. ის იყო ერთ-ერთი ინიციატორი და შემქმნელი პირველი ქართული ნაბეჭდი წიგნისა, რომელიც 1629 წელს რომში დაიბეჭდა. ამ განთქმულ გვარს მიეკუთვნება 1659 წლის კახეთის აჯანყების ერთ-ერთი მეთაური - ბიძინა ჩოლოყაშვილი, რომელიც სპარსელებმა აწამეს. ჩოლოყაშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1825 წელს ჩოლოყაშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ედიშერ დურმიშხანის ძე ჩოლოყაშვილი, მისი შვილები - ზურაბი, ლევანი და სხვ.

**ჩხეიძე** (იმერეთი). 1850 წელს ჩხეიძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ყარამან ჩხეიძის ქვრივი სოფიო და მისი შვილი ივანე მეუღლესთან, სალომესთან ერთად. ასევე დავით ბეჟანის ძე ჩხეიძე, მისი შვილები: ათინედი, ათადია და ბეჟანი.

კონსტანტინე ხოსიას ძე ჩხეიძე, მისი მეუღლე მარია, მისი ვაჟი პლატონი და სხვ.

**წერეთელი** (იმერეთი). არსებობს ამ გვარის ორო განშტოება, ერთი იმერეთში, ხოლო მეორე - ქართლში. წერეთლების იმერეთის განშტოების შესახებ უფრო მეტი ცნობებია შემონახული. 1850 წლის 6 დეკემბერს წერეთლების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: სიმინ ზურაბის ძე წერეთელი და მისი შვილები - ელისაბედი, დესპინე და დავითი. ასევე დავით წერეთლის მეუღლე მართა და მისი შვილები: ნინო, ქეთევანი და ზურაბი. 1855 წელს თავადურ წოდებაში დამატებით დამტკიცებულია და საგვარეულო წიგნში შეყვანილია დავით როსტომის ძე წერეთელი. რაც შეეხება ქართლის განშტოებას, ცნობილია, რომ 1850 წელს, თავადურ წოდებაში დამტკიცებულია და საგვარეულო წიგნში შეყვანილია კონსტანტინე მლაგეს ძე წერეთელი და მისი მეუღლე მართა.

**წულუკიძე** (იმერეთი). 1850 წელს წულუკიძეთა საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: სეხნია დავითის ძე წულუკიძე, მისი შვილი ვახტანგი მეუღლესთან, რუსუდანთან და შვილებთან - ალექსანდრესთან, ასლანთან და ნესტორთან ერთად.

**ჯავახიშვილი** (ქართლი). ჯავახიშვილების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1850 წლის 6 დეკემბერს ჯავახიშვილების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: ქაიხოსრო ივანეს ძე ჯავახიშვილი, მისი მეუღლე მზეხათუნი, მისი შვილები - გიორგი, დავითი, მაკა და სხვ.

**ჯანდიერი** (კახეთი). მე-XVII საუკუნემდე ჯანდიერები აზნაურები იყვნენ. 1628 წელს, მეფე თეიმურაზ I-მა ლევან ჯანდიერის ერთ-ერთ ვაჟს თავადური წოდება უბოძა. 1769 წელს, მეფე ერეკლე II-მ ჯანდიერ ჯანდიერს და მის შვილებს სიმონს და იესეს თავადური წოდება უბოძა. ჯანდიერების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1829 წელს ჯანდიერების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: იესე ჯანდიერის ძე ჯანდიერი, მისი

შვილები დავითი, ზურაბი და სხვ. რუსეთ-თურქეთის ომის დროს თავი გამოიჩინა პოლკოვნიკმა გიორგი ჯანდიერმა, რომელმაც თურქული ქვეითი ბატალიონის დროშა ბრძოლის ველზე ხელში ჩაიგდო. მიუხედავად იმისა, რომ იგი მძიმედ დაჭრილი იყო, მან არ დატოვა ბრძოლის ველი და ბოლომდე იბრძოდა. ჩადენილი გმირობისთვის გიორგი ჯანდიერი “გიორგის ჯვრით” დააჯილდოვეს. ხოლო მის მიერ თურქებისგან წართმეული დროშას შეარქვეს “გიორგის დროშა”.

**ჯორჯაძე** (კახეთი). 1688 წელს, მეფე ერეკლე I-მა ნოდარ ჯორჯაძეს და მის შვილს დავითს თავადური წოდება უბოძა. ჯორჯაძეების გვარი მოყვანილია იმ სიაში, რომელიც მეფე ერეკლე II-მ, 1783 წელს რუსეთის მთავრობას წარუდგინა. 1829 წელს ჯორჯაძეების საგვარეულო რუსულ თავადურ წოდებაში იყო დამტკიცებული. საგვარეულო წიგნში შეყვანილია შემდეგი პირები: როსტომ გიორგის ძე ჯორჯაძე, მისი შვილები - ზაქარია, გიორგი, ვახტანგი, ალექსანდრე და სიმონი.

# საილუსტრაციო მასალა

# ასტრალური სიმბოლოები



1. მზის სიმბოლო
(კერამიკა. ძვ. წ. II ათასწლეული).



2. მზის სიმბოლო
(ძვ. წ. II ათასწლეული).



3. მზის სიმბოლო (მზის წრეები და სპირალი. ბრინჯაოს სარტყელი. ძვ. წ. II ათასწლეულის შუა ხანა).



4. მზის სიმბოლო (ზოომორფული ცხოველები მზის ნიშნის - სპირალების წრეში).



5. მზის სიმბოლო (სპირალი).



6. მზის სიმბოლო.



7. მზის სიმბოლო.



8. მზის სიმბოლო.

# მაგიური ნიშნები



9. მაგიური ნიშნები
(მზის წრეები, ხარი - მზის კულტთან დაკავშირებული სიმბოლო).



10. მაგიური ნიშნები (ვანი).



11. მაგიური ნიშნები.



12. მხედარი (ბრინჯაოს ეპოქის ბალთა)



13. მაგიური ნიშნები (მზის წრეები და პარალელური ხაზები კობანური ტიპის ბრინჯაოს ცულზე).



14. მაგიური ნიშნები (მზის სიმბოლოები ფანტასტიკური ცხოველის სხეულზე. ბრინჯაოს სარტყელი თრიალეთიდან ძვ. წ. II ათასწლეული).



15. თილისმა მზის წრეებით (ბრინჯაოს ხანა).



16. თილისმა მზის ნიშნებით (ბრინჯაოს ხანა).



17. მაგიური ნიშანი (სპირალი).



18. მაგიური ნიშანი
(სპირალი. არმაზის ქვა).



19. ჯვარი ოვალში
(ენგური. ბრინჯაოს ხანა).



20. მაგიური ნიშანი
(მზის სიმბოლო).



21. მაგიური ნიშანი
(მზის სიმბოლო).



22. მაგიური ნიშანი
(მზის სიმბოლო).



23. დრაკონი
(სამაჯური. ბრინჯაოს ხანა).

# ტოტემური სიმბოლოები



24. მგელი (გვერი. კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ცული).



25. მგელი (გვერი. კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ცული).



26. მგელი (გვერი. კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ცული).



27. მგელი (გვერი. კოლხურ-კობანური ბრინჯაოს ცული).



28. მგელი (გვერი. კოლხურ-
კობანური ბრინჯაოს ცული).



29. მგელი (გვერი. კოლხურ-კობანური
ბრინჯაოს ცული).



30. მგელი (გვერი. კოლხურ-
კობანური ბრინჯაოს ცული).



31. მთვარის ღვთაება
(ძვ. წ. II ათასწლეული).



32. მზექალა (მზის ციკლის ნიშანი ნაყოფიერების ღვთაება. ადამიანი ხარის თავით. კოლხური მონეტა. ძვ. წ. V ს.).



33. ცხენი - მზის საკულტო სიმბოლო (ოქროს სამკაული ცხენის რახტისა. ახალგორის განძი, ძვ. წ. VI ს.).



34. ცხენი - ციური მაცნე (თილისმა. ბრინჯაოს ხანა).



35. რაში (მზის საკულტო ნიშანი. ბრინჯაოს ხანა).



36. საკულტო ცხენი ბომონის წინაშე (ბორის თასი. I-II სს.).



37. საკულტო ცხენი ბომონის წინაშე (არმაზის თასი. II ს.).



38. ხარის თავი
(ბრინჯაოს ფიგურა "ყაზბეგის
განძიდან", ძვ. წ. VII-VI სს.).



39. ხარის თავი
(კოლხური მონეტა. ძვ. წ. V ს.).



40. ფანტასტიკური ცხოველი (ხარირემი) მზის სიმბოლოებით (ბრინჯაოს კოლხური ბალთა. ხარირემს კორტნიან ქვესკნელის ძალები ძვ. წ. VI ს.).



41. ფანტასტიკური ცხოველი (ხარირემი) მზის სიმბოლოებით (ბრინჯაოს კოლხური ბალთა. ხარირემს კორტნიან ქვესკნელის ძალები ძვ. წ. VI ს.).



42. ლომი,კანჯარი,ჩიტი,ჯიხვი,გველი და სხვა (მაიკოპის ვერცხლის თასი. ძვ. წ. III-II ათასწლეულთა მიჯნა).



43. ლომის თავი (კოლხური მონეტა. ძვ. წ. VI ს.).



44. ლომი (კოლხური მონეტა, ძვ. წ. VI ს.).



45. ჩიტები - ციური მაცნენი (ძალაუფლების ნიშანი, ოქროს სამკაული. ახალგორის განძი. ძვ. წ. VI ს.).



46. ჩიტები-ციური მაცნენი (ახალგორის განძი. ძვ. წ. VI ს.).



47. ზოომორფული ცხოველი (გრიფონისებური).



48. გრიფონი
(საბეჭდავი - ბეჭედი. ანტიკური ხანა).



49. გრიფონი
(საბეჭდავი - ბეჭედი. ანტიკური ხანა).



50. გველთა შთამნქმელი გრიფონი.



51. საკულტო სიმბოლო.



52. ვერძი.



53. გედები (ვერცხლის თასი. ყაზბეგის განძი. ძვ. წ. VI ს.).



54. ქვისმთლელთა ნიშნები - გრაფემები (ანალოგიურია ასტრალური და მაგიური ნიშნებისა). 1. ნიშნები ჭურჭელზე (დაბლაგომი, ანტიკური ხანა). 2. ნიშნები კერამიკაზე (მცხეთა). 3. ნიშნები მცხეთის ჯვრის მცირე ეკლესიიდან. 4. ნიშნები მცხეთის ჯვრის დიდი ტაძრიდან. 5. ნიშნები ატენის სიონიდან (VII ს.). 6. ნიშნები აკვანების ეკლესიიდან (VI ს.). 7. ნიშნები ზღუდერის ეკლესიიდან. 8. ნიშნები წრომის ტაძრიდან (VII ს.).



55. ხარის თავი ჯვრის გამოსახულებით (ბოლნისის სიონი, V ს.).



56. ფარშევანგები ჯვრის ორთავ მხარეს (ბოლნისის სიონი, V ს.).



57. ლომი მზის ნიშნით (ბოლნისის სიონი, V ს.).



58. ჯვარი ოვალში (შესაძლოა, თავისი დროის შტანდარტი. (ბოლნისის სიონი, V ს.).



59. ცხოვრების ხე (ბოლნისის სიონი, V ს.).





60. ცეცხლთაყვანისმცემელთა ემბლემა (საკურთხეველი და ნახევარმთვარის გამოსახულება. ქართულ-სასანური მონეტა, VI ს.).

61. ქრისტიანული სიმბოლო - ჯვარი, შეწყვილებული ცეცხლთაყვანისმცემლურ საკურთხეველთან (ქართულ-სასანური მონეტა, VI ს.).



62. ციურ წყაროს დაწაფებული ირმები (ატენის სიონი, VII ს.).





63. ჯვრების კომპოზიცია (გოლგოთის სიმბოლო. ატენის სიონი, VII ს.).

64. საკულტო კომპოზიცია (მზის სიმბოლო ჯვრის გამოსახულებასთან ერთად. ატენის სიონი, VII ს.).



65. სენმურვი (ფრთოსანი ძაღლი. ატენის სიონი, VII ს.).



66. ჯვარი (დავით კურაპალატისა, X ს.).



67. ხარის თავი (სვეტიცხოველი, XI ს.). თვალთა გარშემო შემოვლებული კონცენტრული წრეები მიუთითებენ აღნიშნული სიმბოლოს მზის კულტისადმი კუთვნილებაზე).



68. ხელის სიმბოლიკა (სვეტიცხოველი, XI ს.).



69. არწივი და ლომი
(სვეტიცხოველი, XI ს.).



70. ლომი და მზის სიმბოლო
(სვეტიცხოველი, XI ს.).



71. საკულტო კომპოზიცია - მტრედები
ირიბი ჯვრით (სვეტიცხოველი, XI ს.).



72. ფრთოსანი დროის სიმბოლო
(სვეტიცხოველი, XI ს.).



73. ექვსფრთიანი ანგელოზის სიმბოლო (სვეტიცხოველი, 1029 წ.).



74. გრიფონები (ნიკორწმინდა, XI ს.).



75. ცხოველთა გამოსახულებანი
(გრიფონები,სენმურვი, ლომისმაგვარი ცხოველი,ნიკორწმინდა,1014 წ.



76. ხარი (ნიკორწმინდა, 1014 წ.).



77. გრიფონები (ნიკორწმინდა, 1014 წ.).



78. ფასკუნჯები (ნიკორწმინდა, 1014 წ.).



79. ფარშევანგები
(სვეტიცხოველი, XI ს.).



80. სირინოზი
(ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.).



81. არწივი
(ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.).



82. არწივი (ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.).



83. არწივი
(ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.).



84. ფარშევანგი
(ბაგრატის ტაძარი, 1003 წ.).



85. ლომი და ხარი (ოშკი, X ს., 961 წ.).



86. გრიფონი
(მარტვილის ტაძარი, VII ს., გადაკეთებული X ს.).



87. ფარშევანგები ჯვრის – ორთავ მხარეს
(პატარა ონი, XI ს.).



88. გრიფონი (სამთავისი, XI ს.).



89. გრიფონი (ხახული, X ს.).



90. არწივი (ხახული, X ს.).



91. ლომი და ხარი (ვალე, X ს.),



92. ჯვარი და მზის სიმბოლო (უსანეთი, 791-802 წწ.).



93. სირინოზი
(კერამიკა, 791-802 წწ.).



94. კურდღელი
(ზეგანის ტაძარი, VI-VII სს.).



95. თევზი (ყვარყვარე
ათაბაგის მონეტა, XV ს.).



96. ხელის სიმბოლო (საჭრეთლიანი
ხელი, ტყობაიერდი, ქისტეთი).



97. ხელის სიმბოლო საკულტო მნიშვნელობით
(დომენტი კათალიკოსის ხელრთვა, X ს.).



98. ჯვარი (წმინდა ნინოსი).



99. ჯვარი
(მტრედებით გარემოცული. ჭაბუკთმთა).



100. ჯვარი...



101. ჯვარი (შეწყვილებული
მზის სიმბოლოსთან).



102. ფანტასტიკური ცხოველი
(მშვილდოსანი. მინიატურა, ხელნაწერი, 1188 წ.).



103. ქალი - სფინქსი (ზევით მზის ნიშანი).



104. ქრისტიანული ხანის საკულტო ნიშნები (გამახვილებულია წარმართული ელემენტი, განსაკუთრებით მზის სიმბოლოებია ხაზგასმული).



105. წმ. გიორგი.



106. საკულტო სიმბოლიკის ნიმუში (დეკორი).



107. ქრისტიანული საკულტო კომპოზიცია.



108. ირემი (რქებს შორის ქრისტეს გამოსახულება).



109. ლომი გლეჯს ხარს (დეკორი).



110. მამალი (საკულტო სიმბოლო).



111. წმ. გიორგი.



112. წმ. თევდორე.



113. ლომი გლეჯს ირემს (დეკორი).



114. ლომი გლეჯს ძერას (დეკორი).



115. ორთავიანი არწივი (ქსოვილი, X ს.).



116. არწივების ჰერალდიკური კომპოზიცია (ქსოვილი, X ს.).



117. ხეთური საკულტო კომპოზიცია.



118. ხეთური მაგიური ნიშანი.



119. ლომისთავი არწივი
(ხეთური შტანდარტი).



120. სენმურვი
(ფრთოსანი ძაღლი ეგვიპტე).



121. ხარის თავები
(კრეტა-მიკენას კულტურა).



122-122ა. ხეთების სიმბოლიკური კომპოზიცია.





123-124. ხეთური არწივები.



125. ბაბილონური საკულტო კომპოზიცია (თევზები. დაკავშირებულია მთვარის კულტთან).



126. სიცოცხლის ნიშანი (ეგვიპტე).



127. ჯვარი (შუმერი).



128. ურჩხული (ადამიანი-არწივი. ხეთური კომპოზიცია).



129. გრიფონი (მეფე გუდეას თასი. შუმერი).



130. ხელი - როგორც მაგიური სიმბოლო (ამულეტი. ეგვიპტე).



131. ხელი - როგორც მაგიური სიმბოლო (ამულეტი. არაბეთი).



132. მამალი (სპარსული სიმბოლო).



133. მაგიური ნიშანი (ბაბილონი).

# საქართველოს სახელმწიფო გერბი



134. საქართველოს სახელმწიფო გერბი (ერეკლე II დროისა).



135. საქართველოს სახელმწიფო გერბი (ვახტანგ VI დროისა).



136. საქართველოს სახელმწიფო გერბი (ვახტანგ VI დროისა).



137. ორთავიანი არწივი (ვახტანგ VI დროინდელი).



138. საქართველოს გერბი (პროტექტორატის პერიოდისა).

# საგვარეულო გერბები



139. საქართველოს გერბი.



140-. აბაშიძეების გერბი
(ემბლემა - ცხენი, ზევით - ორი ხმალი).



141. ავალიშვილების გერბი
(ემბლემა - არწივი).



142. ამილახვრების გერბი (ემბლემა
წმ. გიორგი დროშაზე, საგვარეულო
ჩექმა, როგორც ამილახვრების
თანამდებობის სიმბოლო).



143. ამბერსაძეების გერბი (საგვარეულო დედაბოძი, დაგვირგვინებული არწივით, ხმალი, მშვილდი და კაპარჭი).



144. ანდრონიკაშვილების გერბი (ემბლემა - საგვარეულო ციხე-კოშკი, მზე, არწივი და აფრააშვებული ხომალდი).



145-145ა. არღუთაშვილების გერბი (ემბლემა - ლომი).



146. დავით ბატონიშვილის, გიორგი XII ძის გერბი (იგივე ემბლემები, რაც ბაგრატიონთა დინასტიის სახელმწიფო გერბებზეა).



147. ბაგრატიონ-მუხრანელთა (მუხრანბატონთა) გერბი - ბაგრატიონთა გვერდითი შტო (სამეფო გერბების ემბლემები).



148. პეტრე ივანეს ძე ბაგრატიონის გერბი ბაგრატიოთა გვერდითი შტო. (სამეფო გერბების ემბლემები, ქრისტეს კვართის გარეშე).



149. ბაგრატიონ-დავითიშვილთა გერბი (ბაგრატიონთა გვერდითი შტო ემბლემა - წმ. გიორგი, ჯვარი, მზის სოლარული ნიშანი და ლომის ტრადიციული სიმბოლო).



150. იმერეთის მეფე ალექსანდრე III მეუღლის - თამარის (მამია გურიელის ასულის) გერბი (სამეფო გერბების სიმბოლოები, ქრისტეს კვართის გარეშე).



151. ბარათაშვილების გერბი (ემბლემა - საგვარეულო დროშა, საგვარეულო ბოძი ლომებით,ციხე-კოშკი და კომპოზიცია შემდგვარი ხმლის, მშვილდის ისრისა და შუბისაგან).



152. ბიბილურების გერბი (ემბლემა - ჯვარი ზღვის ლაჟვარდს რომ ადგას თავს, ორი ხმალი და თავთავების კონა მთვარის ჩრდილქვეშ).



153. ბებუთაშვილების გერბი (ემბლემა - ფრინველის ტრადიციული სიმბოლო, ირემი და ხმალშემართული ხელი).



154. ბეგთაბეგიშვილების გერბი (ემბლემა - შუბოსანი მხედარი, მთვარის ნიშანი და ორი ისარი).




155. ბუჭყიაშვილების გერბი (ემბლემა - ცხენი, ორი ხმალი და გერბის მფლობელის ორი ინიციალი).



156. გურიელების გერბი (ემბლემა - ცენტრში საგვარეულო ეკლესია, მარჯვნივ ხმალი,მარცხნივ - სკიპტრა და კვერთხი, ქვევით - ხომალდი და სასწორი - სამართლიანობის სიმბოლო).



157. გარსევანიშვილების გერბი (ემბლემა - დაფნის რტოებით შემკული კვარცხლბეკი, მარადიული ცეცხლი და ორი კვერთხი).



158. გურგენიძეების თავადური შტოს გერბი (ემბლემა - ჯვარი, როგორც სიმბოლო სარწმუნოებისა).



159. გედევანიშვილების გერბი (ემბლემა - ხმალი და გერბის მფლობელის ინიციალები).



160. დადიანების ძველი შტოს გერბი (ემბლემა - ვერძი, წმ. გიორგი, საბრძოლო დროშა, ხმალი, ისრები და მცურავი ხომალდი. ცენტრში ჯვარია გამოსახული).



161. არაგვის ერისთავთა გერბი (ემბლემა - ანანური, ციხე ეკლესიით, რომელთაც თავს ადგას გვირგვინი, ცენტრში - წმ. გიორგის გამოსახულება, ქვევით - ხელის, როგორც ძალაუფლების ნიშნის გამოსახულება; აქვეა გვირგვინი, ზევით, მარჯვენა მხარეს, და ქვევით, მარცხენა მხარეს, ერთნაირი ემბლემებია - ჯვრის, როგორც ქრისტიანობის სიმბოლოს მუსულმანურ ნახევარმთვარეზე გამარჯვებაზე რომ მიუთითებს).



162. ქსნის ერისთავთა გერბი (ემბლემა - საგვარეულო ციხე-კოშკი, არწივი, ფარიანი ხელი, კარავი გვირგვინის ჩრდილქვეშ, მთებზე აღმართული დროშა).



163. ერისთავების (გურია) გერბი (ემბლემა - ფარხმალ ასხმული მეომარი).



164. ვაჩნაძეების გერბი (ემბლემა - საგვარეულო ეკლესია, მზის ფონზე გამოსახული ფრინველი, გრიფონი და კოშკი).



165. თარხან-მოურავების გერბი (ემბლემა - მხედარი, ირემი, საგვარეულო ციხე-კოშკი და აფრააშვებული ხომალდი).



166. თუმანიშვილების გერბი (ვინაიდან თუმანიშვილები მეფეთა მდივნებად მრავალგზის იყვნენ ნამყოფი, გერბზე მათი თანამდებობის აღმნიშვნელი სიმბოლოებია აღბეჭდილი: ძაღლი - სიმბოლო ერთგულებისა, კალმის შესანახი, სასწორი, როგორც სიმბოლო სამართლიანობისა და საწერ-კალამმომარჯვებული ხელი).



167. თურქისტანიშვილების გერბი (ემბლემა - წმ. გიორგი, ზევით - ხმალი).



168. ლიონიძეთა გერბი (ჰერაკლეს გამოსახულება).



169. ორბელიანების გერბი (მსგავსია ბარათაშვილების გერბისა).



170. რატიშვილების გერბი (ემბლემა - ცენტრში - ქვევით წმ. გიორგი, ზევით - საყდარი, რომელსაც ფარშეჭურვილი ხელი იფარავს, მარჯვნივ - ციხე-კოშკის გალავანი, ქვევით - ორი რუსული გვარის - ტელეპნევებისა და ობოლენსკების გერბრბის სიმბოლოები, ამ გვარებს, დაუნათესავდნენ რატიშვილები).



171. ფალავანდიშვილების გერბები (ემბლემა ცენტრში - დამხობილ ნახევარმთვარეზე აღმართული ჯვარი, ზევით - საგვარეულო ციხე-კოშკი, მარჯვნივ - სამი მშვიდქიმიანი ვარსკვლავი, ქვევით ირემი და ბაფთა).



172. ფანჩულიძეების გერბი (ემბლემა - არწივი, კაპარჭი, მშვილდ-ისარი და ნახევარმთვარე).



173. შერვაშიძეების, აფხაზეთის მთავართა გერბი (ემბლემა - "დიოსკურების ნიშანი").




174. დადიანთა ახალი შტოს (ჩიქოვანების) გერბი (ემბლემა - ოქროს საწმისის მცველი დრაკონი).



175. ჩოლოყაშვილების გერბი (ემბლემა - ქვეითი წმ. გიორგი, მხედარი, გვირგვინის წინაშე ჩამუხლული ვაცი, საბრძოლო აღჭურვილობა ჯარისმკრებლის ფიგურას რომ შეგვაცნობინებს, მარჯვნივ გამოსახულ მეომარში).



176. ციციშვილების გერბი (ემბლემა - შუბოსანი მხედარი, ფარი, ბაფთა, რომელზეც სპირალის ძველთაძველი ნიშანია გამოსახული და "სიუხვის ყანწი").



177. წინამძღვრიშვილების გერბი (ემბლემა - საგვარეულო დედაბოძი, თავადური გვირგვინი და საგარეულო დროშა).



178. ჭავჭავაძეების გერბი (ემბლემა - საგვარეულო ციხე-კოშკი, ირემი, ღუზა, როგორც იმედის სიმბოლო და ხმალაპყრობილი ხელი).



179. ხერხეულიძეების გერბი (ემბლემა - აფრააშვებული ხომალდი, ნახევარმთვარე და ყვავილი, როგორც მზის ნიშანი).



180. გერბის მფლობელის გვარის დადგენა ვერ ხერხდება, ვინაიდან საფლავის ქვაზე წარწერა წაშლილია.



181. გერბი ქეთევან ირაკლის ასულ ამილახვრის (გარდ. 1918 წ.) საფლავის ქვაზე.



182. გერბი იოსებ ბიძინას ძე ამილახვრის (1814-1859 წწ.) საფლავის ქვაზე.




183. გერბი დავით გიორგის ძე ამილახვრის (გარდ. 1870 წ.) საფლავის ქვაზე.



184. გერბი ბარძიმ დავითის ძე ამილახვრის (გარდ. 1861 წ.) საფლავის ქვაზე.



185. გერბი ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე ამილახვრის (1848-1913 წწ.) საფლავის ქვაზე.




186. გერბის მფლობელის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება (ინიციალები ვერ იშიფრება).



187. გერბი მეფე იესეს ასულის - ხორეშანის (კათალიკოს ანტონ I და) საფლავის ქვაზე.



188. გერბი გივი ბარძიმის ძე ამილახვრის (გარდ. 1877 წ.) საფლავის ქვაზე.



189. გერბის მფლობელის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება, წარწერა წაშლილია.



190. გერბის მფლობელის ვინაობის დადგენა ვერ ხერხდება, წარწერა წაშლილია.



191. გერბი ივანე თეიმურაზის ძე ამილახვრის (გარდ. 1887 წ.) საფლავის ქვაზე.



192. გერბი მარიამ ზაქარიას ასულ რგაძის (ამილახვრის ასული. 1877-1910 წწ.) საფლავის ქვაზე.

# ქალაქებისა და მხარეების გერბი



193. თბილისის და ქუთაისის გუბერნიათა ერთიანი გერბი.



194. თბილისის გერბი.



195. ქუთაისის გერბი.



196. თელავის გერბი.



197. გორის გერბი.



198. სიღნაღის გერბი.



199. ახალციხის გერბი.



200. ოზურგეთის გერბი.



201. ონის გერბი.



202. შორაპნის გერბი.



203. თბილისის გუბერნიის გერბი.



204. თუშ-ფშავ-ხევსურეთის გერბი.

# დროშები



205. შტანდარტი ლომების გამოსახულებით (თრიალეთი, ძვ. წ. II ათასწლეული).



206. შტანდარტი (ბოლნისის სიონი, V ს.).



207. შტანდარტი (იუდეური ეფოდის მსგავსი).



208. გიორგი III შტანდარტი.



209. რუსუდან დედოფლის [დიდი თამარის მამიდის, (XII ს.) დროშის თავი (ვერცხლის)].



210. იგივე. აღდგენილი სახით (თავდაპირველი ფორმა დაახლოებით ამგვარი უნდა ჰქონოდა).



211. სვანური დროშა "ლომი" (ჰაერით ავსების შედეგად "ლომის ფორმას იღებდა").



212. სვანური დროშის "ლომის" ვერცხლის თავი, XII ს.



213. მთიულთა დროშა (დაბოლოებული ზარი).



214. სამეფო დროშა
(ღია მწვანე ფერისა) ბაგრატიონთა
დინასტიის გერბით (XVIII ს.).



215. დროშა წმ. გიორგის
გამოსახულებით (ღია ვარდისფერი).



216. დროშა არქისტრატიგი მიქაელის გამოსახულებით
(ვარდისფერი, სარჩული - წითელი).



217. ქართლის დროშა (წითელი ფერისა, სარჩული - ყავისფერი. გამოსახულია სამხედრო და სამოქალაქო ხელისუფლების სიმბოლოები - ლომი და ხარი, ერთმანეთისაგან განცალკევებული ხმლითა და სკიპტრით. ზევით - ვარსკვლავი, თავს მდგარი შარავანდედით).



218. კახეთის დროშა (ვარდისფერი, სარჩული - წითელი. გამოსახულია ფრთოსანი რაში - პეგასი, დროშით, დროშის ტარი დაბოლოვებულია ჯვრით, დროშის ზევით კი გვირგვინია აღბეჭდილი. ცხენი უძველესი საკულტო სიმბოლო - მზის ციკლის ელემენტია).



219. იმერეთის დროშა (მწვანე ფერისა, სარჩული - ღია ყვითელი. გამოსახულია ირემი, რქებს შორის ჯვრით. ზევით გვირგვინია, მის ქვევით კი ნახევარმთვარის გამოსახულება, ალბათ, მთვარის კულტის ნიშანი).



220. სამცხე-საათაბაგოს დროშა (მწვანე ფერისა, სარჩული - ცისფერი. გამოსახულია მწოლიარე ხარი დროშით. მასზე ხმალი და ორი შავი ვარსკვლავია აღბეჭდილი).



221. ოდიშის დროშა (ღია ყავისფერი, სარჩული - მუქი ყავისფერი. გამოსახულია გარეული ტახი დროშით. დროშაზე აღბეჭდილია კუთხეებში განლაგებული ჩიტი და ოთხი ვარსკვლავი, ტახი - ნაყოფიერების სიმბოლოა, ჩიტი ციური მაცნე, ვარსკვლავები - მზის ნიშნები).



222. გურიის დროშა (მუქი ვარდისფერი, სარჩული - ყვითელი. გამოსახულია ირემი. მის ზევით შარავანდედმოსილი ვარსკვლავია აღბეჭდილი. ირემი ღვთაებრივი სიკეთის სიმბოლოა, მან წარმართულიდან ქრისტიანულ სიმბოლიკაში შემოაღწია).



223. სვანეთის დროშა (ცისფერი, სარჩული - წითელი. მთების ფონზე დათვია გამოსახული. დათვი, როგორც მთის ბინადართა სიმბოლო, სვანეთის ძველი საკულტო ტრადიციიდან წარმომავლობს).



224. სომხითის დროშა (ბაცი მწვანე, სარჩული - ვარდისფერი. გამოსახულია ავაზა, რომელსაც შუბი უპყრია. ზევით - გვირგვინი და მზე).



225. აფხაზეთის დროშა (ბაცი მწვანე, სარჩული - წითელი. გამოსახულია თხა, მის ზევით კი ყვითელი ნიშნები, რომელთა მნიშვნელობაც ამოუცნობია, თხას ტოტების მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს).



226. შირვანის დროშა (ყვითელი ფერისა, სარჩული - ცისფერი. გამოსახულია გარეული თხა და სამკბილიანი დროშა, რომელზეც აღბეჭდილია როზეტი მზის დისკოთი. როზეტის ფორმა ბრინჯაოს ხანის ირიბ ჯვარს მოგვაგონებს).



227. ოსეთის დროშა (ვარდისფერი, სარჩული - ცისფერი. მთების ფონზე გამოსახულია ავაზა).



228. რანის დროშა (ბაცი მწვანე, სარჩული - ყავისფერი. გამოსახულია ობობა. წითელზოლ-შემოვლებულ ცისფერ კვადრატში გახლართული ობობა შრომისმოყვარეობის სიმბოლოდ აღიქმება).



229. კონსტანტინე მუხრანბატონის (XVIII ს.) დროშის თავი (ვერცხლი. ოვალში გამოსახულია გველეშაპთან მებრძოლი წმ. გიორგი). დროშის ტარი მთავრდება ჯვრით. ჯვარის ორივე მხარეს წარწერაა.



230. დროშის ფორმათა სახეობა.



231. დროშის ფორმათა სახეობა.



232. იმერეთის მეფე სოლომონ I დროშა (აღდგენილია მურიეს ჩანახატის მიხედვით. თვითონ დროშა დაიკარგა XIX საუკუნეში. 1883 წლამდე იგი ინახებოდა ხონის მონასტერში. დროშის ცენტრში გამოსახულია ქვეითი წმ. გიორგი, ხმლითა და ფარით. დროშის ტარის დასასრული ჯვრის ფორმისაა. სამწუხაროდ, მურიეს მითითებული არ აქვს დროშის ფერი.




233. ქართული ცხენოსანი მილიციის დროშა (1854 წ.), შემდეგ ივანე გივეს ძე ამილახვრის პირადი ალამი.



234. დაბაღთა ამქრის დროშა (XX ს. დასაწყისი).

# ბეჭდები



235. მეფე ერეკლე II დიდი სახელმწიფო ბეჭედი.



236. საბეჭდავი ბეჭედი.



237. მეფე თეიმურაზ II - საბეჭდავი ბეჭედი (XVIII ს.).



238. იმერეთის მეფე დავითის საბეჭდავი ბეჭედი (XVIII ს.).



239. კაცია დადიანის საბეჭდავი ბეჭედი (XVIII ს.).



240. ჭყონდიდელი მიტროპოლიტის საბეჭდავი ბეჭედი.



241. საბეჭდავი ბეჭედი.



242. საბეჭდავი ბეჭედი.



243. აბდულა-ბეგ იესეს ძის საბეჭდავი ბეჭედი (XVIII ს.).

# ძალაუფლების ნიშნები



244. ჰერალდიკური ნიშნები არმაზის ქვაზე.



245. თამარ მეფის ნიშანი (XII ს., იტვიფრებოდა ფულსა და სასაზღვრო სვეტებზე).



246. ცაიშის რელიგიური ცენტრის ნიშანი.



247. ძალაუფლების ნიშანი (ხელის სიმბოლიკა, ჯვარი და “ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშანი”).



248. ჰერალდიკური ნიშნები - ლომი და მგელი თეიმურაზ ბატონიშვილის (გიორგი XII ძე) ხმალზე.



249. კოლხური მონეტა - მეფე აკეს სტატერი (ძვ. წ. III ს.). ემბლემა - ქალღმერთი ათინას გამოსახულება.



250. დავით კურაპალატის მონეტა (X ს.). ემბლემა - ოთხსაფეხურიან კვარცხლბეკზე აღმართული ჯვარი და მის ტოტებს შორის მოთავსებული ტიტულის აღმნიშვნელი მთავრული ასოები - "კურაპალატი". მონეტის შუბლზე ასომთავრული ზედწერილი: "ქრისტე, შეიწყალე დავით".



251. დავით აღმაშენებლის მონეტა (XII ს.). ემბლემა - გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულება და მეფის სახელის აღმნიშვნელი პირველი ასო [სინამდვილეში დავით VII ულუს მონეტა].



252. მეფე გიორგი III მონეტა (XII ს.). ემბლემა - მეფის გაწვდილ ხელზე შემომჯდარი შევარდენი. მხედრული ასოებით აღნიშნული მეფის სახელი (შემოკლებულად - გი) და თაღიღი - 1174 წ.



253. თამარის მონეტა (XII-XIII სს. მიჯნა). ემბლემა - თამარ მეფის ხელრთვა.



254. ლაშა-გიორგი მონეტა (XIII ს. დასაწყისი).



255. რუსუდან მეფის მონეტა (XIII ს. პირველი ნახევარი). ემბლემა - რთული ორნამენტული ჩარჩოს ცენტრში მოთავსებულია რუსუდანის დაქარაგმებული სახელი (ასომთავრულად).



256. დავით ნარინის მონეტა (XIII ს.). ემბლემა - გვირგვინოსანი მხედრის გამოსახულება და დავითის სახელის დაქარაგმება (ასომთავრულით).



257. დიმიტრი თავდადებულის მონეტა (XIII ს.). ემბლემა - “ბაგრატიონთა საგვარეულო ნიშნის” ვარიაცია.



258. თბილისური უსახელო დრამა, მოჭრილი XIII ს. 60-იან წლებში. ემბლემა - ექვსქიმიანი ვარსკვლავი.



259. ვამეყ I დადიანის მონეტა (XIV ს. II ნახევარი). ემბლემა - გვირგვინოსანი მმართველის გამოსახულება. აქვე - მხედრული ხელით ზედწერილი “ვამეყ”.

# ხელრთვანი



260. თამარ მეფის ხელრთვა.



261. ლაშა-გიორგის ხელრთვა.



262. თამარ მეფის ხელრთვა.



263. რუსუდან მეფის ხელრთვა.



264. თამარისა და დავით სოსლანის ხელრთვა.



265. მეფე ალექსანდრე I ხელრთვა.



266. დიმიტრი თავდადებულის ხელრთვა.



267. კახეთის მეფე კონსტანტინე II ხელრთვა.

# ანალოგიები



268. ხეთების ფრთოსანი მზე.



269. ხეთერის შტანდარტი.



270. ხეთების ორთავიანი არწივი.



271. ძველი სამყაროს ხალხთა ალმები.



272. ხეთური რეგალიები.



273. ძველი სამყაროს ხალხების მაგიური ნიშნები.

# დანართი 2

## მიხეილ ვადბოლსკი. ქართველი მეფეებისა და ბატონიშვილების ხელრთვები



1. საქართველოს მეფის დავით IV აღმაშენებელის ხელრთვა



2. საქართველოს მეფის თამარის ხელრთვები



3. საქართველოს მეფის გიორგი IV ლაშას ხელრთვა



4. საქართველოს მეფის დავით VI ნარინის ხელრთვა



5. საქართველოს მეფის ალექსანდრე I დიდის ხელრთვა



6. საქართველოს მეფის გიორგი VIII-ის ხელრთვა



7. კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის ხელრთვა



8. კახეთის დედოფლის წმ. ქეთევანის ხელრთვა



9. ქართლის მეფის სიმონ I-ის ხელრთვა



10. ქართლის მეფის როსტომ I-ის ხელრთვა



11. ქართლის დედოფლის მარიამის ხელრთვა



12. კახეთის მეფის არჩილ II-ის ხელრთვა



13. ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ხელრთვა



14. მეფე თეიმურაზ II-ის ხელრთვა



15. მეფე ერეკლე II-ის ხელრთვა



16. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის დომენტი IV-ის ხელრთვა



17. იმერეთის მეფის სოლომონ I-ის ხელრთვა



18. მეფე გიორგი XII-ის ხელრთვა



19. საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ანტონ II-ის ხელრთვა



20. ქართლ-კახეთის მმართველის დავით XII ბატონიშვილის ხელრთვა



21. მეფე ერეკლე II-ის ვაჟის  ლევან ბატონიშვილის ხელრთვა



22. მეფე ერეკლე II-ის ვაჟის ვახტანგ ბატონიშვილის ხელრთვა



23. მეფე გიორგი XII-ის ვაჟის ბაგრატ ბატონიშვილის ხელრთვა



24. მეფე გიორგი XII-ის ვაჟის თეიმურაზ ბატონიშვილის ხელრთვა

# დანართი 3

# მიხეილ ვადბოლსკი.
# ქართული ჰერალდიკის ისტორიიდან

ჰერალდიკა, საერთოდ უნდა გავიგოთ, როგორც ერთ-ერთი დამხმარე ისტორიულ დისციპლინათაგანი, რომელიც მოწოდებულია შეისწავლოს ხალხის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში არსებული სიმბოლური ნიშნები, აქედან გამომდინარე ღრმა საკვლევი მუშაობის აუცილებლობით - ხალხური სიმბოლიკის დარგში; საკითხის მხოლოდ ასე დაყენებისა და ჰერალდიკაზე ასეთი ჩამოყალიბების საფუძველზე გახდება შესაძლებელი წარსულის ყოველგვარი ემბლემის განმარტება, რაც მოიპოვება ღერბებზე, დროშებზე, ბეჭდებზე, ფულზე და სხვ.

სამწუხაროდ, ოფიციალური სახელმწიფო ჰერალდიკის ინსტიტუტს წარსულში (1917 წლამდე) რუსეთში (ხოლო დასავლეთ ევროპაში კი ამჟამადაც) არ უწარმოებია პირველი წყაროების ღრმა შესწავლა, არ ჩაუხედავს მათ შორეულ წიაღში და არ დაუდგენიათ ამა თუ იმ ჰერალდიკის სათავე. ამიტომ დღესაც სავსებით შეუძლებელია ძალიან ბევრი სიმბოლოს წარმოშობის განმარტება, უმთავრესად კი ისეთებისა, რომლებიც აღმოსავლეთისა და დასავლეთისათვის ანალოგიურია, (მაგალითად: საღვთო მუხის სიმბოლო, გრიფონებისა და ფრთიანი ლომების ნაირსახოვანება, ხარისა და ბევრ სხვათა კულტობრივი სიმბოლო) თვით გაცილებით უგვიანესი ემბლემებიც კი, ჩვენთვის ბევრ შემთხვევაში გამოუცნობელი და საიდუმლოებით მოცულია. ასეთი უსრულფასო მემკვიდრეობა დაგვიტოვა ძველმა ჰერალდიკამ, რომელიც ღერბების გამოკვლევას კი არ ეწეოდა, არამედ უმთავრესად მათი მნიშვნელობის დადგენასა და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში გამოყენების აღნუსხვას აწარმოებდა. მაგრამ ასეთი სახე ეგრეთ წოდებული ჰერალდიკისა მისი ღერბთმცოდნეობის სისტემით, საგვარტომო სიების აღრიცხვის შემოღებით, წოდებრივი საქმეების წესებითა და ა.შ. თავისთავად ცნობილ ბიუროკრატიული მოხელეების ინსტიტუტს წარმოადგენდა. იგი, პეტრე I მეფობისას[1] რუსეთში დაარსებულ სახელმწიფოებრივ ჰერალდიკაში შედიოდა.

რასაკვირველია, ჩვენი დროის ჰერალდიკას არ შეუძლია მხოლოდ დაწესებულებად იწოდებოდეს, ჰერალდიკა უნდა წარმოადგენდეს მეცნიერებას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მისი პროგრესი

შესაძლებელია ახალი კვლევითი მეთოდების გამოყენებით - არქეოლოგიასა, ეთნოგრაფიასა და სხვა დისციპლინებზე დაყრდნობით. ამ შემთხვევაში ვეხებით რა სავსებით დაუმუშავებელ თემას ძველი ქართული ჰერალდიკის შესახებ, ჩვენს წინაშე დგება მთავარი, ძველი საკითხი: არსებობდა თუ არა საერთოდ სახელმწიფო ჰერალდიკა ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში და კერძოდ ხეთური მოდგმის ხალხებში? დღევანდლამდე გავრცელებული იყო საკმაოდ საეჭვო მოსაზრება, რომ თითქოს ძველ აღმოსავლეთს არ ჰქონდა ჰერალდიკა (იმ სპეციფიკური და ვიწრო გაგებით, რომელიც დასავლეთში დამკვიდრდა). თუ ასე მივუდგებით საკითხს, შესაძლებელია ეს მოსაზრება მართალიც იყოს, მაგრამ სავსებით დასაშვებია ვივარაუდოთ, რომ აღმოსავლეთის ჰერალდიკას (მე ამ ტერმინის ქვეშ ვგულისხმობ მთელ ახლო აღმოსავლეთს) მაინც ჰქონდა თავისი ფორმები და სახელმწიფო სისტემაში გამომჟღავნების თავისი სახეები, რომლებიც შესაძლოა სავსებით განსხვავებული იყო დასავლეთისაგან. ამჟამად ეს საკითხი ღიად რჩება. მაგრამ უკვე შეიძლება იმის აღნიშვნა, რომ მატერიალური კულტურის მრავალი სხვადასხვა ძეგლის არსებობა, რომელმაც ძველი სამყაროს ბევრი ჰერალდიკური ნიმუშები შეინახა, ამ საკითხზე დამადასტურებლად პასუხობს. დაწყებული უძველეს ახლო აღმოსავლეთის სახელმწიფოების - შუმერისა და აქადის, ბაბილონის, ასურეთის, ეგვიპტის, სპარსეთის, იუდეისა და სხვ. სახელმწიფოთა წარმოშობიდან ჩვენ უკვე ვნახულობთ თავისებურ ჰერალდიკურ ძეგლებს: სიმბოლურ ნიშნებსა და გამოსახულებებს, რომლებიც შეიძლება მივიჩნიოთ როგორც ღერბები, როგორც ემბლემიანი ალმები, სათითე ბეჭდები - სიმბოლოებით, სპეციალური ნიშნები აბჯრებზე, საჭურველებზე, ფარებზე, იარაღებზე და სხვ.

“ეგვიპტის უბანში, ნილოსის ნაპირას, ხოლო შემდეგ იორდანეს ებრაელები გამოიცნობდნენ თავიანთ თორმეტ სახლს პირობითი ნიშნების მიხედვით. ასურელები თავიანთ დროშებზე სახავდნენ მტრედს იმისათვის, რომ ეს ფრინველი მათ ენაზე იწოდებოდა სემირამიდას სახელით. ოქროს არწივი გაიშლებოდა მიდიელთა და სპარსელების ფარებზე; ათინელების ფულზე იყო ბუ, ხოლო კართაგენელების ფულზე - ცხენის თავი”.[2] ყოველივე ეს იმას ლაპარაკობს, რომ ძველად აღმოსავლეთში თავისებური ჰერალდიკა არსებობდა. ერთადერთი, რაზედაც შეუძლებელია ამჟამად პასუხის გაცემა - ეს არის საკითხი - თუ რა როლი და რა ხასიათი ჰქონდა ჰერალდიკას ამ ქვეყნებში წოდებრიობისა და არმიის მიმართ.

ვაყენებთ რა საქართველოს ჰერალდიკის განსაზღვრის ამოცანას უძველესი საუკუნეებიდან დაწყებული ჩვენს ერამდე მე-XIX საუკუნის ჩათვლით, ამ საკითხის გამოკვლევისას აუცილებლად მხედველობაში უნდა ვიქონიოთ შემდეგი ეტაპები:

1) აღირიცხოს და ერთ, მთლიან ფორმაში იქნას მოყვანილი მატერიალური კულტურის ძეგლებში გამოსახული მთელი უმდიდრესი მასალა, რომელიც ამჟღავნებს უძველესს, ძველს, შუასაუკუნეებისა და უფრო გვიანი ეპოქების ხალხის სიმბოლიკას, რაც, რასაკვირველია, ამასთანავე კულტების სიმბოლიკასაც შეიცავს.

2) სემანტიკური ანალიზის საშუალებით ახსნილი იქნას მათი წარმოშობა, ე.ი. სიმბოლოებისა დ ემბლემების ტოტემური წყაროები, ქართველი ხალხისა და სახელმწიფოს შესახებ ისტორიულ გადმოცემათა გათვალისწინებით.

განსაკუთრებით ყურადღება უნდა მიექცეს V-XV საუკუნეების ე.ი. ფეოდალური ფორმაციის პერიოდს, რომლის დროს (დასავლეთის პარალელურად) შესაძლებელია, ჰერალდიკამ მეტად თუ ნაკლებად გამოხატულ აყვავებას მიაღწია.

ჩვენი პირველი ნაბიჯის მიზანი ამ მიმართულებით, ე.ი. ამ ალბომის გამოცემა, არ გამოიხატება აღძრული თემის საკვლევო დამუშავებაში. ჯერჯერობით ჩვენ უფრო მოკრძალებულ და მარტივ ამოცანას ვისახავთ: იგი წმინდა აღწერილობითი ხასიათისაა და წარმოადგენს სიმბოლურ-ჰერალდიკური მასალების შერჩევის ცდას, რომელთა ჰერალდიკური დანიშნულება წარსულში უდავოდ უნდა მივიჩნიოთ. საილუსტრაციო მასალების განხილვისა და განმარტების გაადვილების მიზნით მთელი ალბომი ოთხ პერიოდად არის დაყოფილი:

1) უძველესი პერიოდი - ფეოდალური ფორმაციის ჩამოყალიბების დაწყებამდე;

2) ფეოდალური ფორმაციისა და ქრისტიანობის გავრცელების ადრეული პერიოდი VIII საუკუნემდე - ჩათვლით;

3) VIII საუკუნიდან - XV საუკუნემდე - ჩათვლით;

4) XV საუკუნიდან - XIX საუკუნემდე - ჩათვლით.

XVII საუკუნემდე ჯერ აუცილებელია დასაბუთებული დადასტურება საქართველოს ჰერალდიკის თვით ფაქტისა, ხოლო XVII საუკუნიდან XIX საუკუნემდე (ჩათვლით) საქართველოს ჰერალდიკა შეიძლება განხილულ იქნას, როგორც გარკვეული დარგი რუსულ ღერბმცოდნეობაში. აქ თითქმის მთელი მასალა ჩვენს ხელთაა (გარდა საგვარეულო ღერბების და საამქრო ემბლემების ზოგიერთი ნიშნებისა). მაგრამ ამ, ასე ვთქვათ, ხელმისაწვდომ პერიოდზე ჯერ კიდევ არც ისე მცირე მუშაობაა საჭირო. ეს ჰერალდიკური ემბლემები და სიმბოლოები, რომლებიც

ქართული გვარების ღერბებშია გამოხატული, ტრადიციულ-საგვარეულო ემბლემებად დარჩა. საჭიროა მათი სიმბოლური მნიშვნელობა და პირველი წყაროების ძირი ძველი ადგილობრივი ჰერალდიკის წიაღში ვეძიოთ, რადგან მათი გაფორმება მხოლოდ გარეგნულად შეესატყვისება დასავლეთ ევროპისა და რუსული ჰერალდიკის კანონებით მიღებულ ფორმებს.

იმისათვის, რომ მკითხველს (არასპეციალისტს) შეეძლოს გაერკვეს, როგორ ყალიბდება ჰერალდიკა სახელმწიფოს ცხოვრებაში და როგორი იყო მისი მნიშვნელობა, საჭიროდ მიგვაჩნია მოკლედ თვალი გადავავლოთ დასავლეთისა და რუსეთის ჰერალდიკას, რომელთა ფაქტებზე შესაძლებელი იქნება ერთგვარი წინასწარი წარმოდგენა ვიქონიოთ ქართული ჰერალდიკის შესაძლო სახეებისა და ფორმების შესახებ. განსაკუთრებით ეს საჭიროა უკანასკნელის ფეოდალური პერიოდის შესწავლისას.

უპირველეს ყოვლისა საჭიროა აღინიშნოს, რომ ჰერალდიკა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, ბალტიისპირეთსა და რუსეთში ყოველთვის კლასობრივ-კონსერვატიული იყო; ამაში მდგომარეობს მისი დაკნინებისა და გადავარდნის მიზეზი ამჟამად. სახალხო სიმბოლიკა ერთობ ნაკლებად ისახებოდა დასავლეთ ევროპის ფეოდალურ-რაინდულ ღერბებზე, რომლებიც უმეტეს შემთხვევებში აგებული იყო მოგონილ ვირტუოზულ ემბლემებზე, რომლებიც თავისი ნაციონალური - მშობლიური სიმბოლიკის ფესვებზე არ იყო აღმოცენებული.[3]

რუსული ძველი ღერბები კი თავისი შინაარსით უფრო ნაციონალურია. ძველი რუსი მთავრების (რიურიკოვიჩების) სიმბოლოები ბეჭდებსა და დროშებზე (როცა ჯერ კიდევ რუსეთში საგვარეულო ღერბები არ არსებობდა) ყოველთვის გამოსახავდა თავისთავად სამშობლოს და მშობლიური მიწის ემბლემებს.

რაც შეეხება ამ გვარის ღერბებზე გამოხატულ ემბლემებს, ისინი წარმოადგენენ დროშებს, რომლებიც ჩვენ უკვე რიურიკისა და მონომახის შთამომავალთა მფლობელობაში არსებულ საუფლისწულო[4] მამულებში დაცულ ბეჭდებზე ვნახეთ. მაგრამ რუსული ღერბების ზემოაღნიშნული უპირატესობის აღიარებასთან ერთად საჭიროა მაინც აღვნიშნოთ, რომ რუსული ემბლემებიც (უგვიანესი დროისა) რამდენადმე მოსწყდა, ასე ვთქვათ, მშობლიურ ნიადაგს და თანდათან უფრო მეტად დასავლეთის ნიმუშებს დაემსგავსა, ეს აიხსნება დასავლეთ ევროპის ემბლემათა უდიდესი რაოდენობის გავლენით, რაც რუსეთში შემოჰყვა იქიდან შემოსულ საგვარეულოებს (XVI–XVII საუკუნეები), რომელთა შთამომავლობა (სავსებით გარუსებული) თავის ღერბზე სამუდამოდ ინარჩუნებდა

წინანდელ სამშობლოდან შემოტანილ ძველ ემბლემებს. ამგვარად რუსულ ჰერალდიკაში შევიდა საფრანგეთის, ინგლისის, პრუსიის, შვეციის, პოლონეთის, ლიტვისა და სხვა ქვეყნების ემბლემები.

დასავლეთ ევროპის ჰერალდიკა ე.ი. მეცნიერება ღერბების შესახებ, შუა საუკუნეების რაინდობის ეპოქაში წარმოიშვა, როცა აუცილებელი გახდა წარმოშობილ საგვარეულო ნიშნების აღრიცხვა, მათი წესი და რეგისტრაცია და აგრეთვე თვით ემბლემების აზრის გაგება. ღერბებს დასავლეთში უდიდესი სახელმწიფოებრივი და წოდებრივი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ღერბი წარმოადგენდა განმასხვავებელ საპატიო ნიშანს, როგორც გვარის წარმოშობის სიძველის, ისე სახელმწიფოს წინაშე მისი დამსახურების თვალსაზრისით.

ღერბის უფლების მოპოვება აზნაურის ერთ-ერთ პირად უპირატესობას შეადგენდა. საჭიროა აღინიშნოს, რომ პირადი ემბლემის ჩამოყალიბების თავდაპირველ აზრს ზემოაღნიშნული მნიშვნელობა არ ჰქონდა. ეს იყო უბრალოდ პირადი ნიშანი ამა თუ იმ რაინდის აღმნიშვნელი, რაც განსაკუთრებით საჭირო იყო ჯავშანში ჩამჯდარი მოწინააღმდეგეების გამოსაცნობად ბრძოლისა და შეჯიბრება-ტურნირების დროს. ერთს ნიშნად ხმალი ჰქონდა, მეორეს - ყვავილი, მესამეს - ურჩხული, ან ჯვარი და ა.შ. ეს ლაკონური,უბრალო ნიშნები საფუძვლად დაედო საგვარეულო ღერბების ჩამოყალიბებას. შემდგომში ღერბში შეჰქონდათ დამატებითი ემბლემები, რომლებსაც რაიმე წარჩინებისათვის ანიჭებდნენ, მაგრამ უძველეს ემბლემას მუდამ მთავარი ადგილი ეჭირა. ღერბების ფორმა ერთობ სხვადასხვანაირი იყო. მთავარი ფარის ორივე მხრიდან ხშირად თავსდებოდნენ ე.წ. ფარდამჭერები (ლომები, არწივები, გრიფონები და ა.შ.). ფარი თავსდებოდა გვირგვინით შემკულ გაშლილ ხირღაზე (მფლობელის წოდებრივი კუთვნილების მიხედვით: სამთავრო გვირგვინი, საგრაფო, საბარონო, სააზნაურო და ა.შ.). ყველა ამას გარდა, ხანდისხან მუზარადის სამკაულიც გამოიხატებოდა აგრეთვე ჰერალდიკური ფიგურით. ჰერალდიკური ფიგურების და მათი წესების დოგმატური ახსნის დეტალებითა და მათი წესებით დაინტერესებულ პირებს გ.მალგინის წიგნს მიმართონ.[5]

შუა საუკუნეები, განსაკუთრებით კი ჯვაროსნული ომების პერიოდი (1095-1291 წწ.), აღინიშნა დამახასიათებელი გამორჩეული ემბლემებით, როგორც მაგ.: იაკობის ნიჟარა, ვარსკვლავები, მთვარე, უნისკარტო მერლეტა, უთვალო ფრინველი - მოგზაური რაინდის ემბლემა, უნისკარტო არწივები, დეზების რგოლები და უმთავრესად ყველა სახის ჯვრები, რომელთა რიცხვიც მონსინის გამოანგარიშებით 110-მდე ითვლებოდა.[6]

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ღერბების წარმოშობის სიძველეს, უნდა ითქვას, რომ მათი საშუალო სიძველე შეიძლება დათარიღებულ იქნას XI-XII საუკუნეებით, მაგრამ არის უფრო მეტი სიძველის ემბლემებიც, რომლებიც ღერბებში მხოლოდ შემდეგ განხორციელდა, ხოლო თავდაპირველად, ალბათ ალმებზე-დროშებზე იყო გამოხატული. ასეთ უნიკუმებს შეიძლება მიეკუთვნოს პიასტების დინასტიის პოლონური არწივი (ცნობილია 855 წ.) და ღერბი ილირიიდან "ბელინა", რომლის სიძველეს ცნობილი პოლონელი ჰერალდიკოსი პოპროცკი 278 წელს მიაკუთვნებს ჩვენს ერამდე. მაგრამ იმ დროს ღერბები (ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით) არ არსებობდა, ყველაზე უფრო სწორი იქნებოდა მოსაზრება, რომ თავისი სახელით ეგზომ საპატიო ეს ემბლემები ოდესღაც ალმებზე-დროშებზე იყო გამოხატული. დროშები კი, ანუ ბაირაღები ყველაზე უძველეს ხალხს უხსოვარი დროიდან ჰქონდა - "ბაირაღი არის უძველესი სამხედრო დროშა სპარსელებისათვის, რომაელებისათვის და ბერძნებისათვის".[7] ალმები ჰქონდათ ასურელებსაც და ეგვიპტელებსაც.[8] ეჭვი არ არის ასეთი ალმები და ბაირაღები ჰქონოდათ უძველეს ხეთურ ხალხებსაც; თრიალეთის გათხრების დროს აღმოჩენილ იქნა ადგილობრივ სამარხში ალმის ნიმუში, რომლის სიძველე დამარხვის ინვენტარის მთელი კომლექსის მიხედვით განისაზღვრება XVI-XV საუკუნეებით ჩვენს ერამდე.[9] მოიპოვება ცნობები დასავლეთ ხალხების ალმების სიძველის შესახებაც.[10] დასავლეთ ევროპის ღერბების ემბლემებისა და სიმბოლოების განხილვისას, მათ შორის აღმოჩნდა უაღრესად აღმოსავლური ნიშნები: ლომები, ორთავიანი არწივები[11] და სხვ. უნებვლიეთ ისმის კითხვა მათი ერთგვარი ისტორიული მემკვიდრეობითობის შესახებ, რადგან ერთობ წარმოუდგენლად გვეჩვენება: "უბრალო შემთხვევითი დამთხვევა".

დასავლეთ ევროპის ღერბების დასახასიათებლად შეიძლება კიდევ ციტატის მოტანა ა. ლაკიერის შრომიდან.[12] რაც შეეხება სიძველის საკითხს, ამ მხრივ პირველობა დღესდღეობით რჩებათ იტალიაში შემორჩენილ მცირეოდენ საგვარეულოს, რომელთაც დაამტკიცეს თავიანთი წარმოშობა პირდაპირი ხაზით - რომის პატრიციებისგან. შემდეგ დასავლეთ რაინდულ ევროპაში ინგლისი უჩვენებს აზნაურთა გვარებს, რომელთა საწყისი ვილჰელმ დამპყრობლის ეპოქაში იკარგება,[13] საფრანგეთში არიან გვარები, რომელნიც ჯვაროსანთა ლაშქრობის დროიდან და ა.შ.

ბევრი მაგალითის მოყვანა შეიძლება დასავლეთ ევროპის ჰერალდიკიდან, აგრეთვე მაისგან წარმოშობილ ღერბებიდან, რომელშიც აღმოსავლეთის ტოტემური ნიშნები და ემბლემები

განსახიერდა. მომყავს რამდენიმე აურჩევლად აღებული ასეთი მაგალითი: ლომი (ინგლისისა და ფინეთის ღერბებში; რუსულ ჰერალდიკაში - ფონკელების საგვარეულო ღერბში), ლომი ფრთიანი (ვენეციური "წმ. მარკოსის ლომი", რესპუბლიკის პატრონის: რუსულ ჰერალდიკაში - ფონ ლიეტცის საგვარეულო ღერბში), ავაზა და სხვ. ერთობ შესაძლებელია, რომ აღმოსავლური წარმოშობისაა,ან გვანან აღმოსავლეთის პროტოტიპებს რუსული ჰერალდიკის ისეთი ღერბებიც, რომლებზედაც გვხვდება გამოსახულებანი: მთვარის (გრაფების - დე ლია გარდიას საგვარეულო ღერბში),[14] ხარის (კანტემიროვების, აბაზის, ბანტიშ-კამენსკების საგვარეულო ღერბში), გველის (კაზარსკის[15] საგვარეულო ღერბში) და სხვ. ყველა ღერბს არა აქვს ისეთი ემბლემა, რომელიც ამა თუ იმ წარჩინებასა და გმირობაზე ლაპარაკობდეს: არის კიდევ რიგი ღერბებისა, რომელთაც გვარის თანამოსახელე ემბლემა აქვთ, როგორც მაგალითად, ცხვრის გამოსახულება ფარის სუფთა ფონზე-ბარანოვების საგვარეულო ღერბზე.[16] ასეთი ღერბი მოიპოვება აგრეთვე "Wappen Buch"-ში (გამოც. 1837 წ.).

მათ, ვისაც დასავლეთ ევროპის, ბალტიისპირეთისა და პოლონეთის ღერბები აინტერესებთ, ვურჩევ მიმართონ შემდეგ ნაშრომებს:

"Handbuch der theorischen und praktischen Heraldik". მიუნხენი, ჰერალდიკის ინსტიტუტი, გამოც. 1861 წ.

"Armorial General". J. Reitstap, 1883-86 g.

"Baltisches Wappenbuch". Ñòî êãî ëüì , 1882 ã.

"Orbis polonus". Î êî ëüñêî ãî , Êðàêî â, 1641 ã.

როგორც ზევით აღვნიშნავდით, ღერბს დასავლეთში უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, რომლის შესახებ ასე მჭევრმეტყველურად ლაპარაკობს შუა საუკუნის ინგლისელი პოეტი ჭაცე (ჰენრიხ II ეპოქის):

"Ny a riche homme, ni baron,
Qui n᾿ait les - son gonfanon,
Un gonfanon ou anltre enseigne".[17]

ჩვენ შემდგომში აღარ შევჩერდებით ევროპული ღერბების სიმბოლოების გაშიფვრაზე, რადგან ეს განსაკუთრებული კვლევითი შრომის თემაა, რასაც მიზნად არ ისახავს ჩვენი ალბომი. ყოველ შემთხვევაში, საჭიროდ ვთვლი ორი მაგალითი მოვიყვანო, ერთობ დამახასიათებელი მათი აზრობრივი დასკვნისათვის. საფრანგეთის ცნობილი ღერბის (სამი შროშანა) წარმოშობის

შესახებ ისტორიამ შემოინახა შემდეგი გადმოცემა: ყვავილის - მთის შროსანა (Lys de Franse) მიღებულია საფრანგეთის გერბში მეფე ლუი VII-ის მიერ 1180 წ. თავისი "ციური მირონცხების" ალეგორიისა და ყვავილის სახელწოდების თავის სახელთან თანხმიანობის მიხედვით.
(Fleur de Louis - fleur de eys).

ორივე სიცილიის სამეფოს ღერბში ემბლემა "ტრინაკრიის" წარმოშობის შესახებ შემონახულია შემდეგი ვერსია: გათხრების დროს სიცილიაში ერთ-ერთ ბერძნულ ლარნაკზე აღმოჩენილი იქნა "ტრინაკრია", ე.ი. ფიგურა, შემდგარი სამი ადამიანის ფეხისაგან, მუხლებში მოხრილი და ცენტრში ერთ მთელად შეერთებული, რომელიც ვარსკვლავისებურად გადის ყოველ მხარეს.[18] სწორედ ეს ნაპოვნი ფიგურა ჩართული იქნა სიცილიის ღერბში.

დასავლეთის და რუსეთის ძალიან ბევრ ღერბებს ჩვეულებრივ, დაბლა, მთავარ ფართან, აქვთ ლენტი ამა თუ იმ დევიზით, ფორმირებული მოკლე წარმონათქვამის სახით, როგორც მაგალითად: "Sperat in adversis", "Deo spes mea", "Ferram opes patriae, sibi nomen", "ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის", "რწმენისა და ერთგულებისათვის" და ა.შ.

ყველა ეს ღერბი დასავლეთში ფეოდალური ფორმაციის დროს მეტად დიდ პატივისცემაში იყო; ისინი მთელი რიგი საუკუნეების განმავლობაში, თითქოს კედლად იყო აღმართული სხვა წოდებებისაგან არისტოკრატიული გვარის დასაცავად, რომლებიც თავიანთი წარმოშობის სიძველით ამაყობდნენ. საგვარო ღერბებისადმი თაყვანისცემა მათ თავისებურ საღვთო მნიშვნელობას აძლევდა და მათ ირგვლივ თითქმის კულტის მსგავს წეს-ჩვევებს ამკვიდრებდა.[19]

ასე იყო დასავლეთში ფეოდალური საზოგადოების წიაღში კაპიტალიზმის ელემენტების განვითარებამდე და მისი იდეოლოგიის გახრწნამდე, რაც ჯერ კიდევ თითქმის 1683 წლამდე ნარჩუნდებოდა, როცა ფინანსების უქონლობის გავლენით, საფრანგეთის მეფემ ლუდოვიკო XIV, რომელიც არისტოკრატიის მნიშვნელობას და ძლიერებას ებრძოდა და რომელიც ამ ბრძოლაში მზარდ ბურჟუაზიას ეყრდნობოდა, ეგრეთ წოდებული "ღერბების ძებნის უფლება" შემოიღო (droit de recherche); ამ კანონის მიხედვით, თითოეული, ვისაც უნდოდა, რასაკვირველია, ფულად, სახელმწიფო ჰერალდიკიდან იღებდა მეფის მიერ დამტკიცებულ ღერბს. ასეთი ღერბი, თუმცა მუზარადის სამკაულს მოკლებული, საერთო საფუძველზე ოფიციალური სახელმწიფო საღერბოში შეიტანებოდა (Armorial General de France); ამ კანონმა არისტოკრატიის დახშული წრის "წმიდათა წმიდის" პირველი ძლიერი ზღუდე შეარღვია.

ამის შემდეგ, ფეოდალიზმის მთელ სისტემასთან ერთად, თანდათან იწყო ნგრევა ძველი სიმაგრის მთელმა კედელმა. ღერბები უფრო იაფი გახდა (ბურჟუაზიის ენით რომ გამოვთქვათ), დაბოლოს ფულის ძალამ საბოლოოდ გაიმარჯვა გვარის სიძველეზეც და ეგრეთ წოდებულ მის "კეთილშობილებაზედაც". კაპიტალის ახალგაზრდა ძალის ზეწოლით, ფეოდალიზმი დაემხო. უკვე XIX საუკუნის ბოლოს საგვარეულო ღერბებს, არც საზღვარგარეთ, არც რუსეთში, არავითარ განსაკუთრებულ მნიშვნელობას არ აძლევდნენ, სახელდობრ იმიტომ, რომ გავლენა და სიმდიდრე "ბრწყინვალე შთამომავლობისა", სახელდობრ ის, რაზეც არსებითად ღერბების "დიდება" ეყრდნობოდა, კაპიტალიზმის ხელში გადავიდა. ეს უკანასკნელი კი ამ თუ იმ მოსაზრებით ღერბზე უფლებას ფულით იძენდა (სანამ მათი სისტემა კიდევ არსებობდა). დასავლეთის ჰერალდიკაში იმ დროიდან ახალი გამოცხობილი ღერბები გაჩნდა სავაჭრო "არისტოკრატიისა" ღერბებისათვის ერთობ უცნაური ემბლემებით: აეროსტატი,კოლოფი,ძეხვი (გვარების Le poix da Wurster ღერბებში), ყველი (ბავარიული გვარის Kaesstpair-ის ღერბში) და თვით ასანთების კოლოფიც კი (ამერიკული გვარის Leete-ის ღერბში alnmettes).[20]

ბურჟუაზიამ, გამოიყენა რა ამ სახით თავისი მარკების ჩვეული მოტივები, მასთან ერთად ძველი ჰერალდიკური ნიშნების წრეში შეიტანა.

რუსეთში ღერბები გაჩნდა არა უადრეს XVII მიწურულისა და XVIII საუკუნის დასაწყისისა,[21] სახელდობრ მაშინ, როცა საბოლოოდ გაფორმდა თავად-აზნაურთა წოდება. ღერბების წარმოშობამდე არსებობდა ბეჭდები, რომელთაც ემბლემა, ან წარწერა ჰქონდათ.[22] ამის მიხედვით ჩანს, რომ წინანდელი სამთავრო, ან საბოიარო საგვარო, ან პირადი სიმბოლოები, მსვლელობაში იყო უკვე რამდენიმე საუკუნით ადრე ღერბების შემოღებამდე (დასავლეთ ევროპის ტიპის). მათ სახავდნენ დროშებსა და ბეჭდებზე; ამ ნიშნების სიძველეს, შესაძლებელია ჰქონდა მნიშვნელობა ადგილუფროსების დავისას ალექსი ადაშევის გავლენით. 1555 წ. შედგენილი "გვარტომეულის" თანახმად, ეს წიგნი, სადაც 43 თავში განლაგებული იყო ბოიართა საგვარტომოები, ადგილუფროსობის მოსპობისას (1682 წ.) დაიწვა და მხოლოდ ხუთი წლის შემდეგ, მეხსიერების შემწეობით ხელახლა იქნა აღდგენილი და საწყისში შევიდა ეგრეთ წოდებული ხავერდის წიგნის სახელწოდებით (ასე ეწოდებოდა მას თავისი ხავერდის გარეკანის გამო). წიგნმა 1812 წ. იარსება. მოსკოვის ხანძრის დროს წიგნის ნახევარი დაიწვა და მხოლოდ 163 საგვარტომო სვეტი 1852 წელს იუსტიციის სამინისტროს არქივში გადავიდა. ეს

ორიგინალი კანონით ძველი რუსული თავად-აზნაურობის უტყუარ დოკუმენტად ითვლებოდა, მისი მონაცემების საფუძველზე შედგენილი და დაბეჭდილი იქნა 10 ტომად ღერბთაღწერილობა (გამოდიოდა 1798-1836 წწ.). მასში გენეალოგიური სიების თანაბრად თავსდებოდა საგვარო ღერბებიც, როგორც ძირითადი რუსული გვარებისა, ისე, რუსეთში ჩამოსული უცხოელებისა. რუსული ოფიციალური, სახელმწიფო ჰერალდიკის ჩასახვის პირველ ხანებში, XVII-XVIII საუკუნეების მიჯნაზე, ღერბმცოდნეობის მთავარ საცნობარო წიგნს ძირითადად წარმოაგდენდა ოკოლსკის წიგნი - "Orbis polonua", გამოცემული 1641 წ. და აგრეთვე პაპრიცკისა და სტრიკოვსკის შრომები (სამივე პოლონეთის ჰერალდიკოსებისა). ეს ავტორები იმ დროს ყველაზე პოპულარულები იყვნენ. პეტრე I დროს შემოღებული იყო "ტაბელი რანგების შესახებ" (1722 წ.), რომელიც მტკიცედ განსაზღვრავდა ღერბთმცოდნეობის მთელ სისტემას და რომელმაც, ცოტაოდენი შესწორებებით, უცვლელად იარსება XIX საუკუნემდე.

1673 წელს გამოჩნდა პირველი შრომა ჰერალდიკის დარგში. ეს იყო რუსი ავტორის, ბოიარინ არტამონ მატვეევის წიგნი.[23] ამასთანავე დიდი სარგებლობა მოუტანა ჰერალდიკის საქმის ორგანიზაციასა და განვითარებას პეტრე I თანამედროვემ, "პროექტი ჰერალდიკის შესახების" ავტორმა ფრედერიკ გიზენმა. ასეთ მოკლე ნარკვევში ზედმეტად მიმაჩნია ჩამოვთვალო ყველა გზა რუსეთში ჰერალდიკური საქმის განვითარებისა (დაინტერესებულთ ვურჩევ გაეცნონ ზემოხსენებულ ა.ლაკიერის შრომას). რუსეთში უძველეს გვარებად ითვლებოდნენ იმ მთავართა გვარები, რომლებიც თავიანთ საწყისს იღებდნენ პირველი რუსი მმართველის - მთავარ რიურიკისაგან,[24] მეფეების პირველი დინასტიის გვარის ფუძემდებლისა და კიევის დიდი მთავრის ვლადიმერ მონომახისაგან (1113-1125 წწ.). ეს ხაზები ყველაზე უძველესია რუსეთის თავად-აზნაურობაში. ემბლემები, რომლებიც მათ ღერბებს ამშვენებენ, არაფერს არ წარმოადგენს, როგორც ძველი განმასხვავებელი სიმბოლოები ოლქებისა და ქალაქებისა, რომლებსაც მათი წინაპრები ფლობდნენ. გარდა ასეთი წმინდა რუსული ღერბისა, არსებობდა რუსეთში გადმოსულ უცხოელთა მთლიანად დაცული ღერბები მათ მიერ ჯილდოდ მიღებული სამშობლოს წინაშე დამსახურებისათვის (ემბლემები, რომლებიც ყოველთვის ამას გამოხატავდნენ). დიდი ნოვგოროდის დროინდელი მთელი რიგი საგვარეულოები თავიანთ ღერბში ნოვგოროდის ყრილობის ბეჭედს ატარებენ, კიევის რუსეთიდან მომავალი გვარები - კიევის ძველი დიდი მთავრების ბეჭდებს ატარებენ და ა.შ. აქ საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავად სტაროდუბსკებს თავიანთ

ღერბში ჰქონდათ საღმრთო მუხის სიმბოლო, რომელიც ცნობილი იყო წარმართულ საქართველოში[25] და უძველეს გერმანელებში. როგორ წარმოიშვა ეს სიმბოლო რუსულ ნიადაგზე და როგორი ურთიერთგავლენაა ტოტემსა და მასთან თანხმოვან მის გვარს შორის - ეს საკითხი ჯერ კიდევ მთლად გარკვეული არაა. ყოველ შემთხვევაში ეს ემბლემა ინახება სხვადასხვა ვარიანტებში და სტაროდუბსკების გვარიდან წარმოშობილ სხვა საგვარეულო შტოების ღერბებში (გაგარინები, ხილკოვები, გუნდუროვები და სხვ.).

რუსულ ჰერალდიკას, როგორც უკვე ნათქვამი იყო, შეუერთდა ბევრი უცხოელის ღერბი - ფრანგების, იტალიელების, გერმანელების, (პრუსიელების), ბალტიისპირელების, მათ რიცხვში დანიელებისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებისა და აგრეთვე ბერძენ-ბიზანტიელ გვარეულობისა და სლავთა მოდგმის ხალხისა (სერბია, ბულგარეთი).

განსაკუთრებული მნიშვნელობა კი რუსულ ჰერალდიკაში მოიპოვეს, როგორც ლიტვის, ისე უპირატესად, რუსეთთან მოსაზღვრეობაში მყოფ პოლონეთის მიწების ღერბებმა. პოლონეთის ჰერალდიკა რუსეთზე გაცილებით უფრო ადრე განვითარდა და ამისათვის საკვირველიც არაა, რომ რუსეთმა, ჰერალდიკის შემოღებისას ბევრი რამ ისესხა პოლონური ჰერალდიკისგან.

პოლონეთი სლავური ქვეყანაა და მისი ღერბების ემბლემები (ძირითადი) ახლოა რუსულთან, ვიდრე, ვთქვათ, ფრანგულთან.

უკანასკნელი პერიოდის მოსკოვის დიდი სამთავროს და მეფის რუსეთის სახელმწიფო ემბლემის - ორთავიანი არწივის თაობაზე შეიძლება ითქვას, რომ ოფიციალური ვერსიის მიხედვით, ეს არწივი ნასესხებია ბიზანტიიდან და აღნიშნული ემბლემა წარმოიშვა მოსკოვში ბოლო იმპერატორის ძმისშვილის ასულის - სოფიო პალეოლოგის (დიდი მთავრის იოანე III ცოლის) ჩამოსვლასთან დაკავშირებით. ბიზანტიის არწივის შედარებისას რუსული არწივის (იოანე III ბეჭედზე) პირველდაწყებით ნიმუშთან, ნამდვილად ვხედავთ მათ მსგავსებას, თვით კომპოზიციასა და სურათის ხასიათში.

ყველა ამ ღერბს საჭიროა დაემატოს ღერბები, ეგრეთ წოდებული ლეიბ-კამპანური. ეს ღერბები, შემოტანილი XVIII საუკუნეში, თავისი მნიშვნელობისა და ემბლემატიკის მიხედვით სხვა ძველი ღერბებისაგან თითქოს განცალკევებითა დგანან. ისინი შეტანილი იქნენ ჰერალდიკაში სასახლის გადატრიალების აღსანიშნავად ელისაბედ პეტრეს ასულის ტახტზე ასვლის დროს. ეს ღერბი საჩუქრად მიეცა იმ პირებს, რომლებიც გადატრიალებაში ეხმარებოდნენ ელისაბედს. ამ ღერბების სტრუქტურა, რამდენადმე

განსხვავებულია საერთო ფორმისაგან. მათი ზევითა ნაწილი დატოვებულია ძველი, ხოლო ქვედა - მოვლენების მომგონებელ ემბლემებს შეიცავს. დევიზი მათთვის დაწესებული იქნა 1742 წელს[26] - "ერთგულებისა და გულმოდგინებისათვის". ამ ღერბების პრივილეგიები გაუქმებული იქნა 1762[27] წლიდან და რუსულ ჰერალდიკაში თითქმის შემთხვევით ხასიათსღა ატარებდნენ.

გარდა აღნიშნული ღერბებისა რუსულ ჰერალდიკაში ჩვენ გვაქვს კიდევ მთელი რიგი ღერბებისა, რომლებიც აღმოსავლეთის ხალხებს, ეკუთვნოდა. ასეთებია მაგალითად:

ა) თათრების (ყირიმის, ყაზანის და სხვათა ურდოებიდან გამოსულნი), ძველი იასაკები[28] რომელნიც არსებობდნენ ჩინგის ხანის დროიდან (და შესაძლებელია უფრო ძველად). ოდესღაც მათს ნიშნებს მნიშვნელობა ჰქონდა გვარების ერთმანეთისაგან გასარჩევად (ტამგები). ეს ემბლემები ისახებოდა ფრინველების ან ხეების სახით და ყველაზე საპატიო ფრინველი სონლული იყო (ყველა ისინი, ალბათ ტოტემური წარმოშობისაა). რუსეთში მიღებულ ღერბებში მთლიანად შემონახული იყო ეს იასაკი-ტამგები;[29]

ბ) ჩრდილოეთ კავკასიის მთიულებში: ისრების, მხედრების, ნახევარმთვარეების, გველების, არწივებისა და სხვათა ემბლემებით;

გ) სომხებში - ზოგიერთი მათი ძველი სიმბოლოებით: ლომებისა და ცალთვალა არწივები (სომეხი არშაკიდების დინასტიის ემბლემა);

დ) რეგისტრირებულია შედარებით მცირერიცხოვანი ღერბები სპარსეთიდან და აფრიკიდან ჩამოსახლებული პირებისა (ჰანიბალების გვარი);

ე) განსაკუთრებულ ჯგუფს შეადგენენ ქართველები, რომელთა ღერბების მიღების დროს XVII-XIX საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

აქედან გადავდივართ ჩვენი შრომის ძირითადი თემის ქართველი ხალხის სიმბოლიკის და ჰერალდიკის მიმოხილვაზე. ამ ჰერალდიკის ქვეშ ჩვენ ვგულისხმობთ მისი კავშირის პერიოდს რუსულთან, ე.ი. XVII-XIX საუკუნეებს. ჩვენი მსჯელობის მთავარ ობიექტს შეადგენს, რასაკვირველია, მატერიალური კულტურის ძეგლები, არქეოლოგია და ისტორიული ამონაწერები.

